პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. ლიტო მთავრის) ქ. № 66, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამ. 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 00 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 7 ივლისი 927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 152 (1897)

დღიური

— გერმანიის პროლეტარიატმა ზეიმით გადაიხადა ამხ. კლარა ცეტკინის იუბილე.
— გაიხსნა ინგლისის რკინისგზელთა კონფერენცია.
— კელნის (გერმანია) გაფიცულ მელითონეებმა უარი განაცხადეს მწარმოებელთა პირობების მიღებაზე.
— საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა მოსაზღვრე იტალიის ჯარების მოქმედებით მცხოვრებთა მიმართ.
— საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლათ ჩამოდის ამერიკის სატარიფო კომისიის წევრი დენისი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ივლისისთვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 3 ტელეფ. 8—81

ჩინეთის რევოლიუციის სახიფათო მომენტი

ჩინეთის ამბები პირდაპირ წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდებიან. კლასობრივი ბრძოლა, რომელიც დღითი დღე ფართოვდება, განუწყვეტლივ ახდენს „ღირებულებათა გადაფასებას", აწარმოებს კლასობრივ ძალთა ახალ და მუდმივ ცვალებად გადაჯგუფებას და კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც არაჩვეულებრივად გამწვავებულ მდგომარეობას. ამბები ერთი მეორეს ქარიშხალივით მისდევენ.

მასიური მოძრაობის აგორებული ტალღები ჩინეთში თავისი სიდიდით ჯერ უნახავი გლეხური რევოლიუციის დასაწყისიდანვე ერთ მთლიან მუშტში აერთიანებენ კონტრ-რევოლიუციის ძალებს. რეაქციას გადამწყვეტი იერიში მიაქვს რევოლიუციაზე, და ეს უკანასკნელი უკვე ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში. ეჭვს გარეშეა, რომ ამჟამად ჩინეთის რევოლიუცია განიცდის თავისი განვითარების ერთ უმძიმეს და კრიტიკულ პერიოდს. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჩინეთის რევოლიუცია დღეს საფრთხეშია ჩაყენებული.

რეაქციამ ჩინეთის რევოლიუცია განგმირა სტრატეგიულად ყველაზე მტკივან პუნქტში, მის დაქირავებულ არმიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდენ საეჭვო, არა საიმედო და ზოგიერთ შემთხვევაში რეაქციონური, მოღალატე უფროსები. ჩან-კაი-შის გადასვლამ მტრების ბანაკში და მისმა სისხლის მღვრელმა თავაშვებამ გამოიწვია მთელ რიგ გენერლების ღალატი. ჩან-კაი-შის მოღალატურ გზას გაჰყვა გენერალი ფინ-იუი-სიანი. ფინს გაჰყვენ ფინიუსიანელები. ახლა ტან-შენ-ჩი გამოდის კონტრ-რევოლიუციონურ დამრბავად. ჩანშადან გომინდანის ალმასკომს მან გაუგზავნა თავხედური დეპეშა, რომელშიც გამოამჟღავნა მთელი თავისი კონტრ-რევოლიუციონური სახე. ის აშკარა მფარველობას უწევს აჯანყებას ჩან-შაში. ის გამოვიდა „კლასობრივი ბრძოლის წახალისების წინააღმდეგ". „პარტიის გადარჩენა" მან შესაძლებლად მიაჩნია გლეხებისა და მუშების დასჯით. კონტრ-რევოლიუციასთან ერთად ის გამოდის რევოლიუციის წინააღმდეგ. ისიც აღმოჩნდა დეზერტირი და ჩინეთის რევოლიუციონური ხალხის საზიზღარი გამცემი.

არმიის მეთაურთა ხელმძღვანელ წრეების ოფიცრების და გენერლების კლიკის გამცემლობას თან მოჰყვა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების და ჯგუფების გამოცოცხლება თვით უხანში. თვით უხანის ბანაკში აწყობს ხრიკებს ჩან-კაი-შის აგენტურა. ჩან-კაი-შის აგენტები სცდილობენ გავლენა მოახდინონ ჯარზე და მართველობის აპარატზე და უკავშირდებიან მათთვის სოციალურად მონათესავე წრეებს ეროვნულ მთავრობაში და გომინდანში. ისინი გავლენას ახდენენ უხანის მთავრობის და გომინდანის ხელმძღვანელთა პოლიტიკაზე. ისინი სთესენ პანიკას, სიმხდალეს და მერყეობას და აიძულებენ უხანის მთავრობას, რათა მან მოახდინოს სრული კაპიტულაცია და აშკარად დაუკავშირდეს ჩან-კაი-შის.

რას აკეთებს ამ დროს უხანის მთავრობა? როგორ ეხმაურება მოღალატე-გენერლების საქმიანობას? აძლევს თუ არა იგი მათ სათანადო პასუხს? სდევნის თუ არა შინაგან კონტრ-რევოლიუციას? ახდენს თუ არა მასების დაბალ სოციალურ წრეების მობილიზაციას?

არაფერს ამის მსგავსს არ სჩადის უხანის მთავრობა ამ კრიტიკულ დღეებში. კიდევ მეტი, იგი „ხელს არ უშლის" კონტრ-რევოლიუციონურ მხედრობას, როცა უკანასკნელი აწარმოებს მუშების **განიარაღებას**, „შლის შეიარაღებულ პროლეტარულ პიკეტებს" და თოფებს ართმევს ღატაკებს. ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელნი ამართლებენ და ადასტურებენ ეთ ნაბიჯს. ისინი მალავენ ჩან-კაი-ს ტიპის მოღალატეებს, ფარავენ გენლების კონტრ-რევოლიუციას.

მუშებ შეიარაღების პოლიტიკის ნაცვლად ისინი ატარებენ მათი განიარაღების პოლიტიკას. ამავე დროს კი აშკარაა, რომ ისინი დღეს „არ უშლიან" კონტრ-რევოლიუციონურ მხედრობას მუშების განიარაღებას, ხვალ უკვე ხელს ვერ შეუშლიან მათ მუშების დახვრეტაში. ეროვნული მთავრობის ასეთი პოლიტიკა აშკარა გადახვევაა რევოლიუციური გზიდან. ეს არის უხანის, როგორც რევოლიუციონური ცენტრის, თვითლიკვიდაციის პოლიტიკა. უხანის ეროვნული მთავრობა სულ უფრო ნათლად აარავებს, რომ მას არ სურს ან არ ძალუძს იაროს იმ გზით, რომლისკენაც მოუწოდებენ ჩინელი კომუნისტები და კომინტერნი.

ის მის საწინააღმდეგო გზით.

ის ხელს უწყობს არა აგრარული რევოლიუციის განვითარებას, არამედ მის ჩაქრობას. ამაში მას მხარს უჭერენ გომინდანის ზედა ფენები, რომლებიც არ ფიქრობ სერიოზულ წინააღმდეგობის გაწევაზ

ასეთ პირობებში არ შეიძლება შემცდარად ჩავთვალოთ უხანის მიწად-მოქმედების მინისტრის კომუნისტ ტან-პინ-სიან ნაბიჯი. ტან-პინ-სიანმა განაცხადა, რომ „გლეხთა მოძრაობის სწორი გზით წარმართვისათვის მას პასუხისმგებლობა არ ძალუძს" და ითხოვა შებულებაავისი ჯანმრთელობის გასაუმჯობესლად. ასეთი „გულზე ხელების დაკრეფ" პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს კომუნისტურ ღირსეულ საქციელად. დიპლომატიობით და პრინციპიალურ საკითხის გადაჭრისაგან განდგომით არაფერი ახეირო არ გამოვა, თუ მდგომარეობა ისეთია, რომ უხანის ნაციონალური მთავრობის კომუნისტ წევრებს არ ძალუძთ ძირიანადაუდგენ მმართველ ზედა ფენებს, რომლებიც კონტრ-რევოლიუციისაკენ ხრებიან, თუ მათ არ შეუძლიათ ეროვნულ მთავრობის ხელმძღვანელ ფენები აიძულონ ძირიან-ფესვიანად შეცვალონ კურსი და გადაახვევინონ ის დამღუპველ გზიდან. მაშინ საჭიროა არა დიპლომატიური შებუღლებების მება, არამედ პირდაპირ და აშკარად დასმულ იქნეს პრინციპიალური საკითხი ეროვნულ მთავრობიდან ჩინელ კომუნისტების გასვლის შესახებ, საჭიროა ბრძოლის სხვა გზების გამოძებნა.

მდგომარეობა ჩინეთში უსათუოდ მძიმეა და სახიფათო. მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიული პანიკიორობა იქნებოდა ამჟამად რევოლიუციის სერიოზულ შანსების შენჩევლობა. პოლიტიკურ მოდუნებას ჩვენში ადგილი არა აქვს. მიუხედავად ავალი ღალატისა, მასიური რევოლიუციონური ბრძოლა სდუღს, ვითარდება, ფართოვდება. რეაქცია შეტევაზე გმოდის და მისი თავდასხმების წინაშე დრკებ უხანის მთავრობის ზედა ფენი. შეტევაზე გადმოსული კონტრ-რევოლუციას არ ძალუძს თავი დააღწიოს მოწინააღმდეგე, სოციალურ ძალას, როგორც აგრარულ რევოლიუციას, არც მუშების მოძრაობას ჯერ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა. იშლება რევოლუციის ერთ-ერთი შემაკავშირებელი ცენტრი, მაგრამ ჩინეთის რევოლიუცია თავის გზას გაიკვლევს, ჩან-კაი-შის, ან-შენ-ჩის და სხვ. ღალატის, გამცემობის, მერყეობის და ჯალათობის მიუხედავად.

„პრავდა".

მოსკვი, 6 ივლისი.

საქართველო ელექტროფიკაციის გზაზე

ზაჰესის გახსნით და რიონჰესის დაწყებით საქართველო უკვე მტკიცეთ შედგა ელექტროფიკაციის გზაზე.

თუ ლაპარაკი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, შეიძლება, ზოგიერთებს წინად უბრალო ლაყბობათ მიაჩნდა, დღეს მათ უნდა დაინახონ, რომ ის არაა ვინმეს „გასახიაბრუებელი" სიტყვა, და რომ ინდუსტრალიზაციას უკვე ჩაეყარა ჩვენში მტკიცე საძირკველი. ინდუსტრიალიზაციის საკითხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული იაფი ენერგიის მიღება, რასაც საქართველოს ბუნებრივი პირობები ძალიან უწყობს ხელს.

ამით აიხსნება, რომ გარდა ზაჰესისა, ჩვენში შენდება მრავალი სხვა პატარა ჰიდრო-სადგურებიც, მაგ., აჭარის წყალის, აბაშის და სხვა. ჰიდროელექტრ. სადგურების აშენება იმდენათ პოპულიარული გახდა ამ უკანასკნელ წლებში, რომ მას დღეს თითქმის ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, კიდებენ ხელს. მაგალ., ქ. ონში მდინარე ჯოჯორაზე უკვე მოკლე ხანში დამთავრდება 225 ძალიანი ჰიდრო-ელექტრონული სადგური, რომელიც სულ 120 ათასი მანეთი დაჯდება. კუროტ შოვშიაც კი უგია ის ამხ. შამშე **ლეჟავას.**

რიონჰესის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ დღის წესრიგში უნდა დაისვას თაფარავანის ჰიდრო-ელექტრ. სადგურის აგება. საესკიზო პროექტის მიხედვით ის დაჯდება 25 მილიონი მანეთი.

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია სრულიად დამოკიდებულია იაფ სათბობ მასალაზე. მინერალური სათბობი ჩვენში მეტათ ძვირია. მასზე დაყრდნობა მეტ შეაფერხებს ჩვენში ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ამიტომ „თეთრი ნახშირის" გამოყენება, როგორც მეტი იაფი სათბობი მასალისა, აუცილებელ მოცანას შეადგენს ჩვენი ინდუსტრალიზაციისათვის.

რიონჰესის ჰიდრო-სადგურის აშენების შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი ენერგიის ერთება ზემო-ავჭალის მილებთან, ამნაირათ ჩვენი რკინის-გზის ელექტროფიკაცია.

თუ ანეთ ენერგიის მიღებას არ ექცევა დიდი ყურადღება, დღეს როცა ჩვენი იზრდება, ფართოვდება მრეწველობა, საძირკველი ეყრება ახალ-ახალ მრეწველო ბუდეებს, იაფი ენერგიას, ანსაკუთრებით თეთრი ნახშირის გაყენებას დიდი ყურადღება უნდა მიცეს.

ამ გზე უკვე შედგა საქართველო კავშირის დახმარებით და შორს არაა ის დრო, როცა ჩვენი ქვეყანა გადაიქცევა სამრეწველო რაიონათ, როცა ჩვენში აყვავდება მრეწველობა.

საქართველოს შესვლა ინდუსტრიალიზაციის პროცესში, მისი შედგომა ელექტროფიკაციის გზაზე,—ეს საუკეთესო პასუხია ყველა იმ სადირექტივო წერილზე, რომლებსაც დღეს ჩვენში ემისრების ხელით გზავნიან საზღვარგარეთგახიზნული მტრები.

ზაჰესით ფართე გზა გაეხსნა აღმოსავლეთ საქართველოში მრეწველობის აღორძინებას, ჩვენს ეკონომიურ და კულტურულ განათლებას.

რამდენიმე წელში რიონჰესიც გაიხსნება, ის შემდეგ ძველი, დაქვეითებული, წვრილ ვაჭრული ქუთაისიც შედგება ეკონომიური და კულტურული განვითარების გზაზე.

ელექტროფიკაციის სწრაფი ტემპით ზრდა საქართველოს სხვა და სხვა რაიონებშიც პატარა ჰიდრო-ელექტრონის სადგურების აგებით უკვე თავდებია იმისი, რომ საქართველოს კულტურული და ეკონომიური განვითარებას მტკიცე საფუძველი ეყრება.

ნ. ჟორდანია და **ნ. რამიშვილი** ქართველოში გზავნიან ემისარებს და ურჩევენ მათ დაჯდენ მყუდრო ადგილას და უგზავნონ ინფორმაცია ეკლესიის და მღვდელ-მსახურების მდგომარეობის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაასმინონ კენტერბერიის არქიეპისკოპოსთან და რომის პაპასთან.

ნ. ჟორდანია და **ნ. რამიშვილი** ქართველ მუშებს და გლეხებს ურჩევენ კლასთა ინტერესების და სოციალიზმის დავიწყებას. მჭიდრო კავშირს ბურჟუაზიულ პარტიებთან (თქვენთან ახლო შექმენით ნაც.-დემოკრატების ცეკაო,—ურჩევს ნ. **რამიშვილი** თავის ემისარს **ვ. ქარცივაძეს**) და მუშურ-გლეხური მთავრობის ჩამოგდებას რეაქციისათვის გზის გასაკაფავათ.

ამ დირექტივებზე საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მათ უპასუხეს ახალი გამარჯვებით ეკონომიურ ფრონტზე: ზაჰესის გახსნით და რიონჰესის საძირკვლის ჩაყრით.

ის გზა, რომელზედაც შედგა დღეს საქართველო, გზა ელექტროფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციისა, არის გზა სოციალიზმისაკენ.

ამ გზაზე, ალბათ, მომავალშიც ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება წინ.

ჩვენი მტრები არ მოისვენებენ. ისინი მომავალშიაც იმეცადინებენ ხელი შეუშალონ სოციალისტურ აღმშენებლობას.

მაგრამ მშრომელი მასის ნებისყოფა იმდენათ ძლიერი და ურყევია, სოციალისტურ აღმშენებლობას იმდენათ მტკიცე გზა აქვს, რომ მტრების მუშაობა ვერაფერს დააკლებს პროლეტარიატის წინსვლას, რომელიც ყოველ ასეთ გამოსვლებზე მტერს უპასუხებს ახალი გამარჯვებით.

ა. რუხაძე.

ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

(წერილი ინგლისიდან)

იმის შემდეგ, რაც ბოლდუინის მთავრობამ ბოროტმოქმედება ჩაიდინა და ურთიერთობა გასწყვიტა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკასთან, დღე არ გადის ისე, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ ფანტასტიური ამბები არ დაიბეჭდოს სხვადასხვა მიმართულების ინგლისურ გაზეთებში. ყველა ეს ამბები, რომელთაც წყარო არის ან რიგა, ან ვარშავა, ან ბერლინი, ან პარიზი და თვით ამერიკაც, ერთსა და იმავე ნიშანს ატარებენ და როგორც ცხადათ სჩანს, ერთსა და იმავე დაწესებულებიდან მიმდინარეობენ: ეს დაწესებულება არის ლონდონის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

თუ ინგლისის გაზეთებს დავუჯერებთ მთელი რუსეთი კონტრრევოლიუციის ასპარეზად გამხდარა: ყველანი აჯანყებულნი ყოფილან საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ: უკრაინელებიც, კავკასიელებიც, დონის კაზაკებიც. მუშებიც და გლეხებიც. ჭკუადამჯდარმა ადამიანმა იცის რა ფასი აქვს ამ ცნობებს. მაგრამ ეს აგიტაცია ასეთ მკითხველებს როდი მიმართავს. უმთავრესად საჭიროა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიის მასის აღელვება, დაფრთხობა და ომის შესაძლებლობისათვის მომზადება.

უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში აქ, ლონდონში, კაცს ეგონება, რომ საგიჟეში ვცხოვრობთ. გაზეთები ჯაჭვაწყვეტილ ძაღლებს ჰგვანან. საბჭოთა კავშირის შესახებ ვრცელდება ყოველგვარი საზიზღრობა, ყოველგვარი ტყუილი, ყოველგვარი უგუნური ფანტასტიური ამბები. ეს „ზეგანათლებული" ადამიანები, რომელნიც ყოველდღე ხოცვა-ჟლეტას ახდენენ ინდოეთში, ხოლო თვით ინგლისში თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს სატუსაღოებში ალპობენ,—საბჭოთა კავშირს კანონს გარეშე აცხადებენ.

მინისტრები ფარისევლურად უარყოფენ იმას თითქოს ინგლისი თავდასხმას ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ფაქტები ამის წინააღმდეგ ლაპარაკობენ. ჟენევაში ჩემბერლენი აქტიურად მუშაობდა ანტი-საბჭოთა ბლოკის შესაქმნელად. ამ ადამიანებს უნდათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გამოწვევა პოლონეთისა ან რომელიმე სხვა მეზობელ სახელმწიფოს მხრივ. ეს თითქმის აშკარად იწერება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შთაგონებულ პრესაში.

საბჭოთა მთავრობის მიერ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ მიღებულმა სამართლიანმა ზომებმა, რომლითაც მას მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების დაცვა სურს, პირდაპირ გააცოფა ინგლისელი რეაქციონერები. ისინი სცდილობენ აამფოთონ საზოგადოებრივი აზრი და ამისათვის აშკარად ყალბ ცნობებს აქვეყნებენ. საბჭოთა მთავრობის მოქმედებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, მაგრამ რეაქციონერების სიძულვილისა და სიბრაზის ყიჟინამ გამოააშკარავა, რომ ისინი საშინლად დამფრთხალნი არიან. ისეთი გაზეთები, რომელნიც „მორნინგ პოსტისა" ან „დეილი მეილის" მსგავსათ, ტაშს უკრავდენ ამხანაგ ვოიკოვის მკვლელობას, მხეცებივით ღმუიან იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთმა თავის დაცვა გაბედა.

გამოდის, რომ მკვლელობა ნებადართულია, როცა ის რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

ძნელია იმის წარმოდგენა, როგორ ატმოსფერაში ვიმყოფებით აქ. ვიმეორებ, რომ ადამიანს თავი სულიერ ავადმყოფებში ან გიჟებში ეგონება.

ამ ამბების მიზანი ნათელი და გარკვეულია: ომის გამოწვევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ მოწმენი ვართ იმავე კამპანიისა, რომელიც ევროპის უკანასკნელი ომის დაწყებამდე ხდებოდა. მხოლოდ დღეს კამპანია ბევრად უფრო ძლიერია და ჯერ არ სცხრება.

ეს განგაში იმისათვისაც არის საჭირო, რომ კომერციული ურთიერთობის შეწყვეტის საბედისწერო შედეგები მიჩქმალონ. არკოსის დარბევის შემდეგ უმუშევართა რიცხვმა იმატა და ჩქარა მილიონ სულს გადააჭარბებს. უნდა იცოდეთ, რომ ეს ოფიციალური ციფრია, ნამდვილად კი უმუშევართა რიცხვი ბევრათ მეტია. ინდუსტრია დამბლა დაცემულია და უიმედოთ ეძებს გამოსავალს.

ინგლისის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ცდა იქით არის მიმართული, რომ გერმანია ჩაითრიოს ანტი-საბჭოთა ბლოკში. საგარეო საქმეთა უწყების წარმომადგენლები გერმანიას აშკარად ეკონომიურ და ფინანსიურ რეპრესიებს უქადიან, თუ ის კომერციულ ხელშეკრულებას დასდებს საბჭოთა კავშირთან.

ამ სიგიჟის ატმოსფერაში, რომელსაც რეაქციონერებს სურთ ეროვნული ხასიათი მისცენ, მხოლოდ მუშათა პარტია და ტრედიუნიონების ცენტრალური საბჭო იჩენს უმოქმედობას. ისინი პროტესტს აცხადებენ, მაგრამ მათი პროტესტი არ სცილდება ჯერ გაზეთების ფურცლებს. ისინი ამბობენ, რომ ბოლდუინის მთავრობას ქვეყანა ომისკენ მიჰყავსო. მაგრამ როცა კომუნისტური პარტია და შეგნებული მასები საყოველთაო გაფიცვას მოითხოვენ, რათა კონსერვატორების მთავრობა აღიგავოს და ომის საფრთხე გაჰქრეს — ისინი უკან იხევენ. მათ ასეთ მოქმედებას მოთმინებიდან გამოჰყავს მუშები.

საბედნიეროთ პროლეტარიატის ღრმა ფენებში მოიპოვება ძლიერი, შეგნებული მოძრაობა, რომელიც მზად არის ყოველ ზომას მიმართოს, თუ ომის საფრთხე ხელშესახები გახდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი მოგვცა უკანასკნელმა კვირამაც, როცა ლონდონში 20.000 მუშამ დემონსტრაცია გამართა ომის წინააღმდეგ პროტესტისა, ხოლო საბჭოთა კავშირის მიმართ თანაგრძნობის გამოსახატავად.

კ. დავიდ.

ლონდონი, 20 ივნისი.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ფან-იუ-სიანის ღალატის შემდეგ, როდესაც ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზიის სამხედრო ძალებს მიემატა ასეთი დიდი და გამარჯვებული ჯარი, ყოფილი რევოლიუციონური არმია და იმავე დროს ნანკინის მთავრობისავე მხარეს გადმოვიდა მეორე საგრძნობი სამხედრო ძალა იენ-სი-შანის ჯარი, მოსალოდნელი იყო, რომ ჩან-კაი-შისთან ერთად ეს უამრავი ჯარი ინტენსიურ მოქმედებას დაიწყებდა პეკინის მიმართ და სულ მოკლე ხანში ჩან-ძო-ლინის და ჩრდილოელ მილიტარისტების ბედი საბოლოოდ გადაწყდებოდა. ამ ორი დღის წინად დეპეშები უკვე გადმოგვცემენ, რომ გეგმა საერთო მოქმედებისა უკვე შემუშავებულია და მოქმედება იწყება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქნა ნანკინის მთავრობის ჯარებისათვის, რომ პეკინისაკენ მათთვის გზა თითქმის სავსებით გაიხსნა, რომ მეტად მნიშვნელოვან რაიონში, სახელდობრ ცინდაო-ძი-ნან-ფუს რკინის გზის ხაზით ნანკინის მთავრობას კიდევ ახალი ძალა შეემატა, გენერალ ჩენის ჯარი, რომელმაც უღალატა ჩან-ძო-ლინის და ნანკინის მხარეს გადმოვიდა, დღევანდელი დეპეშა იუწყება, რომ სერიოზული და ფართე ოპერაციები ნანკინის მთავრობის ჯარების მხრით მოსალოდნელი არ არის. ფინ-იუ-სიანის ჯარი დაგრილული კაი-ფინის მახლობლად არ გადასულა პროვინცია ჩჟილის და შანდუნის საზღვარს, რომ იენ-სი-შანი, ჯერ კიდევ უძრავად სდგას და პეკინისაკენ არ მიემართება, მიუხედავად იმისა, რომ თავისი თავი ნანკინის მომხრეთ გამოაცხადა. იგივე დეპეშა იტყობინება, რომ ვიდრე უკანასკნელი ორი გენერალი არ დაიწყებენ მოქმედებას, ვერც ჩან-კაი-შის ჯარი შეუდგება სამხედრო ოპერაციების წარმოებას ტიან-ძინის, ე. ი. პეკინის მიმართულებით.

რაშია საქმე? რა აკავებს ფინ-იუ-სიანს ან იენ_სი-შანს. უხანის მთავრობა ამ ჟამად ისეთ მდგომარეობაშია, რომ რასაკვირველია ეს არ აბრკოლებს ფინ-იუ-სიანის მოქმედებას. დღევანდელი დეპეშა გვაუწყებს, რომ ამ ჟამად ხანკოუში დიქტატურა გენერალ ტან_შენ-ჩის ხელთაა და იგი აპირებს უხანის მთავრობის გარდაქმნას ნანკინის მთავრობის ყაიდაზე, მაგრამ ფინ-იუ-სიანი მოითხოვს მის სრულ ლიკვიდაციას. ვიმეორებთ, არა უხანის მთავრობა, ან მისი მხრით შიში არის მიზეზი ფინ-იუ-სიანის უმოქმედობისა. ამას წინად ცნობა იყო, რომ ფინ-იუ-სიანის ჯარი ჯერ კიდევ არ გადასულა მდ. ყვითელის მარცხენა ნაპირზე, ვინაიდან ჯერ არ დამთავრებულა მოლაპარაკება წითელ შუბების რაზმებთან, ე. ი. გლეხთა შეიარაღებულ რაზმებთან. ეს ის რევოლიუციონური ძალაა, რომელმაც შარშან სასტიკად დაამარცხა მაშინდელი ფინ-იუ-სიანის ეგრედწოდებული სახალხო არმია. ამ უკანასკნელ დეპეშის ცნობას, რომ გაუხსნათ ფრჩხილები, გამოვა, რომ წითელი შუბები არ უშვებენ ფინ-იუ-სიანს ყვითელ მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზე და მაშინ ფინ-იუ-სიანის უმოქმედობის მიზეზი ცოტა არ იყოს ნათელი ხდება.

რაც შეეხება იენ-სი-შანს, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ეს უკანასკნელი მეტად ფრთხილი და წინდახედული პიროვნებაა, მასთან მეტად დიდების მოყვარული. იგი რამდენიხანია ნეიტრალიტეტს იცავდა, საქმეში არ ერეოდა. ეხლა, მართალია, თითქმის ნანკინის მთავრობის მხარეს გადმოვიდა, მაგრამ ალბად უცდის, თუ რა ურთიერთობა დამყარდება ფინ-იუ-სიანის და ჩან-კაი_შის შორის. დადგა ისეთი ხანა. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ პეკინის მიმართ სამი თანაბრად ძლიერი სამხედრო ძალაა სალაშქროდ გამზადებული და აქ საერთო მეთაური, მთავარი სარდალია საჭირო. თავის თავად ცხადია, რომ ჩინეთში ამ ჟამად არსებულ პირობების ძალით ეს მთავარი სარდალი გახდება დიქტატორად და პეკინის აღებისას იგი იქნება საყოველთაო მბრძანებელი. ვინ იქნება ამ სამში ასეთი? რა თქმა უნდა ამ გენერლებისათვის ეს არის მთავარი საკითხი და შესაძლებელია რომ სწორედ ამ ნიადაგზე სწარმოებს მათ შორის ვაჭრობა და ჭიშმობა. გარდა ამისა ამ საკითხის გადაწყვეტაში დაინტერესებული არიან, რა თქმა უნდა, უცხოელი იმპერიალისტებიც და შეიძლება სწორედ ეს გარემოება აჩერებს სამხედრო მოქმედებას. აქ იმგვარად არის გადახლართული ინტერესები, რომ ვინ იცის რამდენი მოულოდნელობა იჩენს თავს.

დღევანდელივე დეპეშები გვაუწყებენ, რომ იაპონია აპირებს მეტად აქტიურ პოლიტიკის წარმოებას და დიდ სამხედრო ძალას, დეპეშების ცნობით 30 ათას ჯარს, უგზავნის თავის შანდუნის პროვინციაში. ჩინეთის ამბები კვლავ მაგარ კვანძად იკვანძება და გათვალისწინება ახლო მომავალისა მეტად ძნელია.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, თუ რა გზით და რაგვარი ინტენსიობით წავა ამიერიდან ჩინეთის გლეხობის მოძრაობა, გაუჩნდება მას სათანადო ორგანიზატორული ცენტრი, რომელიც შესძლებს მის გაერთიანებას და საერთო ფრონტით მოქმედებას?

ი. გედევანიშვილი.

ახალი აჯანყება მუკდენის არმიის წინააღმდეგ

კიაჩოუს არმიის სარდალი გადავიდა სამხრეთელების მხარეზე

ფინეთის მბეჭდავთა კავშირი ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგ

ურთიერთობა კონსერვატორულ პარტიასა და ბალდუინის მთავრობის შორის მწვავდება

ჩინეთის ფრონტებზე

ახალი აჯანყება

შანხაი, 5 ივლისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, გენერალი ჩენი, ჯარების მთავარსარდალი კიაჩოუში (ნავთსადგურის შანდუნის პროვინციაში) **აუჯანყდა ჩრდილოელებს და გადავიდა სამხრეთელების მხარეზე. სატელეგრაფო - სატელეფონო კავშირი და რკინის გზით მიმოსვლა ცინდაო და ტზინანფუს შორის შეწყვეტილია.** ჩენმა შეატყობინა იაპონიის ხელისუფლებას, რომ ის აცხადებს თავს დამოუკიდებლად ჩრდილოეთლებისაგან. იზიარებს სუნ-იატ-სენის სამ პრინციპს და კისრულობს უცხოეთის დაცვას.

მდგომარეობა ფრონტებზე

შანხაი, 7 ივლისი. ფინ-იუი-სიანის ჯარები დგანან ჩუილის და შანდუნის პროვინციების საზღვარზე და ზოგიერთი ცნობების თანახმად, საზღვარი ჯერ არ გადაულახავთ. ეს კი აფერხებს ნანკინის ჯარების ოპერაციებს შანდუნის პროვინციაში. **სერიოზული შეტევა შანდუნის ფრონტზე, ტიან - ძინ - პუკოუს რკინის გზის დასწვრივ, როგორც სჩანს. მოსალოდნელი არ არის მანამ, სამან ენ-სი-შანი არ გაილაშქრებს პეკინის წინააღმდეგ და სანამ ფინ-იუი-სიანი არ დაიწყებს სამხედრო მოქმედებას ხენან-შადუნის საზღვარზე.** ჯერ - ჯერობით—კი შანდუნის ფრონტზე სწარმოებს მხოლოდ უმნიშვნელო შეტაკება, რომელსაც არ აქვს მნიშვნელობა. ენ-სი-შანი, კი იცავს ნეიტრალიტეტს, მიუხედავათ განცხადებისა, თითქოს ის თავის თავს სთვლის ნანკინის მთავრობის მომხრეთ და მიუხედავათ იმისა, რომ დანიშნული იქნა ნანკინის მთავრობის პოლიტიკური საბჭოს წევრის თანამდებობაზე. (ადს)

ინდოელთა გასამართლება

შანხაი, 5 ივლისი. **ინგლისი სასამართლომ შანხაიში მიუსაჯა ერთი წლის კატორღა სამ ინდოელს, რომლებსაც ბრალდებოდა „ინგლისის მეფის ქვეშევრდომთა შორის" აჯანყების მოწყობის ცდა.** საქმის გარჩევა სწარმოებდა დახურულ კარებში და პრესის წარმომადგენლები დაშვებული იქნენ დარბაზში მხოლოდ განაჩენის წაკითხვის შემდეგ.

იაპონელები შანდუნში

ტოკიო, 5 ივლისი. შანდუნის უკანასკნელ ამბების გამო **იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა ცინდაოდან გადაიყვანოს ცინანფუში (შადუნის პროვინციის მთავარი ქალაქი) 30.000 კაცი.**

ჩრდილოელების წინააღმდეგ

პეკინი, 5 ივლისი. მიღებულია ცნობები, რომლებიც ადასტურებენ, რომ **სუნ-ჩუან-ფანის მომხრე ფუძიანის პროვინციის ყოფილი მმართველი ინ-ჟენი გადავიდა სამხრეთელების მხარეზე.** (ადს)

იაპონიის პოლიტიკა

ტოკიო, 5 ივლისი. იაპონიაში გამართულმა კონფერენციამ, რომელიც არჩევდა იაპონიის პოლიტიკის საკითხს ჩინეთში, განიხილა საკითხი უთანასწორო ხელშეკრულებების შესახებ და გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ **უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმების პირობად უნდა იყოს ჩინეთის გაერთიანება და ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაცია.** (ადს)

მოღალატეს კარიერა

შანხაი, 5 ივლისი. გოვენის სააგენტო ხანკოუდან იუწყება:

„ტან - შენ - ჩი ფიქრობს მოახდინოს უხანის მთავრობის რეორგანიზაცია ნანკინის მთავრობის პოლიტიკის მიმართულების მიხედვით. მაგრამ ფინ - იუი-სიანი გადაჭრით ეწინააღმდეგება ამას და მოითხოვს უხანის რეჟიმის სრულ ლიკვიდაციას. ფინ-იუი-სიანი აცხადებს, რომ რეორგანიზაცია, რომელსაც ფიქრობს ტან-შენ-ჩი, ეწინააღმდეგება სიუ-ჩჟოუს კონფერენციის გადაწყვეტილებებს".

ჩენ - ენ - ლენის დასჯა

შანხაი, 5 ივლისი. „ჩაინა კურიერის" ცნობით, შანხაიში სიკვდილით დასაჯეს **ჩენ, - ენ-ლენი, ჩინეთის კომპარტიის ცეკას წევრ ჩენ - დუ - სიუს შვილი.**

ინგლისურ გაზეთების ცნობით, ჩენ-ენ-ლენი დაპატიმრებულ იქნა გენერალ იანხუს ბრძანებით, რომელიც ცნობილია მით, რომ **ნინბოში მოახდინა მასიური სიკვდილით დასჯა**, ჩენ - ენ - ლენთან დაპატიმრებულ იქნა კომპარტიის პროვინციალურ კომიტეტის და შანხაის პროფკავშირთა საბჭოს რამოდენიმე წევრი.

ფინელ მუშების ბრძოლა

მოხსენებები

ჰელსინგფორსი, 6 ივლისი. ამას წინად ლენინგრადიდან დაბრუნდა ჰელსინგფორსის მუშების ექსკურსია. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს დაახლოებით ასმა კაცმა. **ფინელ მუშათა მიტინგზე ექსკურსანტებმა ილაპარაკეს ქვეყნის მრეწველობის განვითარებისა და საბჭოთა სოციალისტური კანონმდებლობის შესახებ.** მათი სიტყვების ანგარიშები უკვე გავლენას ახდენს მუშებზე. ჰელსინგფორსის აეროპლანების სახელოსნოში სამუშაოდან დაითხოვეს ექსკურსიის ორგანიზატორი, ძველი მუშა მჭედელი. (ადს).

მბეჭდავთა ყრილობა

ჰელსინგფორსი, 5 ივლისი. დამთავრდა ფინეთის მბეჭდავთა კავშირის ყრილობა, რომელზედაც სტუმრათ დაესწრო საბჭოთა მბეჭდავთა კავშირის თავმჯდომარე უზოგოვი.

ყრილობამ არ მიიღო კავშირის სოციალ-დემოკრატიული ლიდერების რეზოლიუცია, რომელიც ითხოვდა ადგილობრივ ორგანიზაციების ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთებას.

ყრილობამ უარყო ზოგიერთ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინადადება მბეჭდავთა პროფკავშირის გამოსვლის შესახებ შეერთებულ პროფკავშირებიდან რადგან ის, წინადადების ავტორების სიტყვით, „პროფესიონალური კავშირების საშუალებით კომუნისტურ პროპაგანდას ეწევა". (ადს).

ინგლისის რკინის გზელთა კონფერენცია

ლონდონი, 5 ივლისი. **გაიხსნა რკინის-გზელთა წლიური კონფერენცია.** კონფერენციას დაესწრო 80 დელეგატი. თავმჯდომარეობდა **დობზი**, რომელსაც თავის სიტყვაში განაცხადა: „**რეაქცია დღესასწაულობს ინგილსში და საჭიროა ამიტომ პროფკავშირთა პროპაგანდის გაძლიერება. თავდაცვიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე**". პროფკავშირთა წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტის ხსენების დროს, მან განაცხადა, რომ **ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა ზომები, უყურადღებოთ იქნება დატოვებული მუშათა მოძრაობის მიერ.** „**არც ერთი პროფკავშირი, სთქვა, მან, არ უნდა დაემორჩილოს ამ კანონს. უნდა შეწყდეს დღეიდან ყოველგვარი ლაპარაკი წარმოებაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ.** ასეთ ჯურის ხალხთან შეუძლებელია მშვიდობის დაცვა".

ლორდთა პალატის რეფორმის მთავრობის პროექტის შესახებ დობზიმ განაცხადა: „მე-20 საუკუნეში შეუძლებელია მეორე პალატის არსებობა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის ის შედგენილი". **დობზიმ გაჰკიცხა მთავრობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტისათვის** და დაახასიათა ეს მოვლენა, როგორც მთავრობის მოღვაწეობის მეორე სახე კლასიურ ბრძოლაში. (ადს)

ფინეთი და ერთა ლიგა

ბერლინი, 5 ივლისი. ერთა ლიგის საბჭოს სეკრეტარიატმა გამოაქვეყნა ფინეთის მთავრობის წერილი, გამოგზავნილი 15 ივნისის თარიღით ერთა ლიგის საბჭოს სახელზე.

ფინეთის მთავრობა აღნიშნავს სიძნელეს, რომლის წინაშე დგანან სახელმწიფოები, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში და პრინციპიალურად უარყოფენ ერთა ლიგის ყოველგვარ ჩარევას თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს. ფინეთის მთავრობა იძლევა წინადადებას, რომ **ერთა ლიგის ყველა** წევრებმა, რომლებიც ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ფინეთი და განზრახული აქვთ თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადება, **დასდვან ურთიერთშორის ცალკე შეთანხმება.** ეს შეთანხმება, ფინეთის აზრით, საშუალებას მისცემს ერთა ლიგას გამოარკვიოს ვინ არის თავდამსხმელი მხარე, რასაც მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგისათვის ომის დროს ამა თუ იმ ღონისძიების მისაღებათ. თუმცა ფინეთის მთავრობის წერილში არ არის ნახსენები საბჭოთა კავშირი, მაგრამ **პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ წერილს აუცილებლათ სახეში აქვს საბჭოთა კავშირი.**

„ფოსიშე ცაიტუნგის" ჟენევის კორესპონდენტი სწერს: „წერილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს განზრახული იყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სახელმწიფოთა კავშირის შექმნა, რაც სხვა გზით ვერ მოხერხდა". (ადს).

მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 5 ივლისი. კელნში გაფიცულ მუშა-მელითონეებმა უარყვეს მწარმოებელთა კავშირის მოთხოვნილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. მწარმოებლებმა დაადგინეს დაიწყონ მუშების დათხოვნა. (ადს).

იტალია-საფრანგეთის

ინციდენტი

პარიზი, 5 ივლისი. საფრანგეთის საზღვარზე მისულმა **იტალიის ჯარებმა უბრძანეს ფრანგ გლეხებს, რათა დაუყოვნებლივ დასცალონ შენობები და მოშორდენ იტალიის ტერიტორიის იმ საძოვარ ადგილებს, რომელიც მათ უჭირავთ 1861 წელში დადებული ხელშეკრულების მიხედვით.**

საფრანგეთის პრესა აღშფოთებით აღნიშნავს იტალიის ხელისუფლების მიერ ფრანგ მოქალაქეებისადმი თავხედურ მოქცევას და ზიანის მიყენებას. (ადს).

პატეკი ვარშავაში

ვარშავა, 5 ივლისი. ოფიციოზ „ეპოქა"-ს ცნობით, **პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში, პატეკი, რომელიც ვარშავაში ჩამოვიდა, ოპტიმისტურადაა განწყობილი.** იგი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობასთან მისი მოლაპარაკებით გადადგმულია ნაბიჯი არა მარტო პოლონეთ - საბჭოთა კავშირის გამწვავებულ ურთიერთობის ლიკვიდაციის მოსახდენად, არამედ საგარანტიო ხელშეკრულების დასადებ მოლაპარაკების გაგრძელებისათვისაც. (ადს)

საკოს და ვანცეტის

დასაცავად

მექსიკო. 5 ივლისი. შესდგა მუშათა მასიური დემონსტრაცია საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების გამო. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები, რომლებიც თავმოყრილი იყვენ შეერთებულ შტატების საკონსულოს წინ. (ადს)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირში მოდიან

ნიუ - იორკი, 6 ივლისი. „ბალტიმორე სენ"-ის ცნობით, **ამერიკის სატარიფო კომისიის წევრი დენნისი გაემგზავრება საბჭოთა კავშირში ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად.**

დენნისი ხუთი წლის განმავლობაში იყო კომერციულ ატაშეთ რომში, მას ეს თანამდებობა ეჭირა ლონდონშიაც. სატარიფო კომისიაში დანიშვნის მომენტში ის იყო ვაჭრობის მინისტრ გუვერის პირადი მრჩეველი.

ს. ს. რ. კ-ში დენნისი მოდის როგორც კერძო პირი. (ადს)

ახალი კონფერენცია

ბერლინი, 5 ივლისი. ჟენევაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულთათვის დახმარების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევად.

კონფერენციაზე მოწვეული არიან არა მარტო ერთა ლიგის წევრები, არამედ ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში, როგორიც არიან: **საბჭოთა კავშირი, ამერიკა, მექსიკა და ოსმალეთი.**

საბჭოთა კავშირი კონფერენციაში მონაწილეობას არ მიიღებს (ადს)

არევ-დარევა კონსერვატორებს შორის

ლონდონი, 5 ივლისი. **თემთა პალატაში მთავრობის მოქმედება მკაცრ კრიტიკაში გაატარა კონსერვატორთა ჯგუფმა, რომელმაც გაილაშქრა მთავრობის ფინანსიური კანონპროექტის მე-29 მუხლის წინააღმდეგ.** კონსერვატორმა **დენის ხერბერტმა**, შეიტანა კანონპროექტში შესწორება, რომლის ძალით უნდა გაუქმებულიყო ის მუხლი, რომელიც მიზნათ ისახავს შეუძლებლათ გახადოს დამატებითი (საშემოსავლოს გარდა) გადასახადის გადახდის აცილება.

მთავრობას მხარი დაუჭირეს ლიბერალურმა და მუშათა პარტიამ, რომლებმაც დაიცვეს აღნიშნული მუხლი. დენის გერბერტმა უკან წაიღო თავისი შესწორება და კანონპროექტის აღნიშნული მუხლი მიღებული იქნა კენჭისყრის გარეშე. (ადს).

ოსმალეთის და სამხრეთ-სლავიის დაახლოება

ანგორა, 5 ივლისი. გამოქვეყნდა სამხრეთ-სლავიის მთავრობის ოფიციალური ცნობა ოსმალეთის ქვეშევრდომთა უძრავ ქონებაზე სეკვესტრის მოხსნის შესახებ.

ოსმალეთის პოლიტიკური წრეებს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ სეკვესტრის დატოვება ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომელიც ხელს უშლიდა უფრო დაახლოვებულ ურთიერთობის შექმნას სამხრეთ-სლავიასა და ოსმალეთს შორის. ამგვარად აღნიშნული მიზეზი ამჟამად აცილებულად უნდა ჩაითვალოს. (ადს)

გლეხთა ლიგის კონფერენცია მექსიკაში

ნიუ-იორკი, 5 ივლისი. გლეხურ პარტიის ნაციონალურმა კონფერენციამ მექსიკაში დაადგინა მხარი დაუჭიროს ობრეგონის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე. კონფერენციამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია საკოს და ვანცეტის სიკვდილის განაჩენის გამოტანის გამო. (ადს)

იბანიესის დიქტატურის ქვეშ

ნიუ-იორკი, 5 ივლისი. გადასახლება და დაპატიმრებები ჩილიში არ სწყდება. დიქტატორ იბანიესის განკარგულებით გადასახლებულია ცნობილი ჟურნალისტი, ლიბერალურ გაზეთ „ლა ნაციონ"-ის რედაქტორი.

როგორც ხმებია, სანტი-იაგოში მოხდენილ იქნა ცდა იბანიესის მოსაკლავად, მაგრამ უშედეგოდ. თავდასხმაში მონაწილეობს სამხედრო პირები. სანტ-იაგოში შემოღებულია უსასტიკესი ცენზურა. (ადს)

ვინ აწყობდა აფეთქებას ლუბიანკაზე

(თეთრგვარდიელთა უკანასკნელი „საქმიანობის გამო")

მოსკოვი, 6 ივლისი. მოსკოვის გაზეთების თანამშრომლებს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **იაგოდამ** გააცნო დაწვრილებითი ცნობები თეთრგვარდიელთა უკანასკნელ „ოპერაციის" შესახებ საბჭოთა ტერიტორიაზე, რაც თავის დროზე ძირშივე იქნა აღკვეთილი.

„სახლის აფეთქება ლუბიანკაზე საკმაო მოხერხებით მზადდებოდა. აფეთქების ორგანიზატორებმა ყოველნაირი ზომები მიიღეს, რომ აფეთქებას მაქსიმალური ნგრევითი ძალა ჰქონოდა. მათ მოაწყვეს მეტად დიდი ძალის მქონე მელინიტის ყუმბარა და რამდენიმე მანძილზე მისგან დაშორებით დააწყვეს დიდი რაოდენობით წასაკიდებელი ყუმბარები. დაბოლოს სახლის იატაკს გადაასხეს ნავთი. მთელი ეს მოწყობილობა რომ ამოქმედებულიყო,—უეჭველია, სახლი ლუბიანკაზე დაინგრეოდა. აფეთქება თავიდან აცილებულ იქნა უკანასკნელ მომენტში გაერთიანებულ სახელმწიფო სამმართველოს თანამშრომლების მიერ.

ყუმბარები და საერთოდ ტერორისტული აპარატურა დაღუპულ თეთრგვარდიელებისა დამზადებული იყო არა საბჭოთა კავშირში, არამედ შემოტანილი იყო საზღვარგარეთიდან, როგორც ეს ზედმიწევნით არის ჩვენ მიერ გამორკვეული. ყუმბარების კონსტრუქცია და მათში მოთავსებულ ასაფეთქებელ ნივთიერებათა შემადგენლობა გარკვევით უცხოეთის წარმოშობისაა. კერძოდ, ცნობილ სპეციალისტ-ქიმიკოსების მეცნიერულმა ექსპერტიზამ სრული სიცხადით გამოარკვია, რომ მელინიტი ინგლისური წარმოშობისაა.

სავსებით გასაგებ მიზეზების გამო, ვერ მიუთითებ ყველა იმ კვლებზე, რომლებმაც ლუბიანკის მოედნიდან მოსკოვში ჩვენ მიგვიყვანეს ბელორუსიის ტყემდე, სადაც მიუსწარით დამალულ ბოროტმოქმედებს. შემიძლია მხოლოდ აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ნივთების მიხედვით რომლებიც იმ სახლში მოინახა, სადაც აფეთქება მზადდებოდა, და აგრეთვე ფინეთიდან მიღებულ ცნობების მეოხებით, შესაძლებლობა მოგვეცა გამოგვერკვია თეთრგვარდიელთა შორის თავდასხმის ორგანიზატორთა ვინაობა. ესენი აღმოჩნდენ: ცნობილი ტერორისტი ქალი **ზახარჩენკო—შულც**, რომელიც მთელ რიგ წლების განმავლობაში ყოველნაირი საშუალებებით ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას და რომელიც არის ცნობილ თეთრ გენერალ კუტეპოვის ნათესავი. ის თავის ბიძასთან ერთად იყო ინგლისის ოხრანკის რწმუნებული და მუდმივი აგენტი.

თავდასხმის მეორე მონაწილე **ოპპერპუტი**, რომელიც არა ერთხელ გადაბარგებულა ერთი ანტი-საბჭოთა ჯგუფიდან მეორეში, იყო სავინკოვის სამხედრო ჯგუფების ორგანიზატორი ბელორუსიაში ან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მომხრე მემარჯვენე მონარქისტების რწმუნებული. თავდასხმის მესამე მონაწილე, რომელიც თავის თავს ყალბი პასპორტებით უწოდებდა **ვოზნესენსკის**, იყო თეთრი ოფიცერი, გაგზავნილი კუტეპოვის მიერ ფინეთში ტერორისტულ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

სამეფოს რუსეთში გამომგზავრების წინ, გენერალი კუტეპოვი ჩამოვიდა პარიზიდან ფინეთში იმ მიზნით, რომ გასცნობოდა—ყველაფერი რიგზეა თუ არა. ჰელსინგფორსში შესდგა ჯგუფის უკანასკნელი თათბირი, რომელშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო რეველიდან სპეციალურად ჩამოსულმა კაპიტანმა **როსსმა**, ბრიტანეთის მისიის თანამშრომელმა რეველში, რომელიც სპეციალურად ხელმძღვანელობდა დაზვერვას ს. ს. რ. კ-ში.

შეთქმულების ჩაშლის შემდეგ ტერორისტები დაუყოვნებლივ გაემგზავრენ მოსკოვიდან სმოლენსკის გუბერნიის რაიონში. მოსაზღვრე რაიონების გლეხურმა მოსახლეობამ, რომელსაც გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ადგილობრივ ორგანოების მიერ ეცნობა გაქცეულთა შესახებ, გამოიჩინა მშრომელთა ამოცანისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებისადმი გლეხობის ჭეშმარიტი დამოკიდებულების სწორი გაგების საუკეთესო მაგალითი. ამ გუბერნიებში გლეხები მეტად აქტიურად დაეხმარენ ჩვენ ორგანოებს ტერორისტების აღმოჩენაში.

თეთრგვარდიელები ორი სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდენ. სოფლებში ისინი თავიანთ თავს აცხადებდენ რომელიღაც კომისიის წევრებად და სისხლის სამართლის მილიციის აგენტებად. ოპპერპუტი, რომელიც ცალკე გაიქცა, კინაღამ დაიჭირეს 18 ივნისს იანოვსკის არაყის ქარხანაში, სადაც ის საეჭვო პირად მოეჩვენათ. გაქცევის დროს მან ასტეხა სროლა და დასჭრა მილიციონერი ლუკინი, მუშა კრავცოვი და გლეხი იაკუშენკო. ოპპერპუტმა მოახერხა გაქცევა.

ბელორუსიის ოლქის საგანგებო განყოფილების უფროსმა ამხ. ზირინისმა, რომელიც ხელმძღვანელობდა გაქცეულთა ძებნას ამ რაიონში, სოფლებიდან დასახმარებლად მოიწვია გლეხები. ალყის შემორტყმის შემდეგ შესაძლებელი გახდა ოპპერპუტის აღმოჩენა, რომელიც ხშირ ბუჩქში იმალებოდა. მან ასტეხა სროლა ორი მაუზერიდან და ამ შეტაკების დროს ის მოკლულ იქნა.

დანარჩენი ტერორისტები გაემართენ ვიტებსკის მიმართულებით. როდესაც საზღვარისაკენ მიმავალ გზას დაადგენ, ზახარჩენკო—შულცი და ვოზნესენსკი შეხვდენ ავტომობილს, რომელიც ვიტებსკიდან მიდიოდა სმოლენსკში. ტერორისტებმა გააჩერეს მანქანა და უბრძანეს შოფერს წასულიყო მათ მიერ ნაჩვენები მიმართულებით. შოფერმა გრებენიუკმა უარი სთქვა მანქანის წაყვანაზე და ის იქვე მოჰკლეს. შოფერის თანაშემწე გოლენკოვმა, რომელიც დასჭრეს თეთრგვარდიელებმა, მაინც შესძლო მანქანის გაფუჭება. მაშინ ზახარჩენკო—შულცმა და მისმა თანამგზავრმა მიატოვეს ავტომობილი და კვლავ მიიმალენ ტყეში. მათი აღმოჩენა ხელმეორედ შესაძლებელი გახდა უკვე სადგურ დრეტუნის რაიონში. ისევ გლეხების აქტიური დახმარებით მათ ჩვენმა რაზმებმა შემოარტყეს ალყა. თავის დაღწევის მიზნით, ჯაშუში-ტერორისტები ტყიდან გაიქცენ და დაიმალენ № [illegible] პოლკის პურის საცხობში.

აქ ისინი შეამჩნია იმავე პოლკის წითელ მეთაურის ცოლმა როვნოვამ. როდესაც მან იცნო ამათში შპიონები, რომლებსაც სდევნიდენ, დაუყვირა სადარაჯოს, რომ ეცნობებია მათი იქ ყოფნა. ზახარჩენკო—შულცმა დასჭრა როვნოვის ქალი ფეხში, მაგრამ შემდეგ, ჩვენ ცხენოსან ჯარის ნაწილებიდან ატეხილ სროლის დროს, ორივე თეთრგვარდიელი გამოესალმა სიცოცხლეს. ვოზნესენსკი მოკლული იქნა იქავე, ხოლო შულცი მოკვდა ჭრილობისაგან რამდენიმე საათის შემდეგ. მოკლული ტერორისტების ბარგში აღმოჩენილმა საგნებმა ნათელჰყვეს ყველაფერი.

იარაღის და ვაზნების გარდა მათ აღმოაჩნდათ ლემანის სისტემის ინგლისის ყუმბარები, ყალბი პასპორტები, რომლებშიაც ჩვენ მაშინვე ვიცანით ფინეთის ოხრანკის ნამუშევარი, ფინეთის ფული და ბოლოს მეფის დროის ოქროს ფულიც, რომლის დიდი იმედი ჰქონდათ ტერორისტებს. (გარდა ამისა ურემზე, რომელიც ტერორისტებმა გაქცევის დროს დააგდეს დოროგობუჟთან, აღმოჩენილი იქნა დიდძალი ისეთივე ასაფეთქებელი მასალა, როგორიც აღმოჩენილი იყო ლუბიანკაზე). მოკლულ ოპპერპუტს აღმოაჩნდა დღიური, სადაც მისივე ხელით იყო დაწვრილებით აწერილი ლუბიანკაზე განზრახული თავდასხმა. დღიურში აღმოჩნდა ხშირ მრავალი ცნობაც, რომელიც წარმოადგენს ძვირფას მასალას, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს გამოძიებისათვის" (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

ცირკულიარულად

ყველა საოლქო სახელმწიფო, ს ამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის დღეს, რომელიც უკვე ახლოვდება, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთელ რიგ სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სურთ გამოუშვან სპეციალური კრებულები, რომლებშიაც გაშუქებული იქნება ოქტომბრის ისტორია ამიერ-კავკასიაში, ამ დაწესებულებების მუშაობა და სხვა.

რომ ამ მუშაობაში ადგილი არ ექნეს პარალელიზმს და ამასთანავე, რომ საიუბილეო ლიტერატურა ხარისხის მხრივ უფრო უკეთესად იქნეს შერჩეული,—ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებული ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ჩამტარებელი კომისია წინადადებას აძლევს ყველა საოლქო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს თავის დროზე წარმოადგინონ კომისის სალიტერატურო-სამხატვრო სექციაში ყველა გამოსაცემ ლიტერატურის დაწვრილებითი გეგმები, და ამ ლიტერატურის გამოცემას შეუდგენ მხოლოდ კომისიის დასტურის შემდეგ.

გეგმები წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ა.-წ. 30 ივლისისა შემდეგი მისამართით: ა.-კ. ცაკი, ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია, სალიტერატურო-სამხატვრო სექცია.

გეგმების წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ არავითარი თხოვნა საიუბილეო ლიტერატურის გამოცემის ნებართვის შესახებ არ იქნება განხილული.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ჩამტარებელ კომისიის თავმჯდომარე—ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე: მიხა ცხაკაია.

სალიტერატურო-სამხატვრო სექციის თავმჯდომარე: ვ. სუტირინი.

ამხ. კლარა ცეტკინის იუბილე

მოსკოვის მუშების ხმა

მოსკოვი, 6 ივლისი. 5 ივლისს, პროფკავშირთა სახლში, კლარა ცეტკინის დაბადების 70 წლის თავის აღსანიშნავად, გაიმართა ზეიმი. რევოლიუციის ვეტერანის საპატივცემოთ თავი მოიყარეს კომინტერნის, იუბილიარის მშობლიური გერმანიის კომპარტიის, მოსკოვის კომიტეტის, საკავშირო კომპარტიის ცეკას, ახალგაზრდობის, პიონერების, წითელი არმიის, ფაბრიკა-ქარხნების მუშა-ქალების, რკინის-გზების და ქალთა განყოფილებების წარმომადგენლებმა. ქ. მოსკოვის და მოსკოვის გუბერნიის მუშა, გლეხი და მოსამსახურე—ქალებმა გადასწყვიტეს განსაკუთრებული ფონდის შექმნა კ. ცეტკინის სახელობის თვითმფრინავის ასაშენებლათ.

თავის წერილში, კლარა ცეტკინის მიმართ, მოსკოვის მუშა-ქალები აცხადებენ, რომ ასეთი საჩუქარი საუკეთესო გამომხატველი იქნება მოსკოვის მუშების ერთგულებისა, პროლეტარული რევოლიუციის და მისი გამოცდილი ბელადის კომუნისტური პარტიის მიმართ, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია კლარა ცეტკინი.

რემედასის აღმასკომმა მოსკოვის კომიტეტთან ერთად, განაცხადა კრებაზე აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. **შმიდტმა**, გადასწყვიტა კლარა ცეტკინის 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად მოაწყოს რემედასის საერთაშორისო კვირეულები.

გერმანიის კომპარტიის ცეკას სახელით კლარა ცეტკინს მიესალმა ამხ. **რემელე**. წითელი არმიის სახელით გამოვიდა ამხ. **ბულინი**, საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის სახელით—ამხ. **შტურმი**, გერმანიის კომუნისტ. პარტიის ცეკას ქალთა განყოფილების სახელით—ამხ. **ოვერლიახი**.

შემდეგ **ბუხარინმა**, რომელსაც კრება შეხვდა ოვაციებით და „გაუმარჯოს ლენინელ ცეკას“ ძახილით, მოკლედ, მაგრამ ნათლად დაასურათა ის ეპოქა, რომელშიაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იშვიათი მებრძოლ-რევოლიუციონერი ამხ. ცეტკინი.

ბუხარინმა აღნიშნა, რომ იმ ისტორიულ ხანაში, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით, კლარა ცეტკინის ცხოვრება წარმოადგენს სამაგალითო მოვლენას. კლარა ცეტკინის 70 წლის იუბილეს გადახდა ეს არ არის ბელადების უბრალო შექება, არამედ ისეთი დღეა, როდესაც ყველამ უნდა დარწმუნდეს თავის თავში და სხვაშიაც, იქნება თუ არა ის თავის ადგილზე, თავის სადარაჯოზე, როდესაც მოხდება სასიკვდილო შეტაკება შრომის და კაპიტალის შორის. ამხ. ცეტკინის იუბილეს გადახდის ფაქტში ყველამ უნდა ჰპოვოს თავის თავისთვის მხნეობის, სიმტკიცის და ერთგულების მაგალითები.

შემდეგ ამხ. **კრუპსკაიამ** გაუზიარა კრებას თავისი საკუთარი მოგონებები ამხ. კლარა ცეტკინზე.

ავადმყოფობის გამო ამხ. ცეტკინი პირად ზეიმს ვერ დაესწრო; მან გამოუგზავნა მოსკოვის მუშებს და მუშა-ქალებს წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იქნა კრებაზე ამხ. **არტიუხინის** მიერ. ამ წერილში ამხ. ცეტკინი მხურვალედ ესალმება საბჭოთა კავშირის მუშებს და მუშა-ქალებს და აღნიშნავს, რომ მისი იუბილეს აღსანიშნავად დიდი კრების მოწყობას ის აფასებს როგორც დამამტკიცებელ საბუთს იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ის მჭიდროთ არის დაკავშირებული.

ამ კავშირის შექმნას ამხ. ცეტკინი აწერს არა თავის პირად ღირსებებს, არამედ იმ დიად იდეას, რომლისთვის ცხოვრებას და მოღვაწეობას ის სთვლის ბედნიერებათ. დასასრულ ამხ. ცეტკინი მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის მშრომელთ და ყველას, ვისაც მოაგონდა ის ამ დღეებში. ის სწერს შემდეგ, რომ არ დაივიწყებს არასოდეს იმ როლს, რომელმაც ითამაშა მის მოღვაწეობაში რუსეთის რევოლიუციის პრაქტიკამ და თეორიამ.

თავის წერილს ამხ. ცეტკინი ათავებს შემდეგი სიტყვებით: **„ჩემი გული ბოლომდე თქვენ გეკუთვნით და ბოლომდე ის იძგერს მხოლოდ მუშათა ინტერესებისათვის“.**

საზეიმო სხდომა იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით. (ადს).

ბრეტონელ მეთევზეების გაფიცვა

პარიზი, 6 ივლისი. ბრეტანელ მეთევზეების გაფიცვა გრძელდება. დეპუტატთა პალატაში შრომის მინისტრმა ტარდიემ განაცხადა, რომ კონფლიქტის დღევანდელ სტადიაში მთავრობას საშუალება არა აქვს დახმარება გაუწიოს გაფიცულთ. შრომის უნიტარული კონფედერაცია იტყობინება, რომ საგაფიცვო კომიტეტმა მოაწყო სურსათის გასანაწილებელი პუნქტები. კონფედერაცია მოუწოდებს მუშებს გააძლიერონ შემოწირულების შეგროვებით გაფიცულთა დახმარების ფონდი; ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ გაფიცულთ ყოველდღიურად ესაჭიროებათ 10 ათასი ფრანკი (ადს).

ღამის ცნობები

კლარა ცეტკინის პატივსაცემი მიტინგი ბერლინში

ბერლინი, 6 ივლისი. სპორტის სასახლეში გაიმართა კლარა ცეტკინის საპატივსაცემოდ გრანდიოზული მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 ათასმა კაცმა. მიტინგი დამთავრდა მხატვრული პროგრამის შესრულებით (ადს).

ქართველ მენშევიკ-ჯაშუშების საქმე

ხარკოვი, 6 ივლისი. უკრაინის იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილემ და გენერალურმა პროკურორმა ამხ. მიხაილიკმა უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ ქართველ მენშევიკ ჯაშუშების საქმის გარჩევა უზენაეს სასამართლოში დაიწყება ივლისის დამლევს. სრული სისწორით საქმის გარჩევის დრო გამორკვეული იქნება უზენაესს სასამართლოს მორიგ გამწესრიგებელ სხდომაზე (ადს).

პროფკავშირთა კანონი ლორდთა პალატაში

ლონდონი, 6 ივლისი. მეორე წაკითხვის შემდეგ ლორდთა პალატამ მიიღო კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ (ადს).

რეფორმისტების ახალი გამცემლობა

ლონდონი, 6 ივლისი. რკინის გზელთა ყრილობის ფარულ სხდომაზე განხილული იქნა ღონისძიებები, რომელიც გატარებული უნდა იქნეს მაშინ, როცა ძალაში შევა კანონი პროფკავშირების შესახებ.

ყრილობის თავმჯდომარე **დობზი** ამტკიცებდა, რომ რკინის გზელთა კავშირმა გვერდი უნდა აუხვიოს ახალ კანონს და არ შესცვალოს თავის წესდება.

ტომასი კი ამტკიცებდა, რომ „საჭიროა ანგარიში გაეწიოს ფაქტებსო“.

ტომასის შემდეგ შეტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც კავშირის აღმასკომს აძლევს რწმუნებას მიიღოს საჭირო ზომები, რომ ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, წესდების შეცვლით შეეგუონ ახალ კანონს.

გაცხოველებული კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ტომასის თვალსაზრისია გატარებული.

რკინის გზელთა კავშირის გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ რეფორმისტების ბელადებმა უარყვეს ერთად-ერთი შესაძლებლობა, რომელიც ქონდა მუშებს დარჩენილიყვენ მდგომარეობის ბატონ-პატრონად.

რკინის გზელთა კავშირმა შექმნა პრეცენდენტი და ალბათ მის მაგალითს მიჰბაძვენ დანარჩენი დიდი კავშირები, რაც უფრო მცირე პროფ ორგანიზაციებს ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ ბრძოლის ყოველგვარი საშუალება წაერთმევათ (ადს).

მაკ მანუსის ნეშტის დაკრძალვა

მოსკოვი, 6 ივლისი. 6 ივლისს წითელ მოედანზე მოსკოვის ფაბრიკებისა და დაწესებულებების მრავალრიცხოვან დელეგაციების თანადასწრებით მოხდა კომინტერნის აღმასკომის წევრის და ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრის ამხ. მაკ მანუსის ნეშტის დაკრძალვა. სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდენ ამხ. შმერალი, ბუხნოვი, პავდარი (ინდოეთის კომპარტია), სენ-კატაიამა, ბუხარინი და სხ., რომლებმაც დაახასიათეს განსვენებული, როგორც რევოლიუციონური მებრძოლი ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამხ. მაკ-მანუსი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში ჩინეთის რევოლიუციისათვის და ბრიუსელის ანტი-იმპერიალისტურ კონგრესის მომზადებაში.

სიტყვების დასრულების შემდეგ მაკ-მანუსის ნეშტი დაკრძალულ იქნა კრემლის კედელში, ამერიკელ კომუნისტის რუტენბერგის გვერდით. კრემლის კედელს გაუკეთდა წარწერა ინგლისურ და რუსულ ენაზე: „არტურ მაკ მანუსი. 1889—1927 წ.“

სამჯერადი სალიუტით დასრულდა დაკრძალვის ცერემონია.

შემდეგ დელეგატებმა ჩაუარეს ტრიბუნას, რომელზედაც იმყოფებოდენ მსოფლიო რევოლიუციის შტაბის წარმომადგენლები და კომინტერნის მუშაკნი (ადს).

შეკვეთები ნავთის სინდიკატს

ნიუ-იორკი, 6 ივლისი. „ნევტსინდიკატი“-ს გამგეობის წევრმა კალნინმა „სტანდარტ ოფ ნიუ-იორკ“-თან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით „ნევტსინდიკატი“ ვალდებულია მიაწოდოს „სტანდარტ ოფ ნიუ-იორკს“ ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 100 ათასი ტონა ბუნკერის მაზუთი ოსმალეთის, პორტ-საიდის და კოლომბოს (ცეილონი) ნავთსადგურებში მდგომ გემების საჭიროებისათვის (ადს).

შეკითხვა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 5 ივლისი. დეპუტატთა პალატამ დაადგინა გადასდოს იმ საკითხის გარჩევა, რომელიც შეტანილია მემარჯვენე დეპუტატ მირეს მიერ და შეეხება დოდესა და პიჟოუს დაპატიმრებას. აგრეთვე გადაიდო კაშენის შეკითხვის განხილვა, რომელიც საყოველთაო ამნისტიას მოითხოვს. ორივე შემთხვევაში მთავრობამ დასვა ნდობის საკითხი. (ადს)



ლეონ დოდე

საფრანგეთის ფაშისტების ბელადი, რომელიც პარიზში ამას წინად ციხიდან გაიქცა

სამთა კონფერენცია

საზღვაო „განიარაღების“ ტრაგიკომედია

ნიუ-იორკი, 6 ივლისი. „ვაშინგტონ პოსტი“, რომელიც კომენტარიებს უკეთებს სამთა კონფერენციას ჟენევაში, სწერს:

„საზღვაო შეიარაღების შემცირების მაგიერ, მაქსიმუმი იმისა, რის მიღწევაც შეუძლია კონფერენციას ჟენევაში,—ეს არის შეთანხმება იმის შესახებ, რომ დაწესდეს ხანგრძლივ დროისათვის შეიარაღების განსაზღვრული პერიოდი, რომელიც შეთანხმებულ მხარეებს მაინც მისცემს საშუალებას მეტის მეტად გაადიდონ თავიანთი ტონაჟი“.

ლიბერალური „სენი“ აცხადებს, რომ ინგლისის წინადადებები კონფერენციაზე გადააქცევენ განიარაღების კონფერენციას გამოსავალ პუნქტად, საიდანაც დაიწყე[illegible] შეჯიბრება სახელმწიფოებს შორის უდიდესს საზღვაო ერთეულების შექმნაში (ადს).

კონფერენციის მონაწილენი



ზევიდან ქვევით: **ბრიჯმან** (ინგლისი), **გიბსონ** (ამერიკა), **ადმირალი საიტო** (იაპონია), **ადმირალი ჯელიკო** (ავსტრალია).

სამთა კონფერენციის კრიზისი

ბერლინი, 6 ივლისი. ჟენევიდან მოსული ოფიციალური ცნობები აღნიშნავენ, რომ საზღვაო განიარაღების კონფერენცია ჟენევაში კრიზისს განიცდის.

შვეიცარიის ოფიციალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ კონფერენციის პირველ დღეებში შემჩნეული დიდი შეუთანხმებლობა, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შენელდა მხოლოდ ზოგიერთ პუნქტებში (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლენინგრადის ნავთსადგურში

ლენინგრადი, 6 ივლისი. მიუხედავად ინგლისთან კავშირის შეწყვეტისა, ლენინგრადის ნავთსადგურს ივნისში დიდი გამოცოცხლება ეტყობოდა. ინგლისის მუშების არ ყოფნა შეუმჩნეველი ხდება. ხშირად მოდიან გერმანიის, დანიის, ფინეთის და სხვა ქვეყნების გემები. ერთი თვის განმავლობაში ლენინგრადის ნავთსადგურიდან გავიდა **92** გემი. გემთა უმრავლესობა დატვირთული იყო ხე-ტყის მასალით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ამის გარდა, კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ლონდონიდან მოვიდა პირველი გემი „დაგე“. (ადს).

დანციგის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის დეპეშა

მოსკოვი, 6 ივნისი. საზღვარ-გარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებამ შემდეგი დეპეშა მიიღო დანციგის სავაჭრო სამრეწველო დელეგაციისაგან, რომელიც ესტუმრა ლენინგრადს, მოსკოვს და უკრაინას; „საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ გულითად მადლობას გიძღვნით იმ დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწიეთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული განვითარების შესწავლის საქმეში, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენ გავფანტოთ ის ცრუ ხმები, რომელსაც ავრცელებენ საზღვარ-გარეთ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი წრეები“. (ადს).

„ვოლხოვსტროი“

ლენინგრადი. 6 ივლისი. ვოლხოვის სადგურში ამუშავდა მესამე საბჭოთა გენერატორი. ამჟამად „ვოლხოვსტროის“ 8 მანქანიდან მუშაობს 7, მერვე გენერატორი ივლისის ბოლო რიცხვებში დასრულდება. აგვისტოში „ვოლხოვსტროი“ მთელი ძალით ამუშავდება და ლენინგრადს მისცემს 56.000 კილოვატ ელექტრო-ენერგიას. ქალაქის ყოველ-დღიური მოთხოვნილება არის 60.000 კილოვატი. (ადს)

მბეჭდავთა ყრილობა

მოსკოვი, 6 ივლისი. მბეჭდავთა და პოლიგრაფიული წარმოების მუშაკთა კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმმა დაადგინა მოიწვიოს საკავშირო მბეჭდავთა კავშირის ყრილობა დეკემბრის თვის პირველ ნახევარში. (ადს).

გვირგვინის მაგიერ

მოსკოვი, 6 ივლისი. კომინტერნის აღმასკომის წევრის მაკ-მანუსის საფლავზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გვირგვინის მაგიერ შეაქვს ავიაქიმის ფონდში 500 მან. (ადს).

უკრაინა

ნაციონალური რაიონების გამოყოფა უკრაინაში

ხარკოვი, 6 ივლისი. უკრაინის ცაკის ადმინისტრატიულ და ტერიტორიალურ კომისიას შეაქვს უკრაინის ცაკის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად საკითხი საკანონმდებლო წესით ახალი, ცხრა რუსული ნაციონალური რაიონის გამოყოფის შესახებ. კომისიამ დაადგინა, განაგრძოს მუშაობა უკრაინაში რუსული ნაციონალური რაიონების გამოყოფის საქმეზე. (ადს).

ყირიმი მიწის ძვრის შემდეგ

სიმფეროპოლი. 6 ივლისი. ყირიმის ცაკის კომისიამ გამოიკვლია მიწისძვრისაგან სამხრეთ ნაპირების სანატორიუმთა დაზიანებით გამოწვეულ ზარალი. ზარალი უდრის 300.000 მანეთს. (ადს).

მლოცველ-მუსულმანების დაბრუნება

ოდესა, 6 ივლისი. მუსულმან-მლოცველებით ჯედიდან (სირიაში) დაბრუნდა გემი „ტეოდორ ნეტტე“.

მიუხედავად ინგლისის აგენტების აგიტაციისა საბჭოთა გემის წინააღმდეგ, მლოცველები მგზავრობით დიდი კმაყოფილნი არიან. (ადს).

დახმარება სამხრეთ-ოსეთს

მოსკოვი, 6 ივლისი. საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რათა უკანასკნელმა შეიმუშაოს ღონისძიებანი სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობის დასახმარებლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და საგზაო მშენებლობის დარგში. ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს საჭირო თანხები და შეტანილი იქნეს ამ.-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის 1927-28 წლის ბიუჯეტში.

სამხრეთ-ოსეთისათვის დახმარების ღონისძიებათა შემუშავების დროს ამ.-კავკასიის მთავრობამ მხედველობაში უნდა მიიღოს აგრეთვე, ზოგიერთი თანხების გადადება საკავშირო ბიუჯეტიდან. (ადს).

სესხი ა.-კ. მრეწველობისათვის

მოსკოვი, 6 ივლისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, ამ.-კავკასიის მრეწველობისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემად შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადასცა სათანადო გეგმა. გეგმის მიხედვით ა.-კ. მრეწველობას გრძელ ვადიანი სესხი მიეცემა მიმდინარე საოპერაციო წლის მე-4 კვარტალში. **ა.-კ. მრეწველობისათვის გრძელვადიან სესხის საერთო ჯამად ნაგულისხმევია 200.000 მანეთი.** (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

არშამიტის პერიოდის სამარხი

ბაქო, 6 ივლისი. ბაქოს მაზრაში არქეოლოგ პახომოვის ექსპედიციამ აღმოაჩინა არშამიტის პერიოდის (ქრისტიან. ერის 1-ლი წლ.) სამარხები. თარიღი გამორკვეულ იქნა სამარხში ნახულ ფულებით. აღმოჩენამ მიიპყრო ადგილობრივი არქეოლოგების ყურადღება. (ადს).

ნავთის ამოღება

ბაქო, 6 ივლისი. აზნავთმა ივნისში ამოიღო 576.943 ტონა ნავთი, გეგმით გათვალისწინებულ პრ. მეტი. მიმდინარე საოპერაციო წლის სამი კვარტალის განმავლობაში სულ ამოღებულია 5.088.633 ტონა ნავთი. (ადს).

კანაფის პლანტაციები

თბილისში ჩამოვიდა სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „კენაფ“-ის წარმომადგენელი ამხ. გიტერმანი, რომელმაც გამოიკვლია კანაფის ნათესების მდგომარეობა აზერბეიჯანში, დასავლეთ საქართველოში, სომხეთში და აფხაზეთში, და აგრეთვე, ის ადგილები, რომლებიც გამოსადეგი იქნება კანაფის სათესლე პლანტაციებისათვის.

— საზოგადოება „კენაფ“-ს,—სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. გიტერმანმა,—განზრახული აქვს მოაწყოს ამიერ-კავკასიაში კანაფის სათესლე მეურნეობა 1.000 დესეტინაზე, რაც საშუალებას მოგვცემს მივაწოდოთ გლეხებს კანაფის თესლი 15—20.000 დესეტინისათვის.

ამ ჟამად საბჭოთა კავშირში კანაფის ნათესებს უჭირავს 3.000 დესეტინა, აქედან 450 დესეტინა მოდის ამიერ-კავკასიაზე, სადაც კანაფის ნათესების სივრცე შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ გაიზარდა. ამიერ-კავკასიის ჰავა განსაკუთრებით ხელსაყრელია კანაფის კულტურის განვითარებისათვის. მომავალ წელში კანაფის ნათესების სივრცე ამიერ-კავკასიაში განზრახულია გადიდებული იქნეს 3.000 დესეტინამდე.

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

თბილისში ჩამოვიდა ბაქო-ბათომის ნავთსადენთან დაკავშირებულ საკითხების გადასაწყვეტად ნავთის სინდიკატის გამგეობის წევრი ამხ. **პოლიაკი**, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— მიმდინარე წელში ნავთის სინდიკატმა საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტი გააფართოვა დაახლოვებით 35 პროცენტით. 1927-28 წელში ჩვენ კიდევ უფრო ვაფართოვებთ ექსპორტს; ამასთანავე ორი მესამედი გასატანად განზრახულ რაოდენობისა უკვე გაყიდულია.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ნავთის პროდუქტებზე საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში. იტალია მისთვის საჭირო ნავთის რაოდენობის 60 პროც. ყიდულობს საბჭოთა კავშირისაგან. ეგვიპტის ბაზარი თითქმის მთლიანად ნავთის სინდიკატის ხელშია. ცეილონს და ბრიტანეთის ინდოეთს, რომლებიც აქამდი ამერიკულ ნავთს ხმარობდენ, ამეირიდან ნავთის პროდუქტებს მიაწოდებს ბათომის ნავთსახდელი ქარხნები, რომლებსაც აშენებს ფირმა „სტანდარტ ოილ“.

ჩვენ ხელშეკრულება დავდევით სამხრეთ აფრიკის კაპიტალისტების ჯგუფთან ბენ[illegible]ის მიწოდებაზე. მიმდინარე თვეში ბათომში მოვა პირველი გემი ბენზინის წასაღებად. ჩვენი ნავთის პროდუქტების ექსპორტი ინგლისში უცვლელად სწარმოებს.

მსოფლიოს ამბები და ქართველი ხალხი

5

რუსეთი. — საქართველოს საშინაო ეკონომიკის აღდგენა მხოლოდ ახლა იწყება

როცა ჩვენ ქართველი ხალხის ეკონომიკის ბუნებრივ გზებზე ჩამოვაგდებთ ლაპარაკს უპირველეს ყოვლისა წინ დაგვიდგება რუსეთის პრობლემა. საქართველოს მენშევიკები ამჟამად წელზე ფეხს იდგამენ, რომ როგორმე ჩვენს ხალხს რუსეთი შეაძულონ. რასაკვირველია, ჩვენ იმდენად არ უნდა დავეცეთ არასოდეს, რომ რომელიმე ქვეყნის ლანძღვა - გინებაში ვპოვებდეთ დაკმაყოფილებას და მხოლოდ ეს გინება მოგვაჩნდეს მეცნიერულ მსჯელობად.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა განვიხილოთ არა ის, რაც ჩვენ გვესიზმრება, არამედ ვნახოთ პირდაპირ ცხოვრების მაგალითი, რეალური მდგომარეობა, ის , რაც არის, ის რასაც ვხედავთ, დავაფასოთ ის რაც ჩვენს წინ არის გადაშლილი.

ზევით ჩვენ ერთი დებულება წამოვაყენეთ: ორ სახელმწიფოთა შორის იმდენად დიდია ურთიერთობა, რამდენადაც მათ შორის მეტი განსხვავებაა და ამავე დროს რამდენადაც ეს ორი ან ზედმეტი ერთეულები ერთმანეთთან ახლოს არიან. ამ მხრივ არც სპარსეთი, არც ოსმალეთი, არც ევროპა არ წარმოადგენენ ურთი-ერთობისათვის ისეთს ბუნებრივად დადებით პირობას, როგორც არის მდგომარეობა და სხვადასხვაობა საქართველოსა და რუსეთის. საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის რუსეთი წარმოადგენს საუკეთესო ბაზარს და ჩვენ მე-4 წერილში უკვე აღვნუსხეთ, რომ ჩვენი ხალხის ყოველივე ნაწარმოები უმთავრესად გადის და საღდება რუსეთში. დაუკეტეთ თქვენ ჩვენს ხალხს რუსეთის ბაზარი და ის მეორე დღესვე იძულებული გახდება ასჭრას დაფნის სანერგეები, შეამციროს მეთამბაქოება, მოსპოს ჩაის კულტურა, გააჩანაგოს ხეხილის ბაღები, ვენახები, ერთი სიტყვით თავისი ისედაც ვიწრო ეკონომიური ხარბიელი კიდევ უფრო შეამციროს, ე. ი. ისედაც გაღატაკებული ხალხი კიდევ უფრო გაღატაკდეს.

თვით ის გარემოება, რომ ქართველ ხალხს თავისი ნაწარმოების უდიდესი ნაწილი გააქვს რუსეთში აადვილებს და იწვევს რუსეთიდან საქონლის შემოტანას საქართველოში: ექსპორტი დაკავშირებულია იმპორტთან. საქართველოში რომ ხდებოდეს მხოლოდ ევროპის ჩითის, მიტკალის ,შალეულის და რკინეულის გასაღება ეს გამოიწვევდა ჩვენი ხალხის კიდევ ზედმეტად გაღატაკებას, ვინაიდან ევროპა იქნებოდა ჩვენში შემომტანი სხვადასხვა საქონლის, ხოლო გატანით კი ის არაფერს გაიტანდა ჩვენგან, რასაკვირველია მე აქ ვგულისხმობ ჩვენი ხალხის საკუთარ საშინაო წარმოების პროდუქტებს.

ამგვარად, რუსეთი, რომელიც მთელი თავისი ბუნებით, მდგომარეობით, კულტურით, წარმოებით ძირითადად განირჩევა საქართველოდან და რომელიც ამავე დროს უუმახლობელესი დიდი სამსოფლიო სახელმწიფოა, ქმნის იმ ბუნებრივ ურთიერთობას, რომლის შექმნა ასევე ბუნებრივად არ შეიძლება არც ერთ სხვა სახელმწიფოსთან. ჩვენ ამ გარემოებისაკენ მივაპყრობთ ყველას ყურადღებას, ვინაიდან ეს იმდენად მნიშვნელოვანი და გადამჭრელია, რომ რანაირადაც არ უნდა უყურებდეთ რუსეთს, ამ კონკრეტ (მარტივ) მდგომარეობას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიოთ, რასაკვირველია თუ ჩვენ გვინდა ანგარიში გაუწიოთ ჩვენი ხალხის საწარმოო ინტერესებსაც.

რუსეთი ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი და სერიოზული პრობლემაა. ქართველ მენშევიკებს ჰგონიათ, რომ საკმაოა მათ ზურგი შეაქციონ რუსეთს და ამითვე საკითხიც გადაიჭრება, ქართველი და რუსის ხალხი, საქართველო და რუსეთი ერთმანეთს აღარ შეხედავენ, მათ შორის უფსკრული აღიმართება. ამ მენშევიკურ ბალღურ აზრს ჩვენ ერთ წუთსაც ვერ გავიზიარებთ.

საქართველოს უახლოესმა ისტორიამ იცის ორი რუსეთი—რუსეთი თვითმპყრობელობის და რუსეთი კომუნისტების. თვითმპყრობელური რუსეთი უკვე აღარ არსებობს და იგი წარმოადგენს მხოლოდ საისტორიო კვლევა-ძიების მდიდარ მასალას; კომუნისტური რუსეთი არსებობს და მისი მუშაობის შესწავლა შეიძლება იმ შედეგების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს 6—10 წლის განმავლობაში.

თვითმპყრობელურმა რუსეთმა საქართველოს ისტორიულ კონკრეტ პირობებში ითამაშა დიდი პოლიტიკური როლი. რუსეთის თვითმპყრობელობის ეკონომიურ შემოქმედების უარყოფითი მხარეებზე ჩვენ აქვე გვექნება ლაპარაკი, ხოლო არ შეიძლება არ აღვნუსხოთ, რომ მე-19 საუკუნის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურეთნიური და ტერიტორიალური გაერთიანება მოხდა თვითმპყრობელურ რუსეთის ხანაში. რანაირადაც არ უნდა უყურებდეთ ჩვენ ძველ რუსეთს ეს როლი საქართველოს ისტორიაში მან შეასრულა, რასაც ქონდა მთელი ჩვენი შემდგომი ისტორიული და კულტურული მსვლელობისათვის უდიდესი დადებითი მნიშვნელობა.

1828 წელში რუსეთმა ოსმალეთს ჩამოართვა საქართველოს ნავთსადგური ფოთი, 1877 წელში ოსმალეთსავე ჩამოართვეს ნავთსადგური სოხუმი, ხოლო 1878 წ. ოსმალეთს დააცლევინეს ნავთსადგური ბათომი. ჩვენ გვინდა მხოლოდ ამ გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. წარმოგიდგენიათ თქვენ თანამედროვე საქართველო — უბათუმოთ, უფოთოთ, უსოხუმოთ? რა იქნებოდა საქართველო, მას რომ — სულ ერთია რა გზითაც არ უნდა მომხდარიყო ეს — არ ქონდეს ხსენებული ნავთსადგურები? ჩვენ შეგვიძლია კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ ამ ნავთსადგურების გარეშე წარმოუდგენელია ქართველი ხალხის სოციალური და ეკონომიური განვითარება, შეუძლებელია საქართველოს არსებობა.

მთელს მე-19 საუკუნის სივრცეზე ევროპას არ უთამაშნია საქართველოსთვის ამ მხრივ არავითარი დადებითი მნიშვნელობა, პირიქით, ევროპა ადრიანოპოლისა და ბერლინის საზავო ხელშეკრულების დადების დროს ყოველივე საშუალებით ებრძოდა რუსეთს, რათა ეს ნავთსადგურები არ გადასცემოდა მას. მართალია ხსენებულ საზავო ხელშეკრულებათა დადების დროს კონკრეტად საქართველოს საკითხი, როგორც ასეთი, არ იდგა, ხოლო ევროპა საერთოდ ებრძოდა რუსეთს მისი აღმოსავლეთის მიმართულებით გაშლის გამო, მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა მთავარი, გენერალური დებულების წამოყენება: **რუსეთი იყო ობიექტიურად სასარგებლო ძალა საქართველოსათვის, მაშინ, როცა ევროპამ ითამაშა ჩვენთვის ობიექტიურად საზარალო როლი.** ამგვარად, ევროპის როლი ისტორიულად უარსაყოფი და მავნებელი გახლდათ საქართველოსთვის. ამ გარემოებისათვის ჩვენს მწერლობაში არავის მიუქცევია ყურადღება, თუმცა ამ მომენტს აქვს არა მარტო თეორიული ისტორიული მნიშვნელობა, არამედ დიდი თანამედროვე პრაქტიკული მნიშვნელობაც. რუსეთი, როგორც ასეთი დღესაც თამაშობს ჩვენთვის დადებითს კულტურულ - ეროვნულ როლს, ხოლო ევროპა დღესაც თამაშობს ჩვენთვის უარყოფით როლს.

მკითხველს მოეხსენება, რომ 1917 წლიდან, აღარ არსებობს ძველი რუსეთი, რუსეთი თვითმპყრობელობის, მაგრამ არსებობს და დარჩა სხვა შინაარსის და სხვა მიმართულების რუსეთი.

მოვიგონოთ მახლობელი წარსული. საკმარისი იყო დაცემულიყო რუსეთი, რომ ჩვენ მყისვე დაგვეკარგოდა ისეთი მნიშვნელოვანი მთელი ოლქი, როგორიც იყო და არის ართვინის ოლქი, მდიდარი სპილენძის მაღაროებით. საკმარისი იყო შესუსტება ჩვენში რუსეთის, რომ ახალქალაქი - ახალციხის რაიონები მყისვე დაეჭირა ოსმალეთს. 1920 წელში და 1921 წლის აპრილამდე ოსმალეთი შემოიჭრა გურიაში და ოსმალური ასკერები, ოსმალეთის ჯარისკაცები გაბატონდნენ ბათომში, ახლა მხოლოდ კომუნისტურ რუსეთის ძალას მიეწერება ის გარემოება, რომ ჩვენ შერჩენილი გვაქვს ბათომი, ფოთი და სოხუმი. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შესძლო ვერც ერთი თავისი პოსტის დაცვა და ის ყოველ ომსა და ბრძოლაში მარცხდებოდა.

აქ ჩვენ ისევ ვაყენებთ ევროპის პოლიტიკის და როლის საკითხს. რა როლი ითამაშა ევროპის დიპლომატიამ მაშინ, როცა საქართველო კარგავდა ართვინის ოლქს, რა როლი ითამაშა ევროპამ მაშინ, როცა ოსმალეთის ასკერები შემოდიოდნენ და იჭერდნენ ბათომს. ევროპის დიპლომატია, რომლის ძალებით სავსე იყო ამიერ-კავკასიის ყოველი კუთხე, რომელიც ერეოდა ყოველ საკითხის გადაწყვეტაში, ეხებოდა ეს საკითხი მას თუ არა. მაშინ, როცა საქართველოს სასიცოცხლო საკითხები სწყდებოდა საქართველოს საზარალოთ ხმა ჩაიკმიდა, კრინტი არ დასძრა, თუმც ევროპას შეეძლო გადამჭრელი როლი ეთამაშა ყოველ ამ საკითხში. აქედან აშკარაა:

თუ რუსეთი ისტორიულად თამაშობდა და დღესაც თამაშობს დადებითს ისტორიულ როლს, ევროპა კი ჩვენთვის თამაშობდა და თამაშობს მხოლოდ მავნე და უარყოფითს როლს. ევროპას მუდამ სძინავს, როცა საქართველოს შესახებ იქნება ლაპარაკი, ევროპას არსად და არასოდეს არ დაუცავს საქართველო და ევროპა არც არასოდეს (რასაკვირველია ჩვენ ოფიციალურ მომენტებზე და არსებულ მთავრობებზე გვაქვს ლაპარაკი) დაიცავს საქართველოს.

მენშევიკურ პარტიას, რომელიც დღეს ევროპაზე ღაღადებს, ევროპისათვის ლოცულობს, ევროპას იწვევს და იგი მიაჩნია ერთად-ერთ კულტურულ ძალად, ერთხელაც არ შეუწუხებია თავი საქართველოსათვის ევროპის ისტორიულ მნიშვნელობაზე ლაპარაკით, ვინაიდან მენშევიკებს არც ისტორია ენაღვლებათ, არც მეცნიერული კვლევა - ძიება, მათ მხოლოდ ბოლშევიკების გინება დაუსახავთ მთავარ მიზნად და დანარჩენი სულ ერთია. ევროპა ხომ ლამაზი სიტყვაა, ის ხომ წარმოდგენილია ჩვეულებრივად, როგორც სიმბოლო განათლების, კულტურის, წინსვლის. განა ევროპის ძახილით უფრო ადვილი არ იქნება ხალხისათვის თვალის ახვევა და ლვრია წყალში საკუთარი ინტერესების დაცვა. მხოლოდ და მხოლოდ ამით აიხსნება, რომ მენშევიკები მუდამ ევროპაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არც ერთხელ კანტი - კუნტადაც არ ეხებიან ევროპის ისტორიულ და დღევანდელ როლს საქართველოსათვის.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთი, როგორც ასეთი საქართველოსათვის არის ობიექტიურად სასარგებლო მოვლენა. ქართველ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ თავის დროზე ნ. ჟორდანიამ აღნუსხა რუსეთის პროგრესიული მნიშვნელობა საქართველოსათვის; ნ. ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა თვითმპყრობელური რუსეთი, მაგრამ იგივე ნ. ჟორდანია დღეს კომუნისტურ რუსეთს რეტროგრადიულ და მავნე ელემენტად სთვლის მთელი ქართული კულტურისათვის. აქ ჩვენ ვხედავთ ფრიად შესანიშნავ მოვლენას: საქართველოს მენშევიკები საზოგადოდ დადებითად სცნობდნენ ნიკოლოზის რუსეთის როლს საქართველოსათვის, ხოლო უარყოფითად სცნობენ ლენინის და ჯუღაშვილის რუსეთს. მენშევიკები ამ მხრივ ესარჩლებიან თვითმპყრობელობას, მაგრამ ებრძვიან კომუნისტებს. განა აქედან აშკარა არ არის კურსი მენშევიკების მიმართულებისა?

მაგრამ ნ. ჟორდანიამ თავის დროზე ვერ შესძლო რუსეთის ისტორიული მნიშვნელობის სათანადო შეფასება, ან უკეთ რომ ვსთქვათ ნ. ჟორდანიამ ვერ გაარკვია თვითმპყრობელურ რუსეთის წმინდა ეკონომიური როლი საქართველოში. აი ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მიმდინარე ცხოვრებისათვის.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ რუსეთი საერთოდ და ობიექტიურად დადებით როლს თამაშობდა საქართველოს საერთო ცხოვრებაში, **თვითმპყრობელურ რუსეთის ეკონომიური პოლიტიკა ჩვენში ისეთივე იმპერიალისტური იყო, როგორც ევროპის ფინანსიური კაპიტალის პოლიტიკა. რასაც ევროპის ფინანსიური კაპიტალი აკეთებდა ჩვენს ეკონომიკაში, იმას რუსეთის თვითმპყრობელობა ასრულებდა პოლიტიკაში.** რუსეთი საქართველოსათვის ფართო ბაზარი იყო, მაგრამ რუსეთი, რომლის ეკონომიურ პოლიტიკაზე იყო გადაჯაჭვული მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ალორძინების საკითხები, ჰქმნიდა ხელოვნურად ისეთს პირობებს, რომ საქართველოში შეუძლებელი ყოფილიყო ქართველი ხალხის შინაური საწარმოო ძალების განვითარება-გაფართოვება. საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა დღეს, თუმცა ამისათვის საჭირო და საკმაო მიწა-ადგილი საქართველოში არ არის. საქართველო პირველყოვლისა უნდა გარდაიქცეს სამრეწველო ქვეყნად, რაც შეეფერება მის ბუნებრივ პირობებს და სიმდიდრეს, მაგრამ რუსეთს არ დაუარსებია არც ერთი ქარხანა, არც ერთი ზავოდი, არც ერთი დიდი მექანიკური სახელოსნო ქართულ-შინაურ მრეწველობის განსავითარებლად. თვითმპყრობელური რუსეთი პირდაპირ ხელს უშლიდა ასეთ სამრეწველო ბაზისების შექმნას საქართველოში, ვინაიდან ეს რამდენადმე ხელს შეუშლიდა შიდა რუსეთის მრეწველობას. **თვითმპყრობელობის რუსეთი არა თუ ხელს არ უწყობდა ქართულ მრეწველობის აღდგენას, ის თვით სოფლის მეურნეობის დანგრევასაც ეწეოდა.** საქართველოს საეკლესიო მამულები რუსეთის ხაზინამ ჩაიგდო ხელში, ხაზინამ მიისაკუთრა აგრეთვე ურიცხვი თავადების მამულები, ხაზინამ საგლეხო და სათავად-აზნაურო ბანკების საშუალებით მრავალ ათასი დესეტინა ჩვენი მიწა-ადგილი ჩაიგდო ხელში რუსიფიკატორული კოლონიზაციის მიზნით. **ამგვარად, რაც ევროპის ფინანსიურ კაპიტალს არ შეუსრულებია ჩვენში, იმას ამთავრებდა თვითმპყრობელური რუსეთი და აი, ორივე ეს ძალა—ევროპის ფინანსიური კაპიტალი და თვითმპყრობელ რუსეთის გამანადგურებელი საშინაო ეკონომიური პოლიტიკა მენშევიკების მიერ მისაღები [illegible] და მოწონებული.**

მაგრამ ახლა ჩვენ [illegible]: თუ თვითმპყრობელური [illegible]ური პოლიტიკა და ევროპის ფინანსიური კაპიტალის ძალმომრეობა ჩვენში იყო გამანადგურებელი და მიუღებელი, რა ხასიათი და სახე აქვს ბოლშევიკების მიერ წარმოებულ ეკონომიურ პოლიტიკას საქართველოში?

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საბჭოთა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას მჭიდრო კავშირი აქვს დაჩაგრულ ერების ნაციონალურ საკითხთან. მკითხველი ხედავს აგრეთვე, რომ ჩვენც მთელ რიგ სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებსაც ვაშუქებთ აქ ეროვნულის თვალსაზრისით,

რას ვხედავთ ჩვენ ამ მხრივ საქართველოში? რა ფაქტებთან გვაქვს საქმე? „ბრძოლის“ მე-17 ნომერში ნ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ „ინდუსტრიალიზაციის საკითხი სდგას... წმინდა რუსულ ნაციონალურ სამოსელში“-ო. თუ ეს წინადადება ისე უნდა გავიგოთ, თითქოს ბოლშევიკებს საზოგადოდ არ შეუძლიათ არავითარი ინდუსტრიალიზაციის გატარება და გახხორციელება—ეს უნდა იქნას შემოწმებული ფაქტებით და არა ლიტონი სიტყვებით.

ძალიან ძნელია ამ მეტად საპასუხისმგებლო საკითხებზე მენშევიკებთან ლაპარაკი იმიტომ, რომ ეკონომიურ მეცნიერებაში ზოგად დებულებათა დამტკიცებისათვის იყენებენ სტატისტიკას, ციფრებს, ხოლო ჩვენი ციფრების შესახებ ისინი ამბობენ—თქვენი ციფრების არა გვჯერაო. მკითხველი შენიშნავდა აქ ჩვენს წერილებში, რომ ჩვენ, რომელსაც ბევრი ციფრებით მასალაც მოგვეპოვება და ამავე დროს ეს ციფრები ძალიანაც გვიყვარს, ეს ციფრები განზრახ არ მოგვყავს. ჩვენს აზრს ვარკვევთ პირდაპირ შეურყეველ და ყველასათვის ცნობილ დებულებებით. ამავე დროს, ხომ არ შეიძლება ყოველი წამოწყების და ქარხნის შესახებ პუბლიცისტურ წერილში მოვიყვანოთ ფოტოგრაფიული სურათი.

ამიტომ ჩვენ უციფროთ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს, საქართველოში ამ უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში გაკეთდა და ან უკვე გაკეთება-დამთავრების პროცესში არის შემდეგი ქარხნები: შალის ქარხანა ქუთაისში, ბარიტის ქარხანა ქუთაისში, შალის ქარხანა თბილისში, აბრეშუმის ძაფის ქარხანა ხონში და თელავში, ავეჯეულობის დიდი ქარხანა მარელისში, ხე-ტყის ქარხანა ბაღდადში, ბამბის გასაწმენდი ქარხანა ყარაიაში, ჩაის ქარხანა ოზურგეთში, შპალის ქარხანა გორში, ხე-ტყის ქარხანა რაჭაში, კასრების ქარხანა ბათომში, ცემენტის ქარხანა კავთისხევში, მამოძრავებელი ძალის ქარხანა (ელექტროენერგია) ავჭალაში, ბათომში (აჭარის წყალის); სამეგრელოში (აბაშის სადგური), ახალციხეში, სოხუმში, კახეთში, ხონში. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ტირიფონის ველის მოსარწყავად, რასაც ქვეყნისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მუშაობაშია აგრეთვე ფოთის ჭაობები, რომლის როლი ჩვენს ეკონომიკაში დაუფასებელია. აქ შევჩერდეთ. ჩვენ არავითარი მასალა არ მოგვყავს მთლიანად ირიგაცია - მელიორაციის შესახებ, ჩვენ კრინტსაც არა ვსძრავთ აქ სოფლის მეურნეობისათვის შემოტანილ ძვირფას მანქანების და ტრაქტორების შესახებ, ჩვენთვის სრულიად საკმაოა, რაც მოვიყვანეთ.

ნება მოგვეცით ახლა ამ საკითხებს, ამ წამოწყებებს მიუდგეთ, როგორც ეკონომისტი, ე. ი. განვიხილოთ იგი პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერების თვალსაზრისით. რას ნიშნავს ყველა ეს მოვლენა?

აბა კარგად დააკვირდით ამას. მე ვფიქრობ, რომ ჩემი წერილები ძალიან გაუადვილებს მკითხველს ამ მოვლენის სისწორით შეფასებას, ვინაიდან ჩვენ ახლა ზედმიწევნით სწორი შეხედულება გვაქვს საქართველოში დღემდე არსებულ ევროპიულ კაპიტალის და ძველი რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. **თქვენ უკვე ხედავთ, რომ საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა სრულებით არა ჰგავს არც ევროპიულ კაპიტალის მსვლელობას და არც ძველი რუსეთის ხაზს.**

ძველი რუსეთი არ აგებდა ჩვენში ცემენტის ქარხანას იმიტომ, რომ მას უმჯობესად მიაჩნდა თავისი „მერგელის“ გამოყენება ნოვოროსიისში და იქიდან საქართველოში ცემენტის გასაღება. მაგრამ ახლა საბჭოთა მთავრობა ამბობს: რა სისულელეა! საქართველოს აქვს თავისი მადანი-მერგელი, ცემენტის ქარხანაც თვით საქართველოში უნდა დაარსდეს და აარსებენ კიდეც.

ძველი რუსეთი არ აგებდა საქართველოში შალის ფაბრიკას, იმიტომ, რომ რუსეთის დამზადებული შალი შემოქონდა საქართველოში გასასაღებლად. რა სისულელეა,—ამბობს საბჭოთა მთავრობა—საქართველოს აქვს მატყლი და შალის ქარხანაც საქართველოში უნდა დაარსდეს და აი ჩვენ უკვე ორი შალეულის ქარხნის წინაშე ვდგევართ.

საქართველო მდიდარია მრეწველობისათვის უმთავრესი საჭირო მასალით,—სათბობი ენერგიით. რუსეთი არ იყენებდა ამ ენერგიას, ვინაიდან მას არ უნდოდა საქართველოს საშინაო წარმოება—მრეწველობის განვითარება. რა სისულელეა—ამბობს საბჭოთა მთავრობა—საქართველოს აქვს ბუნებრივი უხვი მასალა მრეწველობისათვის საჭირო ენერგიის შესაქმნელად. კეთილი. მოაქვს შვეციიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად გაკეთებული ტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები და აწყობს მთელ რიგ ენერგიის ქარხნებს .

ესე იგი საბჭოთა მთავრობამ მიაქცია ყურადღება ჩვენი ცხოვრების იმ მხარეებს, რომელიც არა თუ არ აინტერესებდა უცხოეთის, ევროპის და ძველ რუსეთის ძალებს, არამედ რომელნიც ხსენებულ მხარეებს განზრახ აფუჩეჩებდნენ. ძველი რუსეთი და ევროპა სრულიად არ ცდილობდნენ ქართველი ხალხის საშინაო წარმოების განვითარებას, თვით ქართველი ხალხის გულში **საბჭოთა მთავრობამ კი სწორედ ამ საშინაო, ჩვენი ხალხის გულის წარმოებას მოჰკიდა ხელი და დაარსა მთელი რიგი ქარხანა, რომელშიაც მთელი ქართველი ხალხია დაინტერესებული, რომელიც იწვევს საქართველოს შიდა საწარმოო ძალების აყვავებას.** კაპიტალიზმის უარყოფითი ფორმები საბჭოთა წყობილებამ შესცვალა ნორმალურ ეკონომიური ნომენკლატურით—აი, მდგომარეობის შინაარსი—ეკონომიურ მეცნიერების ენაზე რომ ვსთქვათ.

ის, რაც არ მომხდარა ას ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში, სადაც ევროპის კაპიტალისტები და რუსეთის ნამესტნიკები ბატონობდნენ, ის ხდება ამ უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში. **საქართველოს ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას მხოლოდ ახლა ეყრება საძირკველი,** მხოლოდ ახლა ხდება ქართველი ხალხი საწარმოო ძალების აღდგენა და აყვავება. დღეს ჩვენ საქართველოში საქმე გვაქვს უდიდეს ეკონომიურ რევოლიუციასთან, რასაც არასოდეს ადგილი არ ჰქონია საქართველოს არსებობის არც ერთ ხანაში.

ვინ არ ხედავს ამას? ვის სურს არ დაინახოს ეს? ვინ იბრმავებს თავს და ვის სწადია ამ შესანიშნავ მოვლენას გვერდი აუხვიოს, დააბნელოს იგი და ამ გზიდან სხვა ძველს რეაქციონურ გზაზე გადაიყვანოს მთელი ეს შესანიშნავი პროცესი?

ნუ თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატია არ გრძნობს თუ რა მოვლენა და რა შესანიშნავი პროცესებია ჩვენს ცხოვრებაში. ნუ თუ დიდ ხანს კიდევ გაგრძელდება გადაფუჩეჩება ამ ისტორიულ, საქართველოსათვის განმანახლებელ, პროცესების?

თედო ღლონტი.

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარი.

გუშინ საღამოს ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგა თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა შემდ. საკითხები: 1) ავიაციის და თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოების მოხსენება და, 2) საბინაო ამშენებლობის საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკ. ამხ. **ფ. მახარაძემ.**

არას დროს ისე არ მოახლოვებულა ომის საშიშროება, როგორც დღევანდელ დღეებში. დაიწყო ამხ. ფილიპემ. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი „კაპიტალისტ გარემოცვის პირობებში, ყოველთვის მზად უნდა იყვეს თავდაცვისათვის. 1918 წელში, როდესაც მსოფლიო იმპერიალისტური ომი გათავდა, ლენინმა სთქვა, რომ თუმცა საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა თავი დააღწიეს სისხლიანი ომის რკალს,—მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშათა კლასს აღარ შეხვდება მეტი ომები. ეს მხოლოდ დროებითი შესვენებაა, რომლის დროსაც ჩვენ მოგვიხდება კაპიტალისტთა კლასისაგან დაცვა.

1913 წელში ყველა ეს სახელმწიფო ერთად სამხედრო საქმეებზე ხარჯავდა 93 მილიონ დოლარს, 1923 წელში 1,74 მილიონ დოლარს—მხოლოდ 1926 წლისთვის ხარჯები გაიზარდა 1,768 მილიონ დოლარამდე. კაპიტალისტები აძლიერებენ სამხედრო ძალას როგორც ჰაერში, ისე ხმელეთსა და ზღვაზე. უძლიერესი სამხედრო საზღვაო ფლოტის მქონე სახელმწიფოები:—შეერთებული შტატ., ინგლისი და იაპონია ამ ახლო წარსულში შეიკრიბენ [illegible] ძალების გასაზომლად [illegible]. სინამდვილეში [illegible] ერთი მეორის [illegible] საზღვაო სამხედრო ფლოტს.

ჩვენი მოვალეობა არაა გამოვუდგეთ იმის ძიებას ომი იქნება თუ არა. ჩვენ უნდა ვემზადოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა საქართველოს ავიაქიმის და თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოების მოღვაწეობაზე, აღნიშნა დაწვრილებით მისი მიღწევები და უარყოფითი მხარეები. აღნიშნა რომ ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გაშლილი ამ საზოგადოების მუშაობა, რაც საჭიროებს პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ძველი ბრძნული თქმულება ამბობს დასასრულ მომხსენებელი—„თუ არ გინდა ომი, ემზადე—მისთვის“—სავსებით უნდა შევისისხლხორცოთ. არ უნდა შევამციროთ მტრების ძალების მნიშვნელობა და არ უნდა გავაზვიადოთ ჩვენი ძალები. თავგამოდებით უნდა ვიმუშაოთ თავდაცვის ფრონტზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. უმიკაშვილმა, არეშინამ, ჩოჩიევმა, განემანმა, პრეობრაჟენსკიმ, მახარაშვილმა, რატნერმა, ჯიოევამ, აბაშიძემ, ბზეკალავამ და ეგიკოვმა.

ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ დაიხურა პლენუმის პირველი სხდომა. მეორე კრება შესდგება დღეს.

ნ. ფურცელაძე.

სად როგორ მუშაობენ ღარიბთა შორის

(თბილისის მაზრა)

ღარიბ გლეხობათა შორის მუშაობა პრაქტიკულად დაყენების შესახებ ადგილიდან მიღებულ მასალების გადახედვის დრო ჩვენ ვხედავთ, რომ მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის არ არის სათანადოთ გაშლილი. ა არის ჩამოყალიბებული ღარიბთა ჯგუფები, საბჭოთა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებთან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შესაძლებლობა არის. მანგლისის თემკომი ამ საკითხის შესახებ სწერს: **„ჯერ ღარიბთა ჯგუფები არ არიან ჩამოყალიბებული** ქვემოთჩამოთვლილ ორგანიზაციებთან: საბჭოსთან, კოოპერაციასთან და გლკომთან, (მაშ, სადაა ჩამოყალიბებული?.. ნ. ქ.

მიუხედავათ იმისა, რომ ასეთის ჩამოყალიბება შეიძლებოდა ავჭალის თემკომი, დაპირდასმულ კითხვას, თუ რამდენი ღარიბ ჯგუფია თემში ჩამოყალიბებული, გვერდს უხვევს და სწერს „საბჭოში არჩეულია 23 ღბი და 3 მოჯამაგირე“ და შემდეგ ჩამოთვლის თუ რამდენი ღარიბი და მოჯამაგირეა არჩეული სხვა დასხვა ორგანიზ. მარტყოფის, ბარმაქსის და თიონეთის თემკომები იტყობინებიან, რომ „ცალკე ჯგუფები არსად არ არის ჩამოყალიბებული“. ამასთანავე თიონეთი და ბარმაქსის თემკომები „გვაიმედებენ“ იმით, რომ ასეთის ჩამოყალიბებას უკვე შეუდგენ.

ამავე დროს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ც. კ. საორგანიზაციო-ს დადგენილება ამბობს: **„ცეკა წინადადებას იძლევა მეტი გაბედულებით შეუდგნენ ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბებას, ჩამოყალიბ იგი ისეთ სოფლებში, სადაც არსებობს უჯრედი ან თემკომი“** (ვოლკომი).

აღბულაღის თემკომმა დაიხსნა თავი ბრალდებიდან იმით, რომ იწერება: „ხედავათ მოწერილობისა საბჭოს ფრაქციაში 2 თვის წინათ, რომ მათ ჩამოეყალიბები ღარიბთა ჯგუფები, ჯერ არსად შესდგომ ასეთის ჩამოყალიბებას, ირაკინის თემის [illegible]“.

მანგლისის თემკომი ხელმძღვანელობის შესახებ სწერს: „ვინაიდან ჯგუფები თემში არ არსებობენ—ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ ვინ ხელმძღვანელობს მათ. რომ ჯგუფი ყოფილიყო, ხელმძღვანელობას აიღებდა თავის თავზე თემკომი და ფრაქციები საბჭოს და კოოპერატივების გამგეობისა“. ამის წერის რამოდენიმე დღის შემდეგ თემკომმა აცნობა: „მიეწეროს ფრაქციებს თემის აღმასკომისა და კოოპერატივის, რომ ჩამოაყალიბონ ღარიბთა ჯგუფები და აწარმოონ შესაფერი მუშაობა“, გომბორის და ავჭალის თემკომები იწერებიან, რომ მათ ჰყავთ მიმაგრებული ამხანაგები ღარიბთა კრებებზე და ჯგუფებზე და მათი ძლიერებით უწევენ ხელმძღვანელობას.

ზემოთქმული მოწმობს იმას, რომ პარტორგანიზაციებში არსებობს ტენდენცია, რომ ღარიბ გლეხთა შორის, როგორც ჩამოყალიბების, ისე ხელმძღვანელობის მხრივ, გადაიტანონ სხვა რომელიმე ორგანიზაციას და მიმაგრებულ ამხანაგებს; ამავე დროს ზემომოყვანილ დადგენილება აღნიშნავს: „ცეკა სთვლის აუცილებელ (ე. ი. ცდებს, რომ ხელმძღვანელობა ღარიბთა ორგანიზაციებს) შეცდომათ და წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ზომები ამ მუშაობისათვის პარტორგანიზაციის მიერ სრული და უშუალო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფათ“. თბილისის მაზრის თემკომების ინსტრუქტორების თათბირმაც ასეთივე დადგენილება მიიღო: „ხელმძღვანელობა მათზე (ე. ღარიბთა ჯგუფებზე და კრებებზე) უნდა ეწარმოებოდეს უშუალოდ პარტორგანიზაციის მიერ როგორც ჩამოყალიბებაში, ისე კრებების მოწვევაში და ამ კრებების დღის წესრიგის შემუშავებაში“.

რომ ადგილებზე არსებობს გაურკვევლობა ღარიბთა შორის მუშაობის წინაშე მდგომ ამოცანების საერთო და კერძოთ განსხვავების ღარიბთა კრებების და ღარიბთა ჯგუფების შორის,—ცხადია, ამას ამტკიცებს თიონეთის თემკომის დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ა. წ. 27 მაისიდან ჩამოყალიბებული იქნეს ღარიბთა და საშუალოთა ჯგუფები ყველა დიდ სოფლებში და დაისვას დღის წესრიგში 27—28 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“.

პირველად-ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საშუალო გლეხობათა ჯგუფი არ არსდება, მხოლოდ არსდება ღარიბთა ჯგუფები ამა თუ იმ ორგანიზაციასთან; ამავე ორგანიზაციის წევრები—ღარიბი და მოჯამაგირეებისაგან. ეს ერთი და მეორეც ის, რომ ღარიბთა ჯგუფების და ღარიბთა კრებების შორის ის განსხვავებაა, რომ **„ღარიბთა ჯგუფები შეიძლება დაარსებულ იქნას საბჭოებთან, სამმართველოებთან, კოოპერაციებთან და გლეხკომებთან მათი წევრებისაგან—ღარიბ-მოჯამაგირეებისაგან მცირე-შეძლებულ სოფლის ფენების ინტერესების უზრუნველსაყოფათ ამ ორგანიზაციების მუშაობაში“.** (დადგენილება ს. ს. კ. პ. ცეკასი, კურსივი ც. კ. „უწყების“ რედაქციისა). ჩვენ ამას უნდა დაუმატოთ, რომ ჯგუფები არსდება იქ, სადაც არსებობს უჯრედი, ან თემკომი. ამრიგად ღარიბთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, რომ სოფელში არსებობდეს საბჭოთა, ან სხვა ორგანიზაცია, (რომელთაც უნდა ჰყავდეთ წევრებათ ღარიბები) და პარტუჯრედი ან თემკომი. თუ ამ სამი პირობებიდან რომელიმე აკლია—შეუძლებელი ხდება ჯგუფის დაარსება, ასე, რომ მექანიკურად „ყველა დიდ სოფლებში“ ჯგუფების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ღარიბთა კრებები არის კრება მთელი სოფლის ანუ კრება თემში მცხოვრებ ღარიბების და მოჯამაგირეების, რომელზედაც მიიწვევა საშუალო გლეხობის აქტივი. ცალკე საშუალო შეძლების გლეხებს თავის სურვილისამებრ შეუძლიათ დაესწრონ ამ კრებებს.

ღარიბთა კრებების მოწვევის შესახებ არსებობს ზოგიერთ მაღლა მდგომ პარტორგანიზაციების განმარტება. ცეკა მიზანშეუწონლად და მავნებლად სთვლის კრების მოწვევას სოფლის აღმასრულებელ პირების, ან ადმინისტრატიული ორგანოების საშუალებით. მიუხედავათ ამისა, ზოგი თემკომი ღარიბთა კრებებს იწვევს საბჭოს წევრების, შიკრიკების, ან (როგორც ბოგვის თემკომი სჩადის), ისევე ღარიბების საშუალებით.

ამ საკითხის შესახებ თბილისის ორგანიზაციის თემკომების მდივნების თათბირის დადგენილება (დამტკიცებული თ. კ. პრეზიდიუმის მიერ) ამბობს: „ღარიბთა მოწვევის ყველა უფრო მისაღებ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს მოწვევა პარტიულების და კომკავშირის საშუალებით, ამასთანავე უნდა იქნეს ახსნილი განზრახულ კრების მნიშვნელობა და მასზე დასმული საკითხების შინაარსი.

გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ღარიბების მოწვევა პარტიულების და კომკავშირელების საშუალებით, კარგ შედეგებს გვაძლევენ: კრებაზე დამსწრეთა პროცენტი და აქტივობა მატულობს.

კიდევ მეტ შედეგებს მოგვცემს ეს მეთოდი, რომ კომუნისტი და კომკავშირელი, როცა მიდის ღარიბი გლეხის სახლში კრების შესახებ აუწყებლად, შესძლებდეს ყველა საჭიროებო საკითხებზე ახსნა-განმარტების მიცემას. ამით შეიქმნება უკეთესი პირობები სოფლად საბჭოთა საზოგადოებრივი აზროვნებისათვის, რომელიც ხანდისხან ზოგ სოფლებში იდევნება ანტი-საბჭოთა ელემენტებისაგან გავრცელებული ჭორებით.

ნ. ქაჯაია.

ახალი ბიურო აირჩიეს

(დლია, ზუგდ. მ.)

ამას წინათ დ. ლიაში შესდგა ლიის თემის კომპარტიის წევრების და კანდიდატების კრება. კრებას ესწრო სამპარტკომიდან ამხ. დანიეხვიჩია.

პასუხისმგებელ მდივნის მოხსენიდან, რომელიც შეეხებოდა უჯრედის მაობას, ირკვევა, რომ უკანასკნელ ხანში ბიუროს მუშაობა მოისუსტებდა, რაც გამოწვეული იყო პ.-მ. მდივნის უცლელობით. მას კოოპერაციის საქმის გამო უხდებოდა მუშაობა სხვადასხვა ადგილებში.

კრების მიერ მიღებულ იქნა კომისიის მიერ დამუშავებული პრაქტიკული მითითებანი, რომელთა შორის აღსანიშნავია მასიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, ხშირი ღია კრებების მოწყობის გზით ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივთან ერთად. პ.-მ. მდივნად არჩეულ იქნა პარტიის წევრი (1921 წ.) ამხ. ვასილი მებონია.

ვარ. პაჭკორია.

მუშაობა სუსტია

(ზუგდიდ. მაზრ. ახუთი და ლესიჭინის თემები)

ახუთის თემი 30 ვერსითაა დაშორებული სამაზრო ცენტრს. თემი მდიდარია მცხოვრებთა რაოდენობით. აქ არსებობს კომპარტიის კომკავშირის უჯრედები. კომკავშირის კომიტეტი შედარებით კარგად მუშაობს; კომუჯრედის მუშაობა კი სუსტია.

უჯრედში ირიცხება, მხოლოდ ათამ წევრი. (მათ შორის არც ერთი ქალი არაა.) სხდომები არ ხდება თავის დროზე. უჯრედ არა აქვს კალენდარული ცხრილი, არც ერთი პარტიული დღე. სამუშაო გეგმაზე ლაპარაკიც ზედმეტია. წევრები პოლიტიკურად ჩამორჩენილი არიან. უჯრედის ხელმძღვანელობა თემის ორგანიზაციებზე არაა დამაკმაყოფილებელი. აქედან ცხადია, კომკავშირზე პარტხელმძღვანელობა სრულებით არ არის, პირიქით, კომკავშირის ზოგიერთი წევრები ეხმარებიან კომუჯრედის ბიუროს პარტიულ მუშაობაში.

კომუჯრედის სუსტ მუშაობის შესახებ ლაპარაკობს ისიც, რომ არ ხდება წევრთა ცხოვრებითი ზრდა. თუმცა უჯრედში ირიცხებიან ისეთი პირები, რომელთაც თავი პარტიანდიდატებად მოაქვთ. მაგრამ თურმე ისინი ორი წელია, რაც უჯრედში დადიან და მათ ანკეტები ჯერ არ ყოფილა შევსებული და რაიკომში გადაგზავნილი. აქედან—სუსტია მუშაობა უპარტიოთა შორის და თითქმის არც ერთი ნებაყოფლობითი საზოგადოება არ მუშაობს.

ამაზე ცუდი მდგომარეობაა—ლესიჭინის თემ ორგანიზაციაშიც. არ სწარმოებს უჯრედის ზოგადი—გეგმიანი მუშაობა. პარტხელმძღვანელობა კომკავშირზე—მუშაობა უპარტიოთა შორის —არ არის.

თემსაბჭოს კომფრაქციის მუშაობა სუსტია. თემში აღმშენებლობა კუს ნაბიჯით მიდის. არ არსებობს ქოხ-სამკითხველო; მოუხსნიათ საფერშლო პუნქტი; არ არსებობს კოოპერატივი—კერძო მოვაჭრე ტყავს აძრობს მცხოვრებლებს. ახუთის თემის სამომხმ. კოოპერაციას, რომელიც კარგად მუშაობს—უნდა გაეხსნა თავისი განყოფილება, მაინც ლესიჭინის თემში, მაგრამ ეს საკითხიც დღემდე მოუგვარებელია.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება—შეუძლებელია.

აღნიშნულ კომუჯრედების ბიუროებმა მეტი ენერგიულობა უნდა გამოიჩინონ, უნდა გააუმჯობესონ ორგანიზაციული მუშაობა და გააძლიერონ პარტხელმძღვანელობა თემის ორგანიზაციებზე.

სამაზრო კომიტეტმა კი მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მსგავს უჯრედებს ცოცხალი კავშირის გაძლიერების გზით.

მ. ზარამია.

კომკავშირში

კომკავშირის სოციალურ გაჯანსაღებისათვის

პარტიისა და კომკავშირის ზრდას უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ეს გამოწვეულია იმით, რომ პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობა ამ მხრივ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თბილისის კომკავშირის ლენინის ორგანიზაციის ზრდის სურათი. რა მდგომარეობა არის აქ? მუშების პროცენტმა რაიონში დაიწია 0,9 პროც. და ეს მაშინ, როცა რაიონულ ორგანიზაციის მუშური შემადგენლობა ძლიერ 80 პროცენტს უდრის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ერთ-ერთ მუშურ რაიონთან (მთავარი სახელოსნოები, და სხვა). მაშასადამე შესაძლებლობა ორგანიზაციის მუშურ შემადგენლობის გადიდებისათვის ლენინის რაიონში საქართველოს ყველა დანარჩენ რაიონებზე უფრო მეტია.

რატომ არის, მიუხედავათ ასეთი ხელსაყრელ პირობებისა, ამგვარი მდგომარეობაა ორგანიზაციაში? ამის მიზეზები მდგომარეობს იმაში, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანო და უფრო მეტად კი უჯრედები ხშირად არ იჩენენ სათანადო ფხიანობას კომკავშირში მუშა-ახალგაზრდობის მასიურათ მიზიდვისათვის. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კომკავშირში ახლად შემავალთა ანკეტები გაურჩეველად აწყვია.

გარდა ამისა უჯრედები არ აწარმოებენ ენერგიულ მუშაობას უპარტიო ახალგაზრდობის შორის და ამრიგათ არ ქმნიან კომკავშირის რიგების გამაძლიერებელ სათადარიგო კადრებს.

თუ ამგვარ მოვლენებთან გვაქვს ადგილი ისეთ აქტიურ და ძლიერ რაიონში, როგორიცაა ლენინის რაიონი, ცხადია სხვაგან ბევრ შემთხვევაში უარესი მდგომარეობა იქნება. აქედან დასკვნა—უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა კომკავშირის სოციალურად გაჯანსაღებისათვის.

ვ. ქ—ლი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გამფლანგველები

ქუთაისი, 6 ივნისი. ბრალდებულია საქმე ზანდადის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავ. ძოწენიძის და ამავე კოოპერატივის გამგეობის წევრის ვლად. ცასჩაველის შესახებ, რომ ბრალად ედებათ 600 მანეთის გაფლანგვა.

აღძრულია აგრეთვე ტყიბულის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მდივნის ვ. ვარტანოვის საქმე, რომელსაც ბრალდება 345 მ. 50 კ. გაფლანგვა და მითვისება. ვ. ვარტანოვი დაპატიმრებულია. (ადს).

წყალთა მეურნეობის საქმე

ქუთაისი, 5 ივლისი. დასრულდა ძიება კოლხიდის ([illegible]) უბნების სამუშაოებზე თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების შესახებ. პასუხისგებაში არიან მიცემულნი: სამუშაოთა ყოფილი მიხეილ კუზნეცოვი, რომელსაც ბრალდება გამო წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიმართ 7.000 მანეთი, კანტორის უფროსი ვას. მელიქიძე, კანტორის აგენტი პეტრე თიდუაშვილი. (ადს).

ბავშვის გაუპატიურება

ქუთაისი, 5 ივლისი. ტყიბულის სოფელში 40 წლის მუშამ იაკობ თეთრუაშვილმა მიიტყუილა 6 წლის ვალენტინა ბორისაშვილი და გააუპატიურა. საქმე გადაეცა სასამართლოს. (ა.

აბრეშუმის სართავ ფაბრიკაში

ოზურგეთი, 5 ივლისი. აბრეშუმის სართავ ფაბრიკაში ყოველდღიურად შეიძლის 600-700 ფუთი პარ. ფაბრიკაში მუშაობს ორი პარკის ორთქლით სახარში ქვაბი. ერთი მათგანი ახალი კონსტრუქციისა. პარკის მიზიდვა ქვაბებიდან ვაგონეტკებით ხდება. ხარშვის და ამოღებისთვის მუშაობს ორ წყებათ სოულდება. ამჟამად მუშობს 75 კაცი. გასულ წელთან შედარებით ხელფასი 40 პროც. გადიდებულია.

სამხრეთ-ოსეთი

ჭლექთან ბრძოლის სამდღიური

ცხინვალი, 4 ივლისი. 5, 6 და 7 ივლისს სამხრეთ-ოსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი აწყობს ჭლექთან ბრძოლის სამდღიურს. სამდღიურისთვის გამოცემული იქნება პლაკატები და ბროშურები ოსურ ენაზე. (ადს).

წერილები

საჭიროა დახმარება

დასავლეთ საქართველოს ბევრ კუთხეში სიმინდის ნაკლებობაა. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში ამ ბოლო დროს ხშირად იბეჭდება კორესპონდენციები. მოსახლეობის გაჭირვებით სარგებლობენ კულაკები, სპეკულიანტები და სიმინდზე ერთი-ორად უწევენ ფასებს. თვე-ნახევრის წინ ფუთი სიმინდი 1 მან. ფასობდა, დღეს კი ორ-ორ მანეთ ნახევარი ღირს. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან ღარიბი გლეხები. მათ არა აქვს საშუალება, რომ ასე ძვირ ფასებში იყიდონ სიმინდი და ისე არჩინონ ოჯახი; არა და ახლის მოსვლამდი ჯერ კიდევ 3-4 თვეა. ამ ხნის განმავლობაში გლეხმა უნდა გამონახოს რამე საშუალება, რომ ოჯახს საზრდო არ მოაკლოს. როგორც ჩვენი გლეხკორები იწერებიან ზოგიერთი გლეხები იძულებული არიან ჩალის ფასადაც დონ ხელში კულაკებს ოჯახის მარჩენალი ხარები, ძროხა და სხ. და სხვა და ისე შეიძინონ სიმინდი. ან და მევახშეებიდან სესხულობენ ფულს დიდ პროცენტებში, თავის დროზე ვერ იხდიან ვალს და სამუდამოთ უვარდებიან მათ ხელში.

ამავე დროს სოფლის კოოპერატივებმაც ვერ გამოიჩინეს სათანადო სიფხიზლე; მათ თავის დროზე ვერ გაითვალისწინეს სოფლის მდგომარეობა, ვერ შეიძინეს სიმინდი და მიეწოდებინათ ღარ მოსახლეობისათვის, რაც იხსნიდა გლეხობას კლანჭებიდან, და გარდა ამისა ასწევდა კოოპერაციის ავტორიტეტს გლეხის თვალში.

საჭიროა ახლა მაინც მიექცეს ყურადღება ამ მდგომარეობას. კოოპერატივებს და სხ. ორგანოებს რომლებსაც ეს ეხებათ, სასწრაფოთ უნდა მიაწოდონ დამშეულ კუთხეებს სიმინდი. როგორც კოოპერატივმა, ისე სოფლის სხვა ორგანიზაციებმა უნდა გამოარკვიონ, თუ რამდენი სჭირდება სოფელს სიმინდი, ამის დამიხედვით შინონ იგი მოსავლიან ადგილებში [illegible] დახმარებით და მიაწოდონ დაცულ კუთხეებს. ახლავე უნდა იქნეს მიღებული ზომები ამ საქმის სათანადოთ მოსაგვარებლად [illegible] დახმარებას საჭიროებს. ეს დახმარებან თავის დროზე უნდა მიიღოს. ამის საშუება ჩვენ გვაქვს, საჭიროა მხოლოდ დროზე ზომის მიღება.

ლ.

მიწის ყიდვა - გაყიდვა აკრძალა

(სოფ. ყანდაურა, სიღ. მა.)

საქმე ძველდება და დამნაშავეს პასუხი არ ეთხოვება. ზემოხსენებულ სოფელში მეტად სისტემატიური ადგილი აქონდა მიწის ყიდვა-გაყიდვას 1926 წელს, თუმცა ნაწილობრივ ეხლაც აქვს ადგილი ასეთებს. ეს კი არღვევს მიწის კოდექსის სათანადო მუხლებს.

მინდა დავასახელო ის პირნი, რომელთაც პროფესიათ აქვთ გადაქცეული მიწის ყიდვა-გაყიდვა: ეს არის კულაკი **ილია ჯავახიშვილი**, რომელიც თავის სოფელში მყოფი გლეხებს გადაყვანებს არ ჯერდება და სოფ. ჯიმითში მცხოვრებ მიზანაშვილებისაგან იყიდა 4 დესეტინა ადგილი. სახელდობრ პატარა ნასახლარში, მაგრამ წინააღმდეგ არავითარი ზომები არ არის ებული დღესაც. მეორე არის **არსენა ჩილაშვილი**, რომელსაც თავისი ძოქსილობით აქვს საქმეში პირველი ადგილი უჭირავს. ის თითონ ყიდულობს და სხვებსაც ასწავლის, თუ რა ფასში უნდა გაყიდოს მიწა, სახლი და სხვ. ზევრეგურის გლეხი მოატყუილა ყვსამე **აროსრგი გიქორაშვილი**, რომელიც არ ჩამორჩებარეველ ორს. საჭიროა რომ მიწადმოქმედების კომისარიატის განკარგულება მიწის ყიდვ. გაყიდვის აკრძალვის შესახებ ვატარდეს ცხოვრებაში. და დამნაშავენი მიეცეს პასუხისგებაში.

მეთვალყურე.

წერილებიდან

— **ინტელიგენციის საქმიანობა.** (სამტრედია) სამტრედიის მშრომელი ინტელიგენცია უკვე ჩაება კულტურულ მუშაობაში, და ამ მუშაობას იგი მარტო თვით სამტრედიაში კი არ აწარმოებს, არამედ მის რაიონებში.

სამტრედიის ინტელიგენციის აქტივი ერთი იმ კოლექტივთაგანია, რომელიც გულწრფელად ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას კულტურულ ფრონტზე.

სულ რაღაც სამი თვე არ არის, რაც აქტივი ჩამოყალიბდა და ამ მცირე დროის განმავლობაში მან მაინც შესძლო მოეწყო ლიტერატურული გასამართლება სამჯერ და ერთხელ ლექციადისპუტით კვების შესახებ.

ანდრია კანდელაკი.

— **აი რით სარგებლობენ კერძო ვაჭრები.** (ს. ხორგა, ზუგდიდის მაზრა) სოფ. ხორგის კოოპერატივს დიდი წარმატება ეტყობა, მან შესძლო გლეხებისათვის მოეწოდებინა საქონელი იაფ ფასებში და ამით დაიხსნა ისინი ჩარჩ-ვაჭრებისაგან. მაგრამ დახეთ, ამით როდი გაიტეხეს გული ჩარჩ-ვაჭრებმა, მათ გადასწყვიტეს ისეთი საქონლის მოტანა, რომელიც კოოპერატივს არ მოაქვს და ამით მოინდომეს გლეხობის თავის კლანჭებში ჩაგდება. მართლაც, ამ გზას დახლდახ [illegible] მიაღწიეს მიზანს. თუ კოოპერატივი აქაც გამოიჩენს წინდახედულობას და მოიტანს იმ საქონლებს, რაც მას არა აქვს ამით ჩარჩებს ლაგამს ამოსდებს.

ჩვენი სოფლის ვაჭრები, როდესაც მათ პატენტი არა აქვთ ღვინის სახლში ინახავენ და ბოთლებით [illegible] საჭიროა ამასაც ბოლო მოეღოთ.

ა. მირცხულავა.

— **ამ საქმის მოგვარებას არაფერი ეშველა.** (ქუთაისის მაზრა, ვარციხის მამული). ვარციხის მამულში მუშაობენ სოფელ ვარციხის გლეხები [illegible] კავშირი [illegible] „მუშა“-ში ორი წერილი [illegible] კვლევა-ძიება და სათანადო [illegible] ბრალობაზე, მაგრამ [illegible] საჭიროა მკაცრი კვლევა-ძიება და დამნაშავის დასჯა.

მეთვალყურე.

— **ნაკი შესრულება უნდა.** (ნოქალაქევი, სენაკის მა). გასული წლის საბჭოთა არჩევნების დრონაკაზში შეტანილი იყოს. ბეთლემში კოოპერატივის განყოფილების გახსნა, რაც აუცილებელია ამ სოფლისათვის, რომელიც მოწყვეტილია ცენტრიდან. აქაურ მცხოვრებთ 5-6 ვერსიანძილიდან უხდებათ მარილის და ნავთის მოტანა. მთელი გლეხობა მონდომებულია კოოპერატივის გახსნის, მაგრამ ხელმძღვანელი არის. სოფელში დადიან ჩარჩები და ხალხს ტყავს აძრობენ. დროა ნაკაზში შეტანილ მუხლის განხორციელებაზე იზრუნოს სათანადო ორგანომ.

ან. ბეთლემელი.

— **ფუჭდება საუკეთესო შენობა.** (ცაკის საყურადღეოდ). (ბორჩალოს მაზრა, სოფ. ტანძია). სოფ. ტანძია ქართული სოფელია, ეკუთვნის ბოლნის მაზრის ერთ ერთ მივარდნილ და ჩამორჩენილ სოფელს. ამ სოფელში ოდესღაც უცხოვრიაცა ორბელიანს, რომელსაც გაუშენებია 4-თახიანი სახლი და რომლის გარეგნული სისუფთავე და მორთულობა, დღესაც დაამშვენებს ტფილისის ზოგიერთ ქუჩებს.

ახლოს მიხვედი ამ სასახლესთან ამოკვნესით ერ მაინც იტყვი: რა სახლი ფუჭდება. მართლაც, და ეს სახლები ფუჭდება. მის კეთილმოწყობაზე არც ადგილობრივი მთავრობა და არც ს არ იწუხებს თავს. ქარს სახურავის ნაწილი უკვე მოუძვრია. სახლი ლპება წვიმის გა სახლის უკანა ნაწილი წაქცეულია. მისი ლამაზი კარები და ფანჯრები, ბოძები და სხვა უკვდებება. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება განათლების კომისარიატის მიერ.

ამ სახლს შეკეთებით ჩვენ შევიძენთ საბავშვო სახლს პიონერთათვის ზაფხულის სეზონში ბი ამ საქმის დაყოვნება 40 ოთახიანი სასახლის კარგვას ნიშნავს.

მ. კაზარიანი.

—:—

სოფლის ქრონიკა

— **ალ ს არხი.** ამჟამად სწარმოებს ალაზნის არხ სლოვენური გამაგრება.

— **სახე ქარხანა.** სამხრეთ ოსეთში წელს დაიწყება დი ხე-ტყის სახერხი ქარხნის აგება.

— **შაშვი.** გორის მაზრაში შაშიმანის დიდი ნაკლება.

— **ახალსახლები.** წაღვერში აგარაკ ტბაზე ამჟამად შენდება რამდენიმე ახალი სახლი.

მუშათა ცხოვრება

პირველ რიგში რონოდებში მცხოვრებთ

რკინის გზებზე ბინის საკითხი ერთობ ცუდად არის დაყენებული.

ის გაუგებრობა, რომელიც არსებობს დღეს, არ იქნებოდა ჩვენი პროფესიონალური და ადმინისტრატიული ორგანოები, რომ ბინებს არსებულ წესის მიხედვით ანაწილებდენ და პირველ რიგში ასახლებდენ ცუდ მდგომარეობაში მყოფ მუშა - მოსამსახურეებს.

ამას წინათ რკინის გზის ადგილკომების მიერ ჩატარებულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა ბინების გამოკვლევა. ამისათვის გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისიები.

რა დაგვანახა ამ გამოკვლევამ?

ზოგიერთი რკინის - გზელები ცხოვრობენ რონოდებში, ზოგი სარდაფებში, სადაც დღე და ღამე გათანასწორებულია. ასეთ ბინებში ლამპა უნდა ენთოს, რაც, რასაკვირველია, შიგ მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას ახდენს. ჩვენი მუშაობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ პირველ ყოვლისა გავაუმჯობესოდ რონოდებისა და სარდაფებში მცხოვრებთა მდგომარეობა. დღემდის ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ისეთ პირებს მისცეს ბინა, რომელთაც არ ესაჭიროებოდათ. ეს, რა თქმა უნდა, მიეწერება არსებულ კომისიების სისუსტეს.

ბრძანება № 3027-ის პირველ მუხლში გარკვევითაა ნათქვამი: **„პირველ რიგში ბინები უნდა მიეცეს პირველ თანრიგის ქმედებს, რომელნიც ცხოვრობენ რონოდებში, ბარაკებში და სხვა.“.** ეს ბრძანება თამამად შეიძლება ითქვას, არ გატარებულა ცხოვრებაში. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამით რკინის გზა ზარალობს. დღე და ღამეში რონოდა ღირს 4 მან. 50 კ., ზოგიერთი მუშა - მოსამსახურეები კი ამ რონოდებში სცხოვრობენ წლობით. ძნელი არ არის იმის გამოანგარიშება, თუ რამდენს ზარალობს ამ რონოდების გადიდენით რკინის გზა.

ამჟამად შენდება ახალი ბინები. საჭიროა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ბინების განაწილება კანონიერად ჩაატარონ. უნდა გვახსოვდეს: პირველად ბინა უნდა მიეცეს რონოდებში მცხოვრებ მუშა - მოსამსახურეებს..

ვ. ჯ.

—:—

უგეგმო მეთოდის მუშაობის შედეგი

მთავარ სახელოსნოების ბუღალტერიაში იმრიგად არის აწეწილი საქმე რომ მისი გამოსწორება ბევრ დროს და შრომას მოითხოვს. საქმის არევ-დარევა ყოფილ ბუღალტერის მუმლაძის ბრალია, რომელიც ძლივს ძლივობით იქნა მოხსნილი. მის მოხსნის შემდეგ უკვე რამოდენიმე თვეა გამალებული მუშაობა სწარმოებს, მაგრამ საქმე მაინც ვერ დადგა სათანადო სიმაღლეზე.

ჩვენ გვაინტერესებს რას უყურებდა სამექანიკო წევის მთავარი ბუღალტერი ა. ცუკანოვი და ამავე დარგის ფინგანყოფილების უფროსი მანდერიოვი. რათ არ მიაქციეს მათ თავის დროზე ყურადღება მუმლაძის „საქმიანობას“ რომ დროზე ყოფილიყო ჩატარებული სამასალო ანგარიშები?

შეიძლება თავი ასე იმართლონ: შტატი იყო მცირეო. ეს საბუთი თავის გასამართლებლად არ გამოდგება. მუმლაძეს თავის განკარგულებაში შტატში მყოფ თანამშრომლის გარდა გასულ წლის სექტემბრიდან დამატებით მისცეს 12 მოანგარიშე. მიუხედავად ამისა, საქმეებს თავი მაინც ვერ გაართვა: ყველა ამის შემდეგ უნდა ვეფიქრა, რომ ერთხელ მოხსნილი მუმლაძე რკინის გზის ახლოს არ გაიარდა. სამწუხაროდ ასე როდია. დღეს მუმლაძე უფრო უკეთეს ადგილას არის მოწყობილი. ის ინსტრუქტორ-რევიზორი გახლავთ.

თითონ გასინჯეთ, როგორი ინსტრუქცია და რევიზია უნდა გასწიოს იმ კაცმა, რომლის „ნაოქმედარს“ თავი ვერ გაართვეს, მიუხედავად ამისა, რომ აგერ რამდენი ხანია დახელოვნებული და საქმის მცოდნე ხალხი მუშაობს.

მოდი და ნუ იტყვი ადამიანი ამის შემდეგ, რომ ნათლიმამობას და პურმარილს ბევრი რამ შეუძლიაო!

მუშკორი ლიაპინი.

—:—

რამოდენიმე წინადადება

(თბილისის საყუდის საწარმოო კომისიის საყურადღებოდ)

გაიზარდა რკინის გზის ტრანსპორტი, გაიზარდენ ლითონის ძღვები (ორთქლმავლები) რიცხობრივად და ტანადობითაც. მაგრამ მათი მოსასვენებელი, შესაკეთებელი ფარეხი (დეპო) გაკეთებულია ძველი ლილიპუტ ორთქლმავლებისათვის. საყუდში ეს გიგანტები დგანან მათი წინაპრის თხრილებზე, უკანასკნელნი მათ ახლა ვერ იტევენ. გაჭირვებით შესავალი კარები და კაცი დაუკუზავად ვერ გაძვრება. ამის გამო მუშაობა დიდად ბრკოლდება, საჭიროა შესავალ კარების გაფართოვება საყუდში, ეს კი შეიძლება აგურის სვეტების რკინის სვეტებით შეცვლით. გარესაყუდის სივიწროვის გამო ბრკოლდება ორთქლმავლების შეკეთება, გარეცხვა და სამუშაოდ მომზადება. ჩვენის აზრით რამოდენიმედ მაინც შეამსუბუქებს გარემოებას საყუდის ძველი ხის შენობების ჩიხი-ბოხის აღება, სადაც მახანძრეები არიან მოთავსებული ამ [illegible] ორთქლმავლების თხრილები. არც შესაძლო [illegible] არის დაცული. ორთქლმავლების [illegible] და [illegible] მაზუთიანი [illegible] და ამის გამო ხშირია ხანძრის შემთხვევები. [illegible] მუშების [illegible] და [illegible] მდგომარეობა ამ [illegible] ხომ [illegible].

საჭიროა საწარმოო კომისიის მეტი სიფრთხილე.

ქალარა მემანქანე.

საყურადღებო წვრილმანი

— **ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე.** ორთაჭალაში ერთი ლიანდაგია სამი „რაზიეზდით“. აქ ვადიოდა სამი ჩვეულებრივ დღეებში, ხოლო კვირაობით № 10 მარშრუტის ოთხი რონოდა. ახალ ბაზარზე ორი ხაზის გაყვანის გამო გაძოუშვეს ორთაჭალის ხაზზე 5 რონოდა № 6 მარშრუტისა, რომელთაც უხდებათ გამსახლიდან პირველ სამილიციო უბნის სამმართველომდე მიმოსვლა (6 ვერსზე მეტი), რასაც მეტად დიდი დრო სჭირდება. რონოდების მოლოდინით თავმობეზრებულ მგზავრებს ურჩევნიათ ისევ ფეხით წასვლა, ვიდრე ამ სიცხე - პაპანაქებაში სათითბირო ცდა. საჭიროა ორთაჭალის ხაზზე დაინიშნოს ისევ ოთხი რონოდა № 10 მარშრუტისა, რომელიც ივლისის ზოლიდან გამოსხლამდე. ეს უფრო ხელსაყრელია, როგორც მგზავრებისათვის, ისე ტრამვაის დირექციისათვის.

ზაპერტკალი.

— **ნაკლი უნდა გამოსწორდეს.** ორთაჭალის „მუშკოოპის“ მაღაზიას ამ რაიონის მუშებისათვის კრედიტის გახსნით ეჭვრობა ერთი-ხუთად მოემატა, ხოლო საქონელს არ უმატებენ და შტატსაც არ აფართოვებენ. საჭიროა საქონლის მარაგის გადიდება და შტატის გაფართოვება. გარდა ამისა, კვირა - უქმეებში მაღაზია უნდა იყოს დილიდან საღამოს 5 საათამდე.

საყასბო განყოფილებაში არის დიდი ნათლიმამობა. ხორცის საუკეთესო ნაჭრები მიაქვს ჩარჩებს, კომისიის წევრები და ინსტრუქტორი ვერ უწევენ სათანადო მეთვალყურეობას. ამას წინათ თუმცა გამოიცვალა ერთი ყასაბი, მაგრამ მეორე უარესი გამოდგა. საყასბოში მამა და შვილი ერთად ვაჭრობს. ეს კი დაუშვებელია.

შევალ.

—:—

გამოხმაურება

„კომუნისტი“-ს № 118-ში მუშკორ რადიუმის მიერ მოთავსებული შენიშვნის შესახებ „მოსაგვარებელი საკითხი“ გვაცნობებს, რომ ა. წ. 15 მარტის № 23—212 ბრძანების სათაური მუშკორს სწორად არ გადმოუცია, ამიტომ სათაური მართლაც გაუგებარი გამოვიდა.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **თავის დროზე.** სადგ. შორაპნის ადგილკომმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს თავის დროზე მიაწოდოს მუშებს მასალა ნიაღვარისაგან გაფუჭებულ ჭიათურის ხაზის შესაკეთებლად.

— **კურსები.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა პროფგანათლების ბიუროს წინაშე, რათა ხაშურში გახსნას სადგურის უფროსის თანაშემწეთა კურსები.

— **კოოპერატიული კომისიები.** რკინისგზელთა პროფკავშირის ცაკის დადგენილებით ყველა გზების თითო საუბნო კომიტეტთან მოეწყოს კოოპერატიული კომისიები, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ სატრანსპორტო კოოპერაციის საქმიანობას უბანში და თავისი პრაქტიკული შენიშვნები აცნობონ კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოს.

— **ფიზკულტურის თათბირი.** ა.-კ. საგზაო კომიტეტში გუშინ გაიხსნა საგზაო ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი.

— **სპეცტანსაცმელის ნორმა.** საგზაო კომიტეტის დადგენილებით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს 1927-28 წელს გასაცემი სპეცტანსაცმელის ნორმას გადიდების პროექტი და გამოარკვიოს ამ საქმისთვის საჭირო თანხის რაოდენობა. კომისიაში მონაწილეობას ღებულობს საგზაო კომიტეტის სატარიფო-ეკონომიური განყოფილების წარმომადგენელი.

— **დეცენტრალიზაცია.** საგზაო კომიტეტმა საჭიროთ სცნო მუშა-მოსამსახურეთათვის საგზავრო ბილეთების გაცემის დეცენტრალიზაცია. ამ საკითხის დამუშავება მიენდო სატარიფო-ეკონომიურ და ადმინისტრატიულ განყოფილებებს.

— **სათბობი მასალა.** მუშა-მოსამსახურეთა სათბობი მასალით მომარაგებისათვის კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნო შემოღებულ იქნეს წლიურ წიგნაკების სისტემა.

— **სპეცგანაკვეთები.** საგზაო კომიტეტმა დაადგინა გადასინჯულ იქნეს ბრძანება სპეცგანაკვეთების გამორკვევის წესების შესახებ.

— **დაწინაურება.** იმავე კომიტეტმა დაადგინა განთავისუფლებულ წევის დარგის უფროსის თანაშემწის ადგილზე წამოაყენოს საგზაო კომიტეტის საორგ. განყ. გამგე ამხ. სტეპანოვი. ნავთსადენის სამსახურის უფრ. თან. ადგილზე. —მცხეთის ნავთსადენის გამგე ზეიცი და საექსპლოატაციო სამსახურის მე-2-ე უბნის უფრ. თანაშემწეთ—ამხ. ჰუსეინოვი.

— **რონოდა კინოთი და რადიოთი.** საგზაო კომიტეტმა დაადგინა კულტფონდიდან გადაიდოს 1.500 მან. ახალ რონოდის კინო, რადიო და ბიბლიოთეკით მოწყობის მიზნით. რონოდა იმუშავებს ხაზზე.

—:—

ჩვენი მიწერ-მოწერა

— **ზალმ.** სამტრედიის სამქროს ერთ-ერთი მუშის თავხედობის შესახებ წერილი მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში. იქვე მოათავსეთ წერილი „პროტექციას ბოლო უნდა მოეღოს“.

— **მურად დავიდაძეს.** თქვენი წერილი გაეგზავნება სათანადო ორგანოს გამოსაძიებლად და ზომების მისაღებად.

— **აბესალომს.** „მადლობის ღირსია“ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ წერილები მუშათა ყოფა-ცხოვრებიდან.

— **ქ. მ—იას.** „სამაგალითო ექიმი“ არ დაიბეჭდება.

— **წითელ ვასოს.** თქვენი წინადადება დამკრძალავ ბიუროს დაარსების შესახებ გადაეგზავნა შრომის სამუშავლო ბიუროს.

გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა

თეზისები მომხსენებელთათვის თავდაცვის კვირეულის გამო

1. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელები შედგომიან მუშაობას სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის კულტურული დონის ასაწევად, მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია გაფთრებით ემზადება ახალი ომისათვის.

2. საერთაშორისო მდგომარეობას ამ უკანასკნელ დროს ახასიათებს მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც აიძულებენ ს. ს. რ. კ. იყოს ფხიზლად: ფაშისტური გადატრიალებანი ლიტვაში და პოლონეთში, ინგლისის მთავრობის თებერვლის ნოტა, თავდასხმა საბჭოთა საელჩოზე პეკინში და არკოსზე ინგლისში, იმპერიალისტების შეტევა ჩინეთში, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისის მთავრობის მიერ, ამხ. ვოიკოვის მოკვლა პოლონეთში და სხვა მრავალი პროვოკაციული და ტერორისტული გამოსვლები საბჭოთა კავშირის შიგნით — იმის მაჩვენებელია, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია ემზადება საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

3. ჯერ კიდევ ათი წელი არ გასულა პირველი იმპერიალისტური ომის გათავების შემდეგ და კაცობრიობის წინაშე იჭრება კიდევ უფრო დიდი ომის ახალი მუქარა, საერთაშორისო კაპიტალი, რომელსაც ახასიათებს გაუმაძღრობა და შიში მსოფლიო რევოლიუციის წინაშე, უტევს მუშათა კლასს, პროვოკაციული გამოწვევას უწყობს ს. ს. რ. კ. და ცდილობს ჩაახრჩოს გიგანტიური განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში .

4. გაფრთხილება, რომლითაც ამხ. ლენინი მიმართავდა ყველა ქვეყნის მუშებს, ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს დავიწყებული. ჩვენ განსაკუთრებით ეხლა გვმართებს სიფხიზლე. მუდამ უნდა გვახსოვდეს ახალი ომის საფრთხე. ამხ. ლენინის მოძღვრება მოახლოვებულ ახალ ომების შესახებ, იმპერიალიზმის დროს ომების აუცილებლობის შესახებ, მისი მითითებანი იმაზე, რომ ახალი „ომი შესაძლოა და კიდეც უნდა დაიწყოს მოულოდნელ მომენტში“, კვლავ ზედმიწევნით უნდა იქნეს მოფიქრებული.

5. პირველი იმპერიალისტური ომი დასრულდა ვერსალის „ზავით“. მაგრამ ვერსალის ზავი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი ზავი. ომის გათავების მეორე დღესვე დაიწყო ახალი იარაღების წარმოება, რომლებიც ბევრად უფრო მძლავრი და საშინელია, ვიდრე წარსული ომის იარაღები.

6. გაფაციცებულ შეიარაღების ფაქტი ომის შემდეგ ყველასათვის თვალსაჩინოა, ყველა ხედავს, რომ თანამედროვე მილიტარიზმი ბევრად უფრო ძლიერია ომის წინა დროის მილიტარიზმზე. მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტები და ციფრები. ოფიციალური სამხედრო ბიუჯეტები უმთავრეს სახელმწიფოებში (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ამერიკა, იტალია და იაპონია) შეადგენდენ 1913 წელში 1 მილიარდ 400 მილიონ დოლარს, 1926 წელში კი ისინი შეადგენენ უკვე 2 მილიარდ 140 მილიონ დოლარს. ზრდა უდრის თითქმის 70 პროც-ს.

7. მნიშვნელოვნად აჭარბებს ომის წინა დროის რაოდენობას ხმელეთის ჯარები. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გამოაქვეყნა ამხ. ვოროშილოვმა ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე, ოთხ უმთავრეს სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების) ხმელეთის ჯარები შეადგენენ 1.821.000 კაცს ნაცვლად 1.413.000 კაცისა 1[illegible] წელში.

8. წლით წლამდე იზრდება იმპერიალისტურ სახელმწიფოების საზღვაო შეიარაღება:

სამხედ გემების ტონაჟი ამჟამად შეადგენს:

ჩრ. ამ. შეერთ. შტატებში — 525.850 ტონა წყალწყვას
ბრიტანეთის იმპერიაში — 580.450
იაპონია — 301.320
საფრანგეთში — 194.554
იტალია — 133.670

ამას უ მიემატოს ე. წ. გემ-ანგარების დიდი რიცხვი (თვითმფრინავებისათვის).

ასეთი - ანგარები აგებულია ჩრდ. ამერიკის შეთ. შტატებში, ინგლისში, იაპონიაში, საფრანგეთში და იტალიაში 100.000 ტონა წყალწყვა და ნავარაუდევია ამ წყალწყვის უახლოესებში 500.000 ტონამდე აყვანა.

სხვა ს სამხედრო გემების (წყალქვეშა და წყალზე) აგებაც გრძელდება გაცხოველებულ ტემპით.

9. მომავალ ომში ავიაციის ფართო და ჯეროვან გამოყენება დაუკავშირდება სამხედრო ქიმიის გამოყენებასაც. საჰაერო - ქიმიური ომი, სასიკვდილო გაზების გამოშვება აეროპლანებიდან რაც შეიძლება შორს მიუღწევლად (მით) მოწინააღმდეგის ინდუსტრიალურ ზურგში და მის სასიცოცხლო დასახლებულ პუნქტებში — იქნება მომავალი ომის საშინელი ურჩხული, მიუხედავათ იმისა, რომ გაზების იური წარმოება დაიწყო მხოლოდ ომის დროს. მაინც გაზებით ბრძოლამ სხვა სასიკვდილო იარაღებთან ერთად, ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას.

წარსულ ომში გაზებით მოწამლულ იქნა სულ 500.000 კაცზე მეტი.

ზედმეტ ლაპარაკი იმაზე, რომ გაზების გამოყენების ინტენსივობა და ხერხი მომავალ ომში ბევრ უფრო დიდი იქნება. საკმაოა იმაზე მითითება, რომ ამერიკას უკვე ახლავე შეუძლია ყოველდღიურად დაამზადოს 3.000 ტონა იპრიტი უველაზე უფრო საშინელი გაზი წარსულ ომში ნახმარ გაზებიდან.

იპრიტ და ლუიზიტის წინააღმდეგ, რომელთაც ლან, დამუწუკების და მოწამვლის საშინელი თვისებები აქვთ, უძლურია ჩვეულებრივი გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი. ასეთი გაზებიდან თავის ქვა ადამიანებსაც და ცხოველებსაც კი შეუძლიათ მხოლოდ სპეციალური იპრიტის საწინააღმდეგო ტანთსაცმელით.

ამგვარ დაცვა მნიშვნელოვნად აფერხებს უდავოდ ჯარის ბრძოლის უნარიანობას.

10. წარსული ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იქ არა მარტო არმიების ბრძოლა ბრძოლის ველზე, სანგრებში, წყალზე და ჰაერში, არამედ და უმეტეს წილად მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი შეჯიბრი. მომავალი ომი —ეს მანქანების ომი. მასში უმთავრეს როლს ამაზიბს მოტორი. ფაბრიკები და ქარხნები ამ იმპერიალისტური ომის მთავარი სამჭედლო. მათი ძლიერება და მუშაობის უნარი იქნება ომში გამარჯვების საწინდარი. აქედან გასაგებია ომის თეორეტიკოსების მიერ გამოყენებული სტრატეგია: მოწინააღმდეგის ინდუსტრიალური პუნქტების ხელში ჩაგდება— თუ ეს პუნქტები ფრონტთან ახლოს მდებარეობენ და ავიაციისა და გაზების საშუალებით მათი დანგრევა — თუ ისინი დაშორებულნი არიან ფრონტს ან და მდებარეობენ მოწინააღმდეგის ზურგში.

11. მომავალი ომის ძირითადი მწარმოებელი ძალა იქნება მუშათა კლასი. მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ისეთივე მნიშვნელოვანი როლი ექნებათ, როგორც ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე. იმპერიალისტებმა მშვენივრად იციან, რომ ომი შეუძლებელია მასში მილიონ მუშებისა და გლეხების მონაწილეობის გარეშე, მათი ნება-სურვილის გარეშე, იმათ გარეშე ვისი კლასიური შეგნებაც დღითი-დღე იზრდება.

12. ფაშისტური ორგანიზაციების სამხედრო ტექნიკით ბურჟუაზიას სურს აინაზღაუროს მისი არმიების არა საიმედობა. ამით აიხსნება დაქირავებული მუშაობა მასებს იდეურ მომზადებისათვის, ამით აიხსნება მოსახლეობის გასამხედროება ქალსა და მოზარდამდეც კი. ამითვე აიხსნება ყველა ხასიათის სპორტის სპეციალური სამხედრო იერი და მთელ რიგ საზოგადოებრივ და სამხედრო-სპორტიულ ორგანიზაციების შექმნა ფაშისტური ხელმძღვანელობის ქვეშ.

ბალტიის ზღვის განაპირა ქვეყნებში სამხედრო-საზოგადო ორგანიზაციები ძალიან მრავალრიცხოვანნი არიან და ბევრად სჭარბობენ რეგულიარულ არმიებს.

ფინეთის რეგულიარული არმია 28.000 კაცისაგან შესდგება, ხოლო სამხედრო-საზოგადო ორგანიზაციებში ირიცხება 100.000 კაცი. ლატვიაში, 15 ათასიანი რეგულიარულ არმიის გარდა, სამხედრო-საზოგადო ორგანიზაციებში ირიცხება 30.000 წევრი.

პოლონეთში სამხედრო-საზოგადო ორგანიზაცია—„სტრელეცი“—აერთიანებს 250.000 კაცს. ასეთ ორგანიზაციებს გარდა, მრავალ ქვეყანაში არსებობენ საჰაერო ძალთა გამაძლიერებელი საზოგადოებები (საჰაერო თავდაცვის ლიგა და სხ.). ეს საზოგადოებები იქმნებიან და არსებობენ მთავრობის ხარჯზე. პოლონეთში კავშირ „სტრელეცში“ ინსტრუქტორების სახით მომზადებულია ნამდვილი სამხედრო სამსახურის ათას ხუთასამდე ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი.

13. ჩვენც გვესაჭიროება მასიური საზოგადოება მომზადება—მოსახლეობის გასამხედროება. ასეთ ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის თავდაცვას—წარმოადგენს თავდაცვა-ავიაქიმი (საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელის შემწყობი საზოგადოება), რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 2 მილიონზე მეტ კაცს. საჭიროა მისი როგორც თვისობრივი, ისე რიცხვობრივი გაძლიერება. უნდა განვავითაროთ საზოგადოების პრაქტიკული მუშაობა გასამხედროების დარგში წრეებსა, კურსებსა, სკოლებსა, კომანდებსა, რაზმებში და სხ.

14. თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მრეწველობის ხელის შემწყობი საზოგადოების მუშაობას აქვს ორი მხარე: მშვიდობიანი და სამხედრო. მშვიდობიანი მხარე შეიცავს—ავიაციისა და ქიმიის იდეის გავრცელებას მასებში, სამოქალაქო ავიაციის განვითარებას, ბრძოლას სასოფლო-მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ და სხ. სამხედრო-საჰაერო ფლოტის გაძლიერება; სამხედრო საავიაციო-ქიმიური მრეწველობის განვითარება, თავდაცვის საქმის მოწყობა და სხ. „მთელ რიგ საერთაშორისო ხასიათის მიზეზების გამო, როგორც საზოგადოების სამხედრო ამოცანა, ძალიან წაიწია წინ“.

15. საჰაერო-ქიმიური თავდაცვის დარგში მთავარ სამუშაოს წარმოადგენს ავიაქიმიური ცოდნის გავრცელება მოსახლეობის ფართო მასებში, მათთვის გაზების საწინააღმდეგო საქმის შესწავლა. გაზების საწინააღმდეგო საშუალებების მოხმარა ყოველი მუშისა და მუშა-ქალის, ყოველი გლეხისა და გლეხ-ქალის მიერ—აი საზოგადოების ძირითადი ამოცანა. ამ მიზნის განსახორციელებლად შექმნილია მთელი რიგი ე. წ. ავიაქიმ კომანდების ქსელი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არაა, რაც ეს მუშაობა დაიწყო, საბჭოთა კავშირის მსხვილ ქალაქებში საზოგადოებას უკვე ჰყავს 200 ასეთი კომანდა. საჰაერო-ქიმიური თავდაცვის დარგში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაზებისაგან თავდასაცავ საშუალებათა მშენებლობის საკითხს. გაზებისაგან თავდასაცავ საშუალებათა მშენებლობის ინსტრუქტორთა საკმაო კადრის მომზადებით კომანდებში დაცული იქნება მრავალი ხალხის სიცოცხლე.

16. საჰაერო-ქიმიურ თავდაცვასთან დაკავშირებით, წამოჭრილია საექიმო პერსონალის მომზადების საკითხი გაზით მოწამლულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომ თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მრეწველობის ხელისშემწყობი საზოგადოება, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი მთვარის საზოგადოებებთან ერთად ადგილებზე შეუდგა მშრომელ ქალთა მომზადებას გაზით მოწამლულთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის საქმეში.

17. ომის წარმატებით წაყვანა ბევრად არის დამოკიდებული ყოველი მებრძოლის მომზადებისა და ბრძოლის უნარისაგან, სროლაში კარგად გაწვრთნილი მეომრები იძლევიან დიდ შედეგს. ამიტომ თავდაცვის კვირეულის ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის (უმთავრესად ახალგაზრდობის) დახელოვნება სროლაში. წითელი არმიის რიგების უზრუნველყოფა კარგი მსროლელებით— არის მსროლელთა წრეების საქმე; სამოქალაქო წარმოებებში წრეების დაარსება, ტირების, სასროლო შეჯიბრის და სხვ. მოწყობა— არის საზოგადოების პრაქტიკული მუშაობის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამოქალაქო მოსახლეობის გასამხედროების დარგში.

18. საკითხს იმის შესახებ, შესძლებენ თუ არა იმპერიალისტები ახალი დიდი ომის გამოწვევას, გადასწყვეტს მსოფლიო კლასიური ბრძოლის მსვლელობა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ძალთა შეფარდება. იმპერიალისტები უველას თვალწინ ამზადებენ ომს. ჩვენ ვხედავთ ომის მატერიალურ - ტექნიკურ წინა პირობებს—შეიარაღების ზრდას. ხოლო მთავარი და გადამწყვეტი საკითხი ის არის, შესძლებენ თუ არა იმპერიალისტები მილიონიან მასების ჩაბმას ომში, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, 1914 წლის განმეორებას. ამის მომავალი გვიჩვენებს.

19. თუ მაინც ავარდება მსოფლიო ომის ალი და თუ მსოფლიო ბურჟუაზიის ყველა ძალები თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, ჩვენი ქვეყანა მაინც მზად უნდა იყოს.

ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ მზად ვართ ვიომოთ—აი, ჩვენი ბრძოლის ლოზუნგი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი.

პატარა ფელეტონი

კავერდას საჩუქარი

ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ კავერდას სახელზე ყოველდღე მოდის პოლონეთის და საზღვარგარეთის ანტი-ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან და კერძო პირების მიერ გამოგზავნილი ფულის მისალები უწყებები“. (ადს).

ბედი გიღიმის კავერდავ,
ვფიცავ პილსუდკის მეჩსაო;
ხიკის ბანდიტნი გილოცვენ
სისხლით შეღებილ ხელსაო.
ყოველდღე მოგდის უწყება
გმირო! მიიღე ფარაო;
ოსტინის ყველა ყაჩაღმა
შეგამკო, შეგიყვარაო.
ამბობენ: ნაღდი რუსი ხარ,
„პრესტოლის“ ცეცხლით იწვები;
მუშების სისხლის დალევას,
მონარქის დროს ეტიცები.
ყოველ ოქტომბრის მოსვლაზე
გული გევსება შხამითა,
გწამლავს საბჭოთა კავშირი,
ვერ ცხრები ერთი წამითა.
რადგან იმედათ გაჩნდა
ხიკის ყაჩაღთა შტატიო,
მოგდის სტერლინგი, დოლარი
არ იცი,—სად დაატიო.
არციბაშევის ქვრივმაც კი
არ დაგივიწყა გმირია,
განბა და „მოგიმადლია“
ბევრი რამ შესაწირია.
შენი მარჯვენის წინაშე
ბანდიტნი თავსა ხრიანო,
ძველი რუსეთის მტარვალნი
გაქებენ, გიმღერიანო.
შულგინის „ძმებმა“ გიწოდეს;
—შენ ხარ „ველიკი“ რუსიო,
შენი გმირობით ანათებს
მზე კრემლით ნახურუსიო.
ნეტავ, რა დედამ გაგზარდა
კავერდავ,—შენისთანაო!
„ბოგმა“ მარჯვენა გიკურთხოს
მტერთან გიჭრიდეს დანაო.
ღირსი ხარ ქება დიდების,
ერს ევლინები მხსნელადა;
მალე პილსუდკიც გაგიშვებს
ციხიდან—მინდორ ველადა.
შენი სახელით ამაყობს
„ტახტის“ ერთგული შვილები
„ბოგ“ და „პრესტოლი“ გიღიმი
პანაშვიდ გადახდილები,
გულს, რომ იმედათ გინთება
ყაჩაღთა ტკბილი სიტყვები,
მუშების თვალში ბანდიტად
იყავი, ხარ და იქნები.
პილსუდსკის ხმით რომ გიმღერენ
სიტის ბანკირთა გმირები,
ძველი ქვეყნების ნგრევაში
ჩაკვდები, ჩაიძირები.
დღეს თუ სიამით ჩასცქერი
სტერლინგით სავსე ქისაში,
მსოფლიოს გაწითლების დროს
მოხდები ტყვის ნიშანში,
მანამ იზარდე, აყვავდი.
დამშვიდდი დოლარ-ფრანკითა,
დრო მოვა,—ნაძირალები
ქვეყნიდან აიბარგვითა..

ყუმბარა.

ზაჰესის ტარიფი

ეკონომიურმა საბჭომ დააწესა ზაჰესის ელექტრო-ენერგიაზე შემდეგი ტარიფი:

1) განათება—ა) ბინისა ყველასათვის 15 კაპ. კვს., ბ) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისათვის 20 კ. კვს., გ) კერძო დაწესებულებათათვის 25 კაპ. კვს. დ) დარაბებისათვის საშუალო 40 კაპ. კვს., ე) ლამპების ანგარიშით ყველასათვის (გარდა კერძო პირებისა 2 კ. თითო სანთ., კერძო პირებისათვის 4 კაპ. თითო სანთ.; **2) იმ ენერგიისათვის, რომელსაც ეთიხმარს** ა) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულება დიდი და პატარა მატორისათვის 7 კაპ. კვს, ბ) კერძო პირი და დაწესებულება დიდი და პატარა მატორისათვის 7-დან 12 კაპ. კვს.; **3)** ქალაქის ქუჩების განათებისა და წყალსადენისათვის 3 კაპ. კვს.

საქართველოს ცაკში

პენსია მეცნიერების და ხელოვნების მუშაკებს

—ს. ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა განათლების სახალხო კომისარიატს და განათლების მუშაკთა კავშირს, შეიმუშაონ და წარმოადგინონ ცაკის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად პროექტი დადგენილებისა მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვა დამსახურებული მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

ამხ. ფილიპე მახარაძის გამგზავრება

ს. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის შვებულებაში გამგზავრების გამო თავმჯდომარის მოვალეობა ცაკის პრეზიდიუმმა დააკისრა ამხ. ივ. სტურუას.

შ. მათიკაშვილის გამგზავრება

ს. ს. ს. რ. ცაკის მდივნის ამხ. შ. მათიკაშვილის შვებულებაში გამგზავრების გამო მდივნის მოვალეობის ასრულება დაევალა ამხ. დ. აფციაურს.

სამეცნიერო მუშაკთა სექციების თათბირი

მეორე და მესამე სხდომა

მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგა 5 ივლისს საღამოს, გაიმართა ცხარე მოსმენილ მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდენ უმთავრესად სამეცნიერო მუშაკთა შრომის ხელფასის საკითხებს: ხელფასის დაწესების წესს, ხელფასის სისტემას, დამატებით ნორმებს, სამუშაო დროის ნორმებს. ბინას, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სამეცნიერო დაწესებულებები სათანადო თანამშრომლებით, ყოფაცხოვრების პირობებს, სექციების მონაწილეობას ბიუჯეტში მუშაობაში და სხვა.

პრაქტიკული წინადადებების შესამუშავებლად თათბირმა დადგინა გამოყოფილი იქნეს თვითეული სექციიდან თითო წარმომადგენელი.

გუშინ დილის სხდომაზე თათბირმა შეულობრივად გარჩია წარმოდგენილი რეზოლიუცია, მიღებულ რეზოლიუციაში თათბირი, აღნიშნავს რა სახალხო განათლების რესპუბლიკურ ბიუჯეტების ზრდას, ამავე დროს საჭიროდ სთვლის აღინიშნოს, რომ უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის გაღებული თანხები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

მუშაობის დამთავრების შემდეგ თათბირის მონაწილენი გაემგზავრენ ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრო-სადგურის დასათვალიერებლად.

ეკონომიურ საბჭოში

სას.-სამ. კოოპერაციის გამაგრება

ეკონომიურმა საბჭომ აირჩია კომისია ამხ. ს. ჯუღელის (თავმჯდომარე), ა. გეგეჭკორის, კ. კაკაბაძის, ნ. კოლატოზოვის, ბ. გოგიას, ა. თაბუკოვის, და ხვედელიძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამაგრებისა და განვითარებისათვის საჭირო კონკრეტიული ღონისძიებათა პროექტი.

სოხუმის ჰიდრო-ელსადგური

წინადადება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს ზედამხედველობა გაუწიოს სოხუმის ჰიდრო-ელსადგურის საბოლოო პროექტის შედგენას (რაც მიმდინარე საბიუჯეტო წელში უნდა დამთავრდეს); აღნიშნულ სადგურის აგებისათვის საჭირო სახსრები შეტანილ იქნეს მიმავალ 1927-28 წლის ბიუჯეტში.

სარენტო კომისიაში

სარენტო გადასახადის ა.-კ. ცენტრალურ-შემფასებელ კომისიაში საქართველოს ეკონომიურ საბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. პ. ჯიქია.

საზ-ბა „ქუთაისის ვაჭრობა“

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სააქციო საზ-ბა „ქუთაისის ვაჭრობა“-ს წესდების პროექტი.

კრედიტის გაცემა

მეთამბაქოებისათვის

ა.-კ. სასოფ. ბანკთან შესდგა სპეციალური კომისიის თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი, აფხაზეთის მეთამბაქოებისათვის 1927-28 წ. კრედიტების მიწოდების შესახებ.

თათბირმა დაადგინა აფხაზეთის ბანკს საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის საშუალებით გაეხსნას კრედიტი 500.000 მან. რაოდენობით.

მეცხვარეებისათვის

საქართველოს ბანკს სახალხო მამულების ტრესტისათვის გაეხსნა კრედიტი 85.000 მან. რაოდენობით.

ეს თანხა უნდა მოხმარდეს მეცხვარეობის გაუმჯობესებას. 70.000 მან. უნდა დაიხარჯოს ჯიშის გაუმჯობესებელ საქონლის შესაძენად, ხოლო 15.000 მან. — ფარეხების მოსაწყობად.

ჩაის პლანტატორებისათვის

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა, თანახმად სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი“-ს განცხადებისა საქ. სასოფ.-სამ. ბანკს ჩაის პლანტატორებისათვის კრედიტების მისაწოდებლად გაუხსნა კრედიტი 105.400 მან. რაოდენობით.

მოსალოდნელია თუ არა ეპიდემიები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ ეპიდემიური განყოფილების გამგემ **ამხ. ნაზარეტიანმა** ზაფხულის განმავლობაში მოსალოდნელი ეპიდემიების შესახებ შემდეგი განაცხადა:

ჯერ-ჯერობით ჯანსახკომში არ მოსულა არავითარი ცნობა ზაფხულის განმავლობაში რომელიმე ეპიდემიის აღმოჩენის შესახებ. ზაფხულზე ჩვეულებრივად ვრცელდება სპეციფიური ავადმყოფობა—დიზინტერია და ხოლერა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ეპიდემიები ჩვენთვის აღარ არის დიდათ საშიში, ვინაიდან საქართველოში მათ გასავრცელებლად აღარ არსებობს ხელსაშემწყობი პირობები.

ჩვენი მოსახლეობა უფრო მომზადებულია სხვადასხვა ეპიდემიებთან საბრძოლველად, ვიდრე ეს იყო წარსულ წლებში. გარდა ამისა, გაძლიერებულმა სანიტარული ხასიათის პროპაგანდამ თავისი ნაყოფი გამოიღო და მოსახლეობამ უკვე იცის, თუ რა ზომებია საჭირო, სენთან საბრძოლველად. გარდა ამისა ეპიდემიების გავრცელებას ხელს უშლის მთელი რიგი სხვა მოვლენებისა, როგორც მაგალითად, ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, განვლილ ეპიდემიათა იმუნიტეტი და სხ.

ჯერ-ჯერობით საქართველოში არაა მოსალოდნელი რაიმე ეპიდემიის გავრცელება ,თუ ასეთი შემოტანილი არ იქნა საზღვარგარეთიდან. ამიტომ ჯანსახკომის მთელი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია იქეთ, რომ სასტიკათ იქნეს დაცული უცხოეთიდან შემოსულთა საექიმო შემოწმების საქმე.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

დაიწყო სამრეწველო კვლევა-ძიება ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობებში

დაიწყო სამრეწველო კვლევა-ძიება ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ბუდობებში, რომელნიც მდებარეობენ მთებში, ოჩემჩირიდან 45 ვერსის დაშორებით. მუშაობას აწარმოებს 14 კვალიფიციური მუშა, რომელნიც გამოგზავნილი არიან „იუგოსტალის“ კომბინატიდან. კვლევა-ძიება სწარმოებს ინჟ. **დანჩიჩის** ხელმძღვანელობით.

პირველი დღეების განმავლობაში ამოღებულია 1.500 ფუთი სანიმუშო ქვა-ნახშირი, რომელიც კოქსათ გადასამუშავებლად გაიგზავნება „იუგოსტალის“ საკოქსო ღუმელებში. კვლევა-ძიებითი მუშაობა დამთავრდება სექტემბრის შემდეგ. განზრახულია სულ ამოღებულ იქნეს 9 ათასი ფუთი სანიმუშო ნახშირი.

ამოღებულ ნახშირზე მოხდა რამოდენიმე ელემენტარული ცდა კოქსის მისაღებად. სხვადასხვა ბუდობებიდან ამოღებულ კოქსიდან მიღებულ იქნა მკვრივი კოქსი.

მეაბრეშუმე გრენიორები

კოოპერატიულმა საზ. „აბრეშუმმა“. ქუთაისში მოაწყო ე. წ. მიკროსკოპიული კურსები, რომლის დანიშნულება იყო აბრეშუმის თესლის დამამზადებელ კვალიფიციურ მუშაკების მომზადება. კურსები მოწყობილი იყო პირველ და მესამე საგრენაჟო სადგურებთან. კურსებზე მეცადინეობა უკვე დამთავრდა. ირიცხებოდა სულ 35 მსმენელი. აქედან კურსები დაამთავრა 45. მსმენელთა გამოსაცდელად ეგზამენებს დაესწრენ პარტკომის და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლნი.

კურსდამთავრებულნი სამუშაოდ დატოვებულნი არიან საგრენაჟო სადგურზე. ასეთივე კურსები გაიხსნა სოფელ ვანში. (ქუთ. მაზ).

აგურ-კრამიტის ქარხნები

ს. მ. უ. ს. ახალშენებათა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წინაშე განიხილოს მის განკარგულებაში მყოფ აგურ - კრამიტის ქარხნების გადაკეთების საკითხი. დღემდე ჩვენში არსებული აგურ-კრამიტის ქარხნები მუშაობდენ კუსტარული წესით; ყველა ქარხნები მოწყობილი პრიმიტიული იარაღებით. ასეთივე მდგომარეობა იყო მთელ რუსეთშიაც, მაგრამ უკანასკნელ ხანებში საკავშირო ს. მ. უ. ს. განკარგულებით უკვე დაწყებულია ყველა ქარხნების გადაკეთება ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად.

საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილია განსაკუთრებული ორგანო „სტრომსტროი“, რომელიც ხელმძღვანელობს ქარხნების რეკონსტრუქციას.

უახლოეს სხდომაზე ს. უ. მ. ს. პრეზიდიუმი განიხილავს ახალშენებათა კომიტეტის შუამდგომლობას საქართველოში არსებულ აგურ-კრამიტის ქარხნების რეკონსტრუქციის შესახებ.

ხილის ექსპორტი

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს უკანასკნელ საექსპორტო თათბირზე მოსმენილი იქნა ამხ. **დიდიძის** მოხსენება ვაშლის ექსპორტის შესახებ მიმდინარე საოპერაციო წელში.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის დადგენილებით, წელს დამზადებული იქნება სულ 70.000 ფუთი ვაშლი; აქედან საზღვარგარეთ გასატანად გადარჩეული იქნება 30.000 ფუთი, დანარჩენი გაიგზავნება შინაურ ბაზრებზე.

დამზადების მთავარ რაიონებად მიჩნეულია გორის მაზრა და სამხრეთ-ოსეთი.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მოახდინა აღნიშნული რაიონების გამოკვლევა; რომ ხილის მოსავალი წელს საშუალოზე ნაკლები იქნება. ხე-ხილის ბაღები დაუზიანებია მავნებლებს.

წრევანდელი საერთო მოსავალი სამხრეთ-ოსეთში და გორის მაზრაში ნავარაუდევია 700.000 ფუთის რაოდენობით; აქედან საექსპორტო ვაშლი იქნება დაახლოვებით 210.000 ფუთი.

განზრახულია აგრეთვე საექსპორტო ვაშლის გატანა კუბის რაიონიდანაც. ამას გარდა წელს, ცდის სახით, გეგმის გარეშე გატანილი იქნება 2-3 ვაგონი მხალი.

ბაზარი

დიდი მოთხოვნილებაა პურის ფქვილზე. კერძო ბაზარზე თეთრი ფქვილი აღარ იშოვება, ხოლო თუ კი სადმე იშოვება — ღირს 37 კ. კილო.

ადგილობრივ ხორბალზე ფასებმა დაიკლო, აიწია ფასები ადგილობრივ სიმინდზე, რადგან მასზე დიდი მოთხოვნილებაა დასავლეთ საქართველოში.

შვრია კერძო ბაზარზე არ იშოვება, მაგრამ ის საკმაოდაა „ხლებოპროდუქტში“. შვრიაზე მოთხოვნილებამ საგრძნობლად იკლო.

საქონლის ხორცზე ფასებმა დაიკლო, რადგან მოთხოვნილება მასზე შემცირდა.

ფასებმა დაიკლო აგრეთვე კარაქზე და ერბოზე, რადგან გაიზარდა ციმბირის კარაქის შემოტანა.

აიწია ფასებმა თუშურ ყველზე, ვინაიდან ცოტა შემოდის ბაზარზე. ფასები გაიზარდა აგრეთვე კვერცხზე, რადგან უფრო მაღალ ფასებში იყიდება კურორტებზე და იქ გააქვთ.

მანუფაქტურის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ჩითზე, პარუსინაზე და თეთრეულ მატერიებზე.

დიდათ გაიზარდა მოთხოვნილება საშენ ტყის მასალაზე. მცირე მიწოდების გამო, დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე სახურავ რკინაზეც.

აიწია ფასებმა ზეთზე რადგან მცირე რაოდენობით შემოდის ბაზარზე იმის გამო, რომ აკრძალეს მისი ჭერა თევზის სარეწაოებში.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის
პროლეტარიატი

მუშკოოპის მე-9-ე მაღაზიის თანამშრომლებს შემოგვაქვს 85 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევთ მუშკოოპის შემდეგ მაღაზიების თანამშრომლებს: რუსთაველის პასაჟი, სადგურის პასაჟი, ცენტრალური მაღაზია, მაღაზია № 1 და მე-7-ე მაღაზია.

დიმიტრი ლოლობერიძე.

—:—

ამხ. მიშა კალანდაძის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ხარაზოვი არამ, ნარსია მიშა, ხვედელიძე სერგო, მახალდიანი იასონ, კიკნაძე ნიკო, სანაძე გოგი, გძელიშვილი ალექსანდრე, ცარევსკი პროკოფი, თოფურია გიორგი, გოცირიძე გიორგი.

დიმიტრი ლოლობერიძე.

—:—

ამხ. რ. სტურუას გამოწვევის თანახმად შემომაქვს **ხუთი (5 მ.)** მანეთი, თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის სასარგებლოთ.

ნ. ალაჯანოვა.

—:—

ამხ. ა. ფანცულაიას გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ბარამიძეს, ალ. ჭოხონელიძეს, მ. ასლამაზოვს, ექიმ შათირიშვილს, შალვა შათირიშვილს, თათულ ვარდანაშვილს, ნ. რიჟამაძეს, ი. გაგლოევს, ივანე დადენაშვილს, ჭანკვეტაძეს.

სპირიდონ გერაია.

თანახმად პლატონ ჯაფარიძის გამოწვევისა, შემომაქვს თვითმფრინავის სასარგებლოთ სამი (3) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნიკოლოზ მთვრალაშვილს, სერგო კორძაძეს, ზურაბ შეტრეველს, თეოფილე ჭეპყოძეს, ივანე ხაზუტაშვილს, ნიკო ჯილაურს, დავით პ. მარღოშვილს და მიხეილ პეტ. რუხვაძეს.

ალექსანდრე კარაპეტიანი.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ ამხ. ნ. გეგეჭკორის გამოწვევით შემომაქვს **5 მან.** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

კ. კანდელაკს (სახალხო მამულების ტრესტი), ბ. ბერიას, გ. გურჯიას, მელენტი თოფურიას, თომა ლუკავას, კარპიოზ ბარბაქაძეს, აკაკი ქავთარაძეს, დ. ბაგრატიონს, ჭ. რაფავას, ს. ლორთქიფანიძეს, რ. ერისთავს, ვ. ბეჟანოვს, თ. ეჯიბიას, მ. ხუსკივაძეს, ევგ. ერგარს, შაფათავას, მ. ნიორამაძეს, ს. ცუცქირიძეს, მ. ძიძიგურს, გრ. მღვდლიძეს, კ. საყვარელიძეს.

შ. ხამაშურიძე.

—:—

ამხ. ზუაძის გამოძახებით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად **10** მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

ემილი დიდიძეს ზაგოსტორგი, ნიკო ელიავას, დიომიდე თოფურიძეს, შალიკო დუგლაძეს, ვასო სიხარულიძეს, აკაკი ჭყონიას, კაპიტონ გოგოლაძეს, ტერენტი ტულუშს, კოწია კანდელაკს, ბარსეგ ფარსადანოვს, დავით სამადაშვილს, ვალოდია ხოფერიას, დავით ახმეტელს, ვასილ გოგილაძეს, სამსონ ზაქრაძეს, დიმიტრი გედევანიშვილს, გრიგორი კოპლატაძეს, გერმანე ლომთათიძეს, ბარნაბ ძველაიას, ალიოშა ძაძამიას, ალექსანდრე კანდელაკს, ანდრო ჭიაბრიშვილს (მუშკოოპიდან), დიმიტრი აბაშიძეს, ჰიათურა, კონსტანტინე ბრეგვაძეს, სამსონ ტომახიძეს, სუგაკს, მიშა როსეფაშვილს, ვასო კოგიაშვილს, გიორგი აბრამიძეს, იპოლიტე ნარსიას.

მიშა ძამანაშვილი.

—:—

სულ დღევანდლამდე შემოვიდა 1628 მან. და 18 კაპ.

—:—

შემოწირულების შეკრება სწარმოებს „კომუნისტის“ კანტორაში—რუსთაველის პროსპექტი, 34, დილის 9 საათ. შუადღის 4 საათამდე.

თავდაცვის კვირეულისათვის

შეწირულებათა შეკრება

საქართველოს ცაკმა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ფონდის გასაძლიერებლად ნება დართო მოაწყოს:

ნებაყოფლობითი შეწირულების შეკრება პრესის საშუალებით, ყულაბებით ფულის შეკრება ორი დღის განმავლობაში, ნებაყოფლობით თანხის გადარიცხვა შრომის ხელფასიდან და კვირეულის განმავლობაში 10 პროცენტიანი გადასახადის დაწესება ბილეთებზე ყოველგვარ გასართობებიდან

გაზების ხრჩოლება

10, 11 და 12 ივლისს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება ა.-კ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს № ლეგიონის კამერაში აწყობს ნამხედრო ქიმიურ გაზების ხრჩოლებას. საზოგადოების ყველა უჯრედები, რომელთაც სურთ დაესწრონ გაზების ხრჩოლებას მოვალენი არიან წარმოადგინონ მსურველთა სიები.

გაზების ხრჩოლების დროს წარმოებული იქნება ცდები ძაღლებზე.

საღამოები

თავდაცვის კვირეულისათვის საღამოების მომწყობმა კომისიამ დაადგინა: 14 ივლისს მოაწყოს საღამო ტრამვაელების და ხელოსანთა კლუბებში, 16-ს—მუშათა ახალ, მეტყავეთა და ორჯონიკიძის სახ. კლუბებში, ხოლო 17-ს საბჭოთა მუშაკების, ცენტრალურ მუშათა კლუბებში და ბაღ „სტელა“-ში.

„პასუხი ჩემბერლენს“ ფონდში

ა.-კ. და საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის უჯრედმა გადაიხადა 280 მანეთი, ხოლო ა.-კ. და საქ. თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედმა კი 24 მან. 50 კაპ.

პროფსაბჭოს მიმართვა

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს და კავშირების ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტებს, რათა მათ მიუთითონ პროფორგანიზაციებს, რომ ყურადღება მიაქციონ მშრომელთა ძირითადი მასის გასამხედროების ამოცანის შესრულებას თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება-ავიაქიმის მუშაობაში მონაწილეობით.

პირველ რიგში დაწყებული უნდა იქნეს კამპანია პროფკავშირების წევრების ჩასაბმელად თავდაცვის ხელისშემწყობ საზ-ბა-ავიაქიმის უჯრედებში, ამასთანავე მათ ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ ავიაქიმის სხვადასხვა რაზმების და გუნდების შექმნის საქმეში.

ამავე დროს პროფორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ თავდაცვის კვირეულის მომზადებაში.

მუშაობის გაღრმავების და შეთანხმების მიზნით თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებასთან ეწყობა სპეციალური კომისიები, რომლებშიაც სხვა ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფსაბჭოებმაც.

მოლაპარაკება ჰარიმანთან

საქართველოს მშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობს მოლაპარაკება საზოგადოება „საქართველოს მარგანეცთან“ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების შესახებ შეწყდა იმის გამო, რომ მხარეებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ რამოდენიმე საკითხში.

მშენებელთა კავშირის ცეკა წინადადებას აძლევს ცენტრალურ გამგეობას, რათა უკანასკნელმა დაჟინებით მოითხოვოს კოლექტიურ ხელშეკრულებაში ისეთი პუნქტის შეტანა, რომელიც კონცესიონერს ვალდებულს გახდის გადაუხადოს სამუშაოდან დათხოვნილ მშენებლებს [illegible] დახმარება, თუ დათხოვნილი გაფრთხილებული არ იყო ორი კვირით ადრე.

შემდეგ ცეკა საჭიროდ სთვლის კოლექტიურ ხელშეკრულებაში ისეთი პუნქტის შეტანასაც, რომელიც ვალდებულს გახდის კონცესიონერს აძლიოს მუშებს ხელფასი ცუდი ამინდების დროს, როდესაც კონცესიაზე მუშაობა არ სწარმოებს, მაგრამ ამის მიზეზი მუშები არ არიან.

ბინის საკითხის შესახებ ცეკა იძლევა წინადადებას, რომ კონცესიონერს მოეთხოვოს მუშებისათვის ბინების აშენება და არა მის ნაცვლად ბინის ქირის გადახდა, როგორც ეს არის ამჟამად.

მოლაპარაკება ამ დღეებში განახლდება.

საგეგმო კომისიაში

ქუთაისის წყალსადენი

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროებათ სცნო რიონგესის სამუშაოთა დაწყებასთან დაკავშირებით ქუთაისის წყალსადენის აგება. მასთან პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს აღმოუჩინოს დახმარება საჭირო (1.250.000 მან.) გრძელვადიანი სესხის მიღებაში.

კომუნალური ბანკის გაძლიერების შესახებ

პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო კომუნალური ბანკის ძირითადი თანხის გადიდება და მასთან ადგილობრივ ბიუჯეტში სპეციალურ თანხის შეტანა საბინაო აღმშენებლობისათვის.

ბანკის მოგების განაწილების დროს ნაწილი მოგებისა უნდა გადაიდოს გრძელვადიანი კრედიტებისათვის სპეციალური კაპიტალის სახით.

სახანძრო დაზღვევა ქალაქებში

ვინაიდან ქალ. ლიუქსემბურგის, შაუმიანის, დუშეთის, ცხინვალის, ხაშურის, ახალქალაქის, სამტრედიის, ონისა და ხონის მცხოვრებთა უმეტესობა დაბეგრილია სას.-სამეურნეო გადასახადით, პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო მათი ამორიცხვა საქართველოს იმ ქალაქთა სიიდან, სადაც 1927-28 წელში უნდა ჩატარდეს ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევა.

კოლექტიური მეურნეობა

სას.-სამ. სექციას დაევალა გამოარკვიოს კოლექტიური მეურნეობის მდგომარეობა და ამ კარემოებასთან დაკავშირებით შეისწავლოს რამდენად საჭირო იქნება სრულიად საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის დაარსება.

მატყლზე მიზნობრივი გადასახადის და წესების შესახებ

სტანდარტიზაციის ჩატარების მიზნით, მატყლზე მიზნობრივი გადასახადის დაწესება მიზანშეწონილად იქნა ცნობილი. რაც შეეხება შემოდგომის მატყლის ნიმუშების შესაგროვებლად საჭირო 2.240 მან., პრეზიდიუმის აზრით, უნდა იქნეს გაღებული სახკომსაბჭოს ან მიწსახკომის თანხებიდან.

მეცნიერულ ძალთა ექსკურსია

დღეს, ხარკოვ-მოსკოვ-ლენინგრადში მიემგზავრება სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერულ ძალთა ექსკურსია, რომელიც მოწყობილია უნივერსიტეტის ადგილობრივი კომიტეტის მიერ. კომისიაში მონაწილეობას იღებს 25 კ. მეთაურობს ექსკურსიას დოცენტი **მელიქსედ ბეგი.** ექსკურსიის მიზანია გაეცნოს საკავშირო რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობას და მიღწევებს. ექსკურსანტები დაბრუნდებიან ერთი თვის შემდეგ.

გამოვიდა და იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
№ 6—7

შინაარსი:
ფ. მახარაძე—ომის საფრთხე და საბჭოთა კავშირი.
ი. სტალინი და ა. მარჩულინი—ჩინეთის რევოლიუციის საკითხები.
აკ. ჭყონია—საქ. კომპ. ცეკას და ცენ. საკ. კომ. გაერთიანებული პლენუმი
აგრ. ე. გოგოლაძე—კოლექტიური მეურნეობანი ჩვენში.
ვ. გოგილაძე—მიწადმოწყობა საქართველოში
ი. ბუაჩიძე—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა
ვ. იმედაძე—სამხედრო პროპაგანდა სოფლად
პ. შუშანია—რადიო სოფლად.

საერთაშორისო მიმოხილვა:
დ. გვაზავა—მომავალი ომი
ალ. პაპავა—საერთაშორისო ფრონტზე

ადგილობრივი ცხოვრება:
ა. ბზეკალავა—ქვეყნის თავდაცვა და პარტიული ორგანიზაციები
ს. ლომიძე—როგორ უნდა მუშაობდენ უჯრედები სოფლად
ბ. ჩარკვიანი—გლეხურ უჯრედების მუშაობა თბილისის მაზრაში
დ. კომახიძე—ქალთა კუთხეების მუშაობა ოზურგეთის მაზრაში
ა. ჯაფარიძე—განახლებულ საბჭოების საქმიანობა

ბიბლიოგრაფია:
მკითხველი—ბარათოვი. მომავალი ომები
მ—ლი—ვ. ტიხომიროვი—როგორ გავაუმჯობესოთ კოოპერატივის მუშაობა
ა. ე.—ვ. მახოვი. კოოპერაცია და გლეხის მეურნეობა
მ. ლ.—პ. ი. შენგელაია. საბინაო საკითხი და საბინაო კოოპერაცია
ვ. მ.—როგორ უნდა აწარმოონ მუშაობა თემთა სარევიზიო კომისიებმა.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.
ნ. 1414 2—1

სურებ-ჩოხატაურის გზა

თანახმად ს. მეგრელიშვილის გამოწვევისა შემომაქვს ჩოხატაურ - სურების გზის სასარგებლოთ 5 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ვ. კილურაძეს, გ. თალაკვაძეს, ეპ. სიამაშვილს, იაშა კონტრიძეს, ბენო ბერაძეს, ჟორჟიკა ბარამიძეს, ნოე ცინცაძეს, ნოე ბარამიძეს, კალისტრატე და თედორე რამიშვილებს, გრიგოლ ბერაძეს, ნიკოლოზ კობიძეს, ტარასი კობიძეს, ლუკა კობიძეს, ვანიჩკა მაჩაბელს, თბილისის ცხენოსან რაზმს, კალანდაძეს (ფუნიკულიორი) და დათიკო და სანდრო კალანდაძეებს.

გოგიტო ციმბირელი (ვ. კობიძე.)

თანახმად ამხ. პ. ლომინეიშვილის გამოწვევისა, შემომაქვს სურებ – ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ 10 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვასო დოლიძეს, დიმიტრი გაბუნიას, ასინეთი კოტრიკაძისას, თამარა ბოლქვაძისას-ბარამიძის ასულს. სიმონ და ტასია ჭაჭოძეებს. მოსე და ნატაშა ლორიებს, თამარა ბიბინეშვილისას, ციბულო ლომინეიშვილისას, ეთერი გაგუას, ეთერი ლომინეიშვილისას, მარინე კიკვიძისას,— ახალაძის ასულს, ელისაბედ ბარამიძისას, კატო და პატკულა ლომინეიშვილებს, ეკა ჭაფოძისას-ხუნდაძის ასულს და პასიკო სანიკიძისას-ყენიას ასულს.

ფედოსი კიკვაძისა - ხუნდაძის ასული.

თანახმად ოლია ბარამიძის გამოწვევისა ზემომაქვს 3 მანეთი ჩოხატაურ - სურების გზის ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ვანო უჯმაჯურიძეს, ვასო როინიშვილს, ზვიმონ უჯმაჯურიძეს, კოწია მუსერიძეს, კოლია ანდღულაძეს, ვალოდია ჭყონიას, შალვა ბერაძეს, გიორგი ბერაძეს. ერმალო ულენტს, კაცია ულენტს, ტუტა ულენტს, ნატაშა კობიძეს - ფირცხალავასას, გრიშა ხეცურიანს მარო ულენტს-დევიძისას და სერგო მდივანს.

ნინო ბერაძე.

ქსენია ბიბინეიშვილის გამოწვევით სურების გზისათვის შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ სანდრო შონიას.

ყოსე გოგიბერიძე.

თანახმად ოლია ბარამიძის გამოწვევისა ვგზავნი ხსენებული გზის ფონდისათვის 5 მანეთს. ვიწვევ ასეთივე თანხით შემდეგ ამხ. ქალებს: თამარ ხუნდაძის ასულს, ანიჩკა მგალობლიშვილის ასულს, მართა კალანდაძის ასულს, ნინუცა ხუნდაძის ასულს და როზა რამიშვილის ასულს რამიშვილებს, გალია უჯმაჯურიძის ასულს ხუნდაძეს, ნინა სალაყაიას, დომინიკა კალანდაძის ასულს ხუნდაძეს, კეკელა კალანდაძის ასულს ფაჩუაშვილს, მარუსია კანდელაკის ასულს ხუნდაძეს, ბაბო ჭილაძის ასულს ულენტს, ნადია კობალაძის ასულს ჭელიძეს, მარუსია ყენიას ასულს ქორიძეს, მარიამ რამიშვილის ასულს თოხაძეს, ეპრაქსია რამიშვილს—თბილისიდან. ანეტა რამიშვილის ასულს სიხარულიძეს —ქიათურიდან. ბაბო ნიჟარაძეს, მარუსია ხუნდაძის ასულს ჭუმბურიძეს, იულია ხუნდაძის ასულს ნიკოლაიშვილს, აგრაფინა რამიშვილს—ქუთაისიდან. შაშიკო ბერიშვილის ასულს და ნინა სანიკიძის ასულს ყენიებს—საჭამიასერიდან; პუპი უჯმერიძისას—კოხნარიდან.

კატო ხუნდაძის ასული რამიშვილისა.

სულ შემოვიდა 421 მან.

შემოწირულების მიღება სწარმოებს „კომუნისტის" კანტორაში — რუსთაველის პრ., 34 — დილის 9 საათ. შუადღის 4 საათამდე.

ქრონიკა

მისალმებანი ცეკას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებულია მისასალმებელი დეპეშები:

ახალციხის ქართველ ებრაელთა საერთო კრებისაგან ებრაელთა კოოპერატივისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის გამო, ძირულის რაიონის მუშებისა და გლეხების მიტინგისაგან და სრ. საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა კონფერენციისაგან.

ამხ. პოლიაკის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ნავთის სინდიკატის კოლეგიის წევრი ამხ. პოლიაკი.

მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია ნავთსახდელ ქარხნების აგებასთან ბათომში.

თბილისის ალმასკომში

◆ **ახალი აბანოები მუშათა უბნებში.** თბილისის ალმასკომმა დაადგინა შეუდგეს მუშათა უბნებში მთელ რიგ ახალი აბანოების აგებას, ვინაიდან არსებული აბანოები ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას.

◆ **ბალნეოლოგიური სადგური.** თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა შეუდგეს გოგირდის აბანოების რაიონში ბალნეოლოგიური სადგურის აგებას. სადგურთან იწარმოებს გოგირდის წყალით მკურნალობა.

ჯანსახკომში

◆ **საპერსპექტივო გეგმები.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განყოფილებები შეუდგენ თავიანთ დარგში მუშაობის 5 წლიან საპერსპექტივო გეგმების შემუშავებას.

◆ **ჯანსახკომის საავადმყოფოებში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაუთმო თბილისის ალმასკომის ჯან. განყოფილებას ცენტრალურ სამკურნალო დაწესებულებებში 240 ადგილი.

◆ **ანატომიური განყოფილება.** სოციალური ჰიგიენის მუზეუმთან დაიწყეს ანატომიური განყოფილების მოწყობა.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **გერმანელ მასწავლებელთა ყრილობა.** 20 ივლისს მოსკოვში მოწვეულია გერმანული სკოლების მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა. რომელზედაც მიწვეული არიან საქართველოს გერმანული სკოლების გამგეები.

◆ **ხონის ინდუსტრ. ტეხნიკუმში.** განათლების კომისარიატში მიღებული ცნობით, წელს ხონის ინდუსტრიალური ტეხნიკუმი დაასრულა 15 კაცმა. კურსდამთავრებულები გაიგზავნენ პრაქტიკაზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამრეწველო რაიონებში.

◆ **პედაგოგების მოწვევა.** გან. კომისარიატთან არსებულმა ეროვნებათა უმცირესობის განყოფილებამ ვოლგის გერმანელების რესპუბლიკიდან მოიწვია 8 გერმანელი პედაგოგი.

◆ **სკოლების შეკეთება.** განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო განათ. განყოფილებებს სკოლების შეკეთება აწარმოონ ზაფხულის არდადეგების გათავებამდე.

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **მეაბრეშუმეობის კურსები.** მებრეშუმეობის ცენტრალურ სადგურთან გახსნილ მეაბრეშუმეობის კურსებზე მეცადინეობა დასრულდა. გამოცდები დაიწყება ამ დღეებში.

◆ **მებრეშუმეობის გამოკვლევა.** მიწათ.-მოქ. კომის. სასწრაფოდ მიავლინა დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის ცენტრ. სადგურის დირექტორი ივანოვი ქიის თესლის გაფუჭების გამოსაკვლევად.

◆ **ავიო - მატორების კურსები.** დღეს დაიწყება მეცადინეობა თავდაცვა - ავიაქიმის მიერ მოწყობილ ავიო - მატორულ კურსებზე. კურსები მოთავსებულია მუშათა ცენტრალურ კლუბში.

◆ **პროფ. როდერი,** რომელიც მოწვეულია ს. მ. უ. ს. მიერ სატყეო მრეწველობის დარგში სამუშაოთ ამ დღეებში მიემგზავრება ბათომში ხის გადასამუშავებელი ფაბრიკის აგების საკითხის შესასწავლად.

კრებები და მოხსენებები

◆ **ამხ. მ. კახიანის მოხსენება.** 8 ივლისს, წითელი არმიისა და ფლოტის სახლის დარბაზში (რუსთ. პრ. № 10) მოწვეულია თბილისში მყოფ თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. მ. კახიანი შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და ქართული ემიგრაცია". მოხსენება დაიწყება საღამოს 7 საათზე.

კრება მოწვეულია თადარიგის მეთაურთა ერთი ჯგუფის ინიციატივით.

◆ **ნიაღვარის შედეგები.** მიწათ-მოქმედების კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ უკანასკნელათ მოსულმა ნიაღვარმა დააზიანა წნორის სახალხო მამულის 70 პროცენტი. მამულში სავსებით გადალეკილია ამერიკული ვაზის სადედეების ნახევარზე მეტი.

სხვადასხვა

◆ **რძის ნაწარმოებთა ფაბრიკა.** რძის ნაწარმოებთა ფაბრიკის ასაგებ ადგილათ ყაზბეგის რაიონში საბოლოოთ არჩეულია ადგილი სოფ. სიონსა და არშოს შორის.

◆ **მოდელების შეჯიბრი.** 24 ივლისიდან დაიწყება სრ. საქართველოს საფრენი მოდელების შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მოდელისტი - კონსტრუქტორები.

◆ **ნაოსნობა რიონზე.** ამ დღეებში შესდგა რიონზე ნაოსნობის მომწყობი საზოგ. აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც დაადგინა დაიწყოს ნაოსნობის წარმოება რიონზე მომავალი ზამთრიდან.

◆ **მილიციელთა დასასვენებელი კუთხე.** 5 ივლისს საბჭოთა და სავაჭ. მუშაკების საზაფხულო კლუბში მოხდა მილიციის მუშაკთა კუთხის საზეიმო გახსნა. კუთხე მორთულია ლენინისა და სხ. რევოლიუციონერთა ძეგლებით და სურათებით.

იქვე მოეწყო სამკითხველო.

◆ **ოქტომბრის იუბილე ქარხნებში.** ს. მ. უ. საბჭოსთან შემდგარმა ოქტომბრის რევოლიუციის 10. წლისთავის ჩამტარებელმა კომისიამ გამოიმუშავა გეგმა ფაბრიკა-ქარხნებში საიუბილეო დღესასწაულების ჩასატარებლათ.

ბავშვთა მეგობრების უჯრედები. ამ დღეებში თბილისის მაზრის სოფლების ჩამოსავლელათ მიემგზავრება ბავშთა მეგობრების საზოგადოების რწმუნებული **ამხ. ალ. შულგინა,** რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს სოფლებში საზოგადოების უჯრედები.

უჯრედებს დაევალებათ უხელმძღვანელონ უპატრონო ბავშთა და ობლების აღრიცხვას.

შემთხვევები

მეორე სართულიდან გადმოვარდნა

5 ივლისს სასტუმრო „პარიზის" მეორე სართულიდან გადმოვარდა ევგენია ალშიბაია, რომელიც სასიკვდილოთ დაშავდა.

ალშიბაია გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

◆ **საკანდიტროს გაქურდვა.** გუშინ გაქურდეს მოქ. ბენდიანიშვილის საკანდიტრო (რუს. პრ. № 38). წაღებულია ფულად 476 მანეთი და ნამცხვრები.

◆ **ქურდობა სასტუმროში.** გუშინ სასტუმრო „ევროპაში" გაქურდეს მოქ. რაფიელ გულდავალიძის ბინა. წაღებულია 260 მან. ფულათ და ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით გაქურდეს სამსონ თხილავას ბინა (ორჯონიკიძის ქ. № 79) წაღებულია 90 მანეთი ფულათ.

◆ **ქედის კოოპერატივის გაქურდვა.** იანვრის ბოლო რიცხვებში ბოროტმოქმედებმა გასტეხეს სოფ. ქედის კოოპერატივი, საიდანაც წაიღეს მრავალი ნივთები და ფართლეულობა.

ივნისის შუა რიცხვებში სიღნაღის სამაზრო მილიციის მიერ მიღებულ ზომებით ქურდები აღმოჩენილი არიან. ისინი აღმოჩნდენ ზაქათალის ოლქის მცხოვრებნი ყურბანა და იბრაგიმა აბდულ-ოღლები და წიტო და აჯი უსუფ-ოღლები. აღმოჩენილი საქონელი გადაეცა კოოპერატივს.

ხელოვნება

მზადება ოქტომბრის რევოლიუციის იუბილესათვის

თბილისის პოლიტგანმა უკვე დაიწყო სამზადისი ოქტომბრის 10 წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლათ თბილისში და მის მაზრაში. ამჟამად სწარმოებს მაზრის სოფლებში დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

დღესასწაულების დროს გამოყენებული იქნება მოძრავი კინო, გაიმართება გლეხების კრებები, დაარიგებენ წიგნებს და ბროშურებს ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ და სხვა.

მოძრავი კინო გამართული იქნება მაზრის ყველაზე უფრო მჭიდროთ დასახლებულ ადგილებში და უჩვენებენ წინასწარ შერჩეულ რევოლიუციონურ სურათებს.

სამეცნიერო მუსიკალური ექსკურსია

ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმი 25 კაცისაგან შემდგარი გუნდით, ამხ. **აბაშიძის** მეთაურობით და ქუთაისის მუზეუმის დირექტორის ტრ. ჯაფარიძის მონაწილეობით 7 ივლისიდან აწყობს მოგზაურობას. გუნდი შემოივლის ქუთაისს და რაჭის მაზრის მთელ რიგ სოფლებს, აჭარისტანს, კახეთსა და ქართლს. ქალაქებიდან გუნდი ინახულებს თბილისსა და ბათომს. გუნდის პროგრამაში შედის ოპერის ნომრები და ეროვნული სიმღერები. გუნდის მოგზაურობა ჩატარდება ამხ. ჯაფარიძის ლექციებით. ექსკურსიის მიზანია—მიყრუებულ სოფლების ნახვა და მათში მუსიკალური ცოდნის შეტანა.

ლიტერატურული საღამო

დღეს, საღამოს 9 საათზე ამხ. ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის ტრამვაის მუშაკთა კლუბში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო მუსიკალური განყოფილებით.

საღამოში მონაწილეობას იღებენ პოეტები და სახალხო მომღერალთა გუნდები. გამოვა ცალკე გუნდი დ. გოცირიძის ხელმძღვანელობით, რომელიც შეასრულებს გურულ, მეგრულ, რაჭულ და ქართლ-კახურ სიმღერებს. საღამოზე მოწვეული არიან მესტვირეები და ქართული ცეკვის შემსრულებლები.

◆ **მწერალთა საღამო კავკავში.** შაბათს, 9 ივლისს კავკავის ქართული კოლონიის კლუბში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო, რომელზედაც გამოვლენ თბილისიდან გამგზავრებული მწერლები და პოეტები. საღამო გაიმართება სრ. მწერალთა კავშირის ინიციატივით ამხ. შ. ელიავას სახელობის ქართული კლუბის დარბაზში.

◆ **„მიუსიკ ჰოლლის" გასტროლები.** ამჟამად საზაფხულო ბაღ „არტოში" მიდის თეატრ „მიუსიკ ჰოლლის" გასტროლები.

◆ **ქუთაისის მუსიკალური სატირის** მსახიობთა გასტროლები თბილისში წარმატებით მიმდინარეობს. სატირის მსახიობების გასტროლი ამ დღეებში დაიწყება მუშათა ახ. კლუბის ბაღში.

— **„ოქტომბრის დღეები თბილისში".** პროლეტარულმა მწერალმა **გ. სირაძემ** დასწერა 5 მოქმედებიანი პიესა „ოქტომბრის დღეები თბილისში".

სასამართლო

მოწაფე ბებუთით

თბილისის მე-2-ე შრომის სკოლა, სკოლას აღარ წარმოადგენდა მას შემდეგ, რაც „მოწაფემ" **გიორგი ბერძენიშვილმა** მთელი პედაგოგიური პერსონალი და მოწაფეები თავისი ბებუთით ტერორის ქვეშ დააყენა. გასული სასწავლო წელი შიშის და კანკალის ქვეშ ჩატარდა მე-2-ე შრომის სკოლაში.

თუ ვინმე ბერძენიშვილის წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ბებუთი მაშინვე ამოშრიალდებოდა ქარქაშიდან. მასწავლებელს, როცა ის სკოლის დარბაზში შედიოდა, ცალი თვალი ბერძენიშვილისაკენ ეჭირა. უკანასკნელიც სწორედ მაშინ შეათამაშებდა ხელში ბებუთს, როცა მასწავლებელს დაინახავდა.

ვინ გაუბედავდა მას ცუდი ნიშნის დასმას ან გაკვეთილის გამოკითხვას საერთო წესით?

სკოლაში ბერძენიშვილი თავს ისე გრძნობდა, როგორც რესტორანში, სადაც ის თავისი „ძმაბიჭებით" უფრო მეტ დროს ატარებდა. ჯერ რასაკვირველია, ის რესტორანში შეთვრებოდა კარგა მაგრათ და შემდეგ,თუ მოეხასიათებოდა, შეივლიდა სკოლაში. მოწაფეები და მასწავლებლები უყურებდენ ბერძენიშვილის ჩხუბს, აყალმაყალს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს უბედავდა.

— თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ, ხმა გაკმიდეთ ეხლავე,—დაიყვირებდა ბერძენიშვილი მოწაფეების კრებაზე, რომელზედაც იმუშავებდენ ზომებს ბერძენიშვილის გამოსასწორებლად.

თითო-თითოდ გაიპარებოდენ მოწაფეები კრებიდან. ბერძენიშვილი გამოიხმობდა კრების ორგანიზატორს გარეთ და ურტყამდა, სანამ კარგად არ „დაარბილებდა".

განსაკუთრებით ეჯავრებოდა ბერძენიშვილს კომკავშირელები, რომლებიც აღშფოთებული იყვნენ მისი საქციელით და წესრიგისაკენ მოუწოდებდენ მას. წესრიგისაკენ მოწოდებისათვის ბევრ მათგანს დაატეხა თავს რისხვა, ზოგი დასჭრა ბებუთით, ზოგს სცემა, ლანძღვა-გინება, ხომ მუდამ პირზე ეკერა, (ბერძენიშვილი 18 წლის არის).

საინტერესოა რა და რა „წარმატება" აქვს, ამ სამოსწავლო წლის ბოლოს ბებუთის მოწაფეს? აი რა მოასწრო მან: ბებუთით დასჭრა მოწაფეები: 1) მოწონელიძე, 2) სულხანიშვილი, 3)თალაკვაძე, 4) ერისთავი, 5) ზაალიშვილი, სცემა ციციშვილს და სხვა.

ციციშვილი კომკავშირელია. უკანასკნელი თავის ჩვენებაში ლაპარაკობს:

— კომკავშირის უჯრედის სხდომაზე ცეკას წარმომადგენელი მოხსენებას აკეთებდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ. ამ დროს კრებაზე ლანძღვა-გინებით შემოიჭრა ბერძენიშვილი, ასტეხა აყალ-მაყალი, დაიწყო გინება, მოკვლით დაემუქრა კომკავშირის მდივანს. ამის შემდეგ მე გამიტყუა ქუჩაში და უმოწყალოთ მცემა.

„თუ მის წინააღმდეგ არ იქნა მიღებული ზომები,—ათავებს თავის ჩვენებას ციციშვილი —ჩვენ, კომკავშირელები, იძულებული ვიქნებით დავსტოვოთ სკოლა".

საბედნიეროთ, სკოლა დაატოვებიეს ბერძენიშვილს.

ბერძენიშვილი დაპატიმრებულია. გამოძიება დამთავრდა საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

ვ.

ვ. გორდაძის საქმე

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით დაიწყება **ვ. გორდაძის** საქმის გარჩევა.

გორდაძეს ბრალდებოდა მე-9 უბნის კომისრად ყოფნის დროს თავისივე თანამშრომლის მოკვლა და მთელი რიგი სხვა ბოროტმოქმედებები, რომლებიც მას ჩაუდენია სხვადასხვა დროს.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ღვამიჩავა.

კულაკ ზვერიაშვილის საქმე უზენაეს სასამართლოში

როგორც ვსწერდით, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ 27 ივნისს დახვრეტა მიუსაჯა კულაკ **შაქრო ზვერიაშვილს,** რომელმაც გაძარცვა და მხეცურად მოჰკლა თავის მოჯამაგირე (70 წლის მოხუცი) **კ. სილაძე.** მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

ქალის გაუპატიურება და დახრჩობა

ამა წლის 13 აპრილს თბილისის ჰაეროდრომის მახლობლად ნახეს მოკლული ქალის გვამი. ქალს პირის სახეზე ეფარა ცხვირსახოცი, პირში ჩატენილი ჰქონდა აბრეშუმის შალი, ყელზე გადაჭერილი ჰქონდა ახლად ნაყიდი სატინის ნაჭერი. მის მახლობლად ეყარა ახლად ნაყიდი ფართლეული, პირზე [illegible], პუდრი და სხვ. მოკლული აღმოჩნდა პრასკოფია ივანეს ასული სიმაკინა.

კვლევა-ძიებით გამოირკვა შემდეგი: პრასკოფია სიმაკინა ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა შეთანხმებით ჰაეროდრომის საწყობის გამგე ვასილ პოლიტაევთან. სიმაკინაც მსახურობდა რამდენიმე ხნის განმავლობაში ჰაეროდრომზე. შემდეგ შტატების შემცირების გამო დათხოვილ იქნა და გადაიგზავნა შრომის ბირჟაში, როგორც უმუშევარი, ღებულობდა უმუშევრობის გამო დახმარებას თვეში 13 მანეთამდე.

ამა წლის 12 აპრილს სიმაკინის ქალი დილის 9 საათზე წამოსულა ჰაეროდრომიდან შრომის ბირჟაში დახმარების მისაღებად. მას თან გამოჰყოლია ერვანდ ოსკანის ძე აკოფოვი (ისიც უმუშევარი, იმავე დაწესებულებიდან დათხოვილი).

აკოფოვს და სიმაკინას ერთად მიუღიათ დახმარების ფული და ერთად გამოსულან დაწესებულებიდან.

ამის შემდეგ სიმაკინას ქალი სახლში აღარ დაბრუნებულა; მისი გვამი იპოვეს ჰაეროდრომის მახლობლად მეორე დღეს, 13 აპრილს.

დადასტურებულია ის გარემოება, რომ ერვანდ აკოფოვი წინა ღამით გვიან საათზე დაბრუნებულა სახლში.

აკოფოვი დაპატიმრებულია. ის თავს დამნაშავედ არ სცნობს.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

რკინის გზაზე

გადაზიდვის გეგმა

ა.-კ. რკ. გზების ყოველ დღე-ღამის მუშაობა ივლისში უნდა გამოიხატოს 1182 სავაგონო ერთეულში. აქედან მშრალი ტვირთი გადაზიდულ უნდა იქნეს 620 ვაგონის რაოდენობით, ნავთის პროდუქტები—370 ცისტერნის რაოდენობით; მეზობელ გზებიდან უნდა იქნეს მიღებული 192 ვაგონი.

300.000 შპალი

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ სატყეო სინდიკატთან დასდო ხელშეკრულება 300.000 სხვადასხვა ჯიშის შპალების შეძენის შესახებ.

გაფრთხილება

თბილისის სადგურის უფროსი **ლვამიჩავა** თავის ხელქვეითებს და სადგურის აგენტებს ხშირად უხეშად ეპყრობა ხოლმე. ამის გამო თბილისის სადგურზე შექმნა არანორმალური პირობები მუშაობისათვის.

გზის გამგეობამ ასეთი საქციელისათვის ლვამიჩავას გამოუცხადა საყვედური და გაფრთხილება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

სამაგალითო მუშაკი

მესრე **იასონ იაკობიძემ,** ხაზის დათვალიერების დროს ქიათურის გზაზე შეამჩნია ჩამოვარდნილი ქვა. მან იცოდა, რომ ახლო ხანში უნდა გაევლო მატარებელს, სასწრაფოთ მიიღო ზომები და მატარებელი გადაარჩინა კატასტროფას.

იაკობიძეს გზის გამგეობამ მადლობა გამოუცხადა.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ს. პოზნიშევი

«КРИМИНАЛЬНАЯ ПСИХОЛОГИЯ».

(Преступные типы).

გვ. 251, ფასი 2 მ. 25 კაპ.

კრიმინალური ფსიქოლოგია მთელი სამყაროა, რომელიც მოცემულია როგორც ანტისოციალური ფსიქოლოგია საზოგადოებაში კრიმინალურ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ანტროპოლოგიურმა სკოლამ (ლომბროზო, ფერრი და სხ.) მიაქცია ყურადღება დამნაშავის ტიპების გარკვევას, კრიმინალური ფსიქო-ფიზიკური ტიპის გამოცნობას.

ეს სკოლა უკიდურესობაში გადავარდა და **თანდაყოლილი დამნაშავე** აღიარა. ამ დამნაშავეს გარკვეული ფსიქო-ფიზიკური თვისებები მიაკუთვნა. (ამ სკოლის კრიმინალური პოლიტიკა, ერთ-ერთი მეცნ. აზრით, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ დამნაშავე ვიპოვოთ, გავზომოთ, შევამოწმოთ და ჩამოვახრჩოთ), ამის მიუხედავათ, ანტროპოლოგიური სკოლის დამსახურებაა კრიმინალური ფსიქოლოგიის საკითხის წამოყენება, დანაშაულობის სუბიექტიური, შინაგანი ფაქტორების გამოაშკარავება.

დღეს სოციოლოგიური სკოლა დიდ მნიშვნელობას მიაწერს კრიმინალურ ფსიქოლოგიას. დამნაშავის ტიპის შესწავლა საჭიროა, როგორც დანაშაულობის ფაქტორების გარკვევის, ისე დამნაშავის გამოსწორებისათვის. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრიმინალურ ფსიქოლოგიას. რევოლიუციის დროს საზოგადოების კრიმინალური ხარჯები იზრდება. კლასობრივ ძალთა გადანაცვლება იწვევს როგორც პოლიტიკურს, ისე ქონებრივ დანაშაულობათა ზრდას. ბოლოს კრიზისი, ძველი ყოფისა და ახალის საბოლოო გაურკვევლობის ნიადაგზე, ჰქმნის სქესობრივ და ყოფა-ცხოვრების დარგის დანაშაულობათა სიმრავლეს.

ავტორი, აღნიშნულ შრომაში, ემყარება სწორედ უკანასკნელი წლების კრიმინალური ტიპების შესწავლას. ბევრი რამ, ერთი შეხედვით დაფარული და შეუმჩნეველი მოვლენები, რომლებიც იწვევენ დანაშაულობათა ზრდას, გარკვეული აქვს ავტორს დიდი დაკვირვებით და ცოდნით. მართალია, ფსიქოლოგიის საერთო გაგებაში ის არ სდგას მარქსისტულ ნიადაგზე, მაგრამ ამის მიუხედავათ სპეციალურ ნაწილში მისი შრომა დიდ სარგებლობას მისცემს ჩვენს სასამართლო ორგანოებს და გამასწორებელ დაწესებულებებს.

ავტორი არკვევს ორ ძირითად კრიმინალურ ტიპს: ენდოგენიურს და ეგზოგენიურს და ამ ძირითად ტიპთა სახეობით სხვადასხვაობას. აქ ჩვენი, საბჭოთა სინამდვილისაგან აღებული კრიმინალური ტიპების შესწავლით ის აშკარავებს დანაშაულობის ფსიქიურსა და სოციალურ ფაქტორებს. დანაშაულობის ფაქტორების გაგება კი ძირითადი საკითხია კრიმინალური პოლიტიკის. ამ მხრივ პროფ. პოზნიშევის შრომა უეჭველად სასარგებლოა ჩვენი იუსტიციის მუშაკებისათვის, ის საინტერესოა ხელოვნების მუშაკისთვისაც, რამდენათ არკვევს ახალი ყოფისა და ტიპების ცუდ თვისებებს.

ს. ა.

ტურიზმი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში აღძრა საკითხი ტურიზმის ორგანიზაციისა და განვითარების შესახებ საქართველოში.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ აღძრული საკითხი დროულად და მიზანშეწონილად სცნო.

წითელი ჯვრის საზოგადოებას დაევალა სათავეში ჩაუდგეს ამ საქმეს. ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების გამომუშავება დაევალა განათლების სახალხო კომისარიატს.

ექსკურსია ზაჰესში

სანაოსნო სადგურის გახსნაზე

თუ აქამდე წყლის სპორტის განვითარებას თბილისში ხელს არ უწყობდა პირობები ახლა — „ზაჰესი"-ს ტბა გვაძლევს ამ მხრივ დიდ შესაძლებლობას.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებამ უკვე მოაწყო სანაოსნო სადგური მცხეთაში და პროფკავშირთა წევრებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ამ ზაფხულშივე ამ გამაჯანსაღებელ სპორტში.

კვირას, ივლისის 10 მოხდება სანაოსნო სადგურის საზეიმო გახსნა.

ამ დღეს მცხეთაში გაემგზავრება პროფკავშირთა წევრების და მისი ოჯახების მასიური ექსკურსია საერთო რიცხვით 2000 კაცამდე.

ექსკურსიებისათვის დანიშნულია 2 მატარებელი, რომლებიც იმოძრავებენ შემდეგი განრიგებით:

გადის თბილისიდან:

1-ლი მატარებელი 9 საათ. 24 წ. დილით.
მე-2-რე მატარებელი 10 ს. 30 წ. დილით,

გამოდის მცხეთიდან:

1-ლი მატარებელი 6 საათ. 10 წ. საღ.
მე-2-რე მატარებელი 7 ს. 25 წ. საღ.

ექსკურსანტების სია და ფული 50 კაპეიკის ანგარიშით თვითეულზე უნდა წარედგინოს ს. პ. კ. ს. სალაროში არა უგვიანეს პარასკევისა 8 ივლისს დილის 12 საათზე.

სასურველია კავშირების ჟ. გ. წამოიყვანონ ამ ექსკურსიაში ფიზკულტურის წრეები და ორკესტრები.

ექსკურსიის მწყობრათ ჩატარების მიზნით, უნდა იქნეს გამოყოფილი ძირითადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებით, რომლებიც შეიკრიბებიან პარასკევს, 8 ივლისს, საღამოს 7 საათზე კულტგანყოფილებაში და მიიღებენ გეგმას, რომელსაც შემდეგ გააცნობენ მასებს.

ფიზკულტურა

დისციპლინარული კომისია

ფიზკულტურელების მიერ სასპორტო ეთიკის დარღვევის, კონფლიქტების და მათთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად, ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ გამოჰყო დისციპლინარული კომისია ამხ. **ვ. კიკნაძის** თავმჯდომარეობით.

ქართული ჭიდაობა

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ჭიდაობის სექცია ამ დღეებში შეუდგება შეჯიბრების ჩატარებას ქართულ ჭიდაობაში. პირველ კვირაში ჩატარებული იქნება სამატჩო შეჯიბრები, რომლის მიზანია მოჭიდავეთა კლასის გამორკვევა; სამატჩო ჭიდაობის შემდეგ დაიწყება შეჯიბრები საქართველოს პირველობაზე.

საკვალიფიკაციო კომისია

ფიზკულტურის ხელმძღვანელთა ცოდნის შესამოწმებლად ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სამდივნომ გამოჰყო საკვალიფიკაციო კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. **ვ. კიკნაძე, ს. კვინიხიძე, გ. მერკვილაძე, ეგნატაშვილი, ტ. ნიკოლაძე, ჩიკვაიძე და ექ. მღებრიშვილი.** კომისია ჩამოივლის საქართველოს ყველა მთავარ ქალაქებს, სადაც შეამოწმებს ინსტრუქტორების ცოდნას.

ფეხბურთი

გორის სამაზრო ფიზკულტურის საბჭო შეუდგა ქალაქის პირველობის გათამაშებას ფეხბურთში.

ინსტრუქტორი დუშეთში

ფიზკულტურის სამაზრო ინსტრუქტორად დუშეთში ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დანიშნა ამხ. **კუჩავაძე.**

„საბჭოთა ფიზკულტურა"

ახლო ხანში გამოვა ჟურნალ „საბჭოთა ფიზკულტურის" მეორე ნომერი.

მეცნიერება და ტეხნიკა

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

ქართოფილის სარგავი მანქანები

რუსეთის ქართოფილის მეურნეთა კავშირმა დანიიდან გამოიწერა ქართოფილის სარგავი სპეციალური მანქანები, რომლებიც ძლიერ აადვილებენ ქართოფილის დარგვის საქმეს. მანქანების გამოცდა მოახდინეს მოსკოვის ახლო. მათმა მუშაობამ სავსებით დააკმაყოფილა ცდის მეთვალყურეობისათვის გამოყოფილი განსაკუთრებული კომისია და დამსწრე გლეხობა.



ქართოფილის მრგველი მანქანის საშუალებით, ორი ცხენითა და ორი მუშით შეიძლება ქართოფილის დარგვა 1 ნახ. დესეტინაზე; უმანქანოთ კი—ორი ცხენით და ორი მუშით, ამავე მუშაობის შესრულება შეიძლება მხოლოდ ერთმეოთხედ დესეტინის სივრცეზე. მანქანა ღირს 300 მანეთამდე.

რამდენ ხანს შეუძლია სიმშილობა საქონელს

უკანასკნელმა ცდებმა იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლიათ შიმშილობა ცხოველებს (არა ზამთრის ძილის დროს), ცხადყვეს, რომ ძუძუმწოვართა შორის ამ მხრივ ყველაზე ამტანია ცხენი, რომელსაც უსაკვებოთ შეუძლია გასძლოს 2-3 თვე. კატა საერთოდ ძალიან გამძლე ცხოველია—შეუძლია შიმშილოს 50 დღემდე; ზღვის ღორს—მხოლოდ 7 დღე, ყველაზე ძნელად იტანს შიმშილობას თაგვი (30 საათი) და თხუნელა (სულ 12 საათი)). მწერებს შეუძლიათ იშიმშილონ შეტად დიდი ხნის განმავლობაში; რწყილებს შეუძლიათ შიმშილობა 7 წლამდი, ამდენივე ხნის განმავლობაში შეუძლიათ გასძლონ უჭმელათ გველებმაც. მაგრამ ამდენ ხანს შიმშილობა ცხოველებს შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ წყალი.

ოფიციალ. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

„საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა თაობაზე" 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღითა და მეორე №-ით გამოცემული დეკრეტის გაუქმებისა და საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირთა რეგისტრაციის წესის შესახებ

სსსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დებულების დამტკიცების შესახებ" 1927 წ. იანვრის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მეოთხე №-რი; მუხ. 38) და „კოოპერატიული კრედიტის დებულების დამტკიცების შესახებ" 1927 წ. იანვრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 4 №-რი მუხ. 43) თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღისა და მეორე №-რის დეკ. „საკრ. კოოპერ. ამხანაგობათა შესახებ" (საქ. სსრ კან, კრ. 1924 წ. პირველი №-რი მუხ. 28) გაუქმებულ იქნეს.

2. დროებით, ვიდრე ა. კ. სფსრ-ში სათანადო საკანონმდებლო აქტი გამოიცემოდეს, საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგისტრაცია, აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებისაგან შემდგარ საკრედიტო კავშირთა რეგისტრაცია, რომელთა გამგეობანიც საქართველოს სსრ ფარგლებში იმყოფებიან,—დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგ. ს. ჯუღელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წ. ივნისის 14.

იურიდიული დახმარება

გიორგი ჩაჩუას

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით თქვენი მაზრის სასოფლო-სამეურნეო სასახადო კომისიას ადგილობრივ რაიონულ სასახადო კომისიის საშუალებით.

ფოთის სავაჭრო ნავთ-სადგურის ნაჯს ალ. წითლიძეს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას.

რკინის გზის მუშას, ლევან მღებრიშვილს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით თქვენი მაზრის სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო კომისიას ადგილობრივ რაიონულ სასახადო კომისიის საშუალებით.

„ყაშა—ბრიხა"-ს

პასუხი

მიმართეთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს. რადგან, თქვენ არა გაქვთ რაიმე წერილობითი საბუთი ექიმბაშისაგან, რომ მან მიიღო თქვენგან 100 მანეთი, ამიტომ ექიმბაშის საქციელი თქვენ უნდა დაამტკიცოთ სასამართლოში მოწმეების საშუალებით. საერთოდ თქვენ საყურადღებოდ საჭიროა ითქვას, რომ დღეს, როცა თითქმის ყველგან, საქართველოს კუთხეში, საექიმო პუნქტები არსებობს, ძალიან გასაკვირია თქვენი ექიმბაშისადმი მიმართვა.

დარწმუნებული უნდა ყოფილიყავით იმაში, რომ თუ საექიმო დახმარებამ თქვენს ავადმყოფობას ვერ უშველა, მაშინ რას უშველის გაუნათლებელი მატყუარა ექიმბაში.

იყავით მომავალში მაინც ფრთხილად და ექიმბაშის მიერ დაგებულ ანკესზე წამოეგებით.

„ტანჯულს"

პასუხი

სამოქალაქო მდგომარეობაზე (დაბადება-ქორწინება და სხვა) სწორად გაცემული საბუთები მეტრიკა და სხ. კანონიერია და ყველა დაწესებულება ვალდებულია მიიღოს თუნდაც ასეთები გაცემული იყოს საქართველოს გასაბჭოებამდის.

უღრმესი მადლობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! „რადიო-გადაცემის" საზოგადოება უღრმეს მადლობას უძღვნის პიანისტს **ლევ ნიკოლოზის ძე** ობორინს, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ მიიღო მონაწილეობა რადიო-კონცერტში 4 ივლისს.

საზოგადოება „რადიო-გადაცემის" რწმუნებული ა.-კავკასიაში: **გედევანიშვილი.**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება „თავდაცვის კვირეულის" ჩასატარებლად მომხსენებლებათ ნიშნავს შემდეგ ამხანაგებს:

პირველ რაიონში: სიხარულიძე, შ. ოკუჯავა, პაპავარიანი, სანდრო სტურუა, იაკობაშვილი.

მეორე რაიონში: რუბენი, რატნეკი, რატიანი, ევიკოვი, ადამიძე, ლივშიცი, ვანციანი,

მესამე რაიონში: ვასილჩიკოვი, აბაშიძე, ლისოვსკი, დურიხანოვი, ვ. სტურუა, სოსიანი, მიქაძე, შირვანსკი.

მეოთხე რაიონში: ალეფუზოვი, სხეგირევი, ივანიკოვი, ალნიაშვილი, ადამიძე, ზემლევიჩი, პოლეტაევი, წილოსანი, გამყრელიძე, ბზეკალავა.

მოხსენების ადგილისა და დროის შესახებ მომხსენებლები დავალებას მიიღებენ თავდაცვა ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების რაიონულ საბჭოებიდან და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებიდან.

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი; მეუღლე მარგარიტა, ძმები: ბიჭა და ფარნა, რძლები: ეკა, ტასი და ნიფა შვილებითურთ, დები: პასიკო ქმარშვილითურთ და ელრედი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ყარამან იკოს ძე გვაზავა

დასაფლავება მოხდება კვს, 10 ივლისს, სოფ. ნაგვაზოუში ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. (ქ.)

ღრმად დამწუხრებულნი სწულები: გრიშა, ნიკო, რაჟდენ, დათიკო და ალექსანდრე; რძლებითურთ, თამარა და თინა გვაზავები; ძმისშვილები: ალექსანდრე, რაჟდენ და კაკო გაბრიელისძე ქაჯაიები აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ბიძა

ყარამან ნიკოს ძე გვაზავა

დასაფლავება მოხდება კვი, 10 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე, სოფ. ნაგვაზოუში ნ. (ქ.)

უღრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე ეფროსინე, შვილი ვლადიმერი, რძალი მერი ალექსანდრესული და შვილისშვილები ნელიკო და ივერიკო აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნესტორი ანდრიას-ძე

ქუთათელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდ ქ. ხონში ა-წ. 9 ივლისს, შაბათს ნაშუადღევის 5 საათზე. 1—1 ნ. 1421

განუსაზღვრელ მწუხარებაშყოფნი—მეუღლე გიორგი პეტრეს-ძე ჭაჭარაძე შვილებით: კლიმენტ, მარიამი, ტატიანა, პეტრე და გივი, მშობლები—მიხეილ პეტრეს-ძე ჭანიძე და ედუკი ნიკოლოზის ასული ჭავჭანიძისა, ძმა პეტრე მიხეას-ძე, დები—ოლია და ქეთო, რძალი აგრაფინა შვილებით ეთერი და [illegible], სიძე ალექსანდრე შვილებით ნათელა და ნელი კაკაბაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის [illegible] დაუვიწყარი

ნადია მიხეილის ასულ

ჭავჭანიძე-ჭაჭარაძის

უეცარ გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 9 ივლისს. ქალ. ხონში 1423 (დეპ.)

მიწათმოქმედების სახალხკომისარიატის საეტერინარო სამმართველო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს ექიმ-ვეტერინარ

ბენედიქტე ანდრიას-ძე

ლეჟავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 7 ივლისს. 2—1 3242

კინო-აპოლო
ბაღ არტოში
რუდოლფ ვალენტინო
მხატვრულ შედევრში
აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„შეიხი"
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღ არტოში შესვლა უფასოა

დღეს და ყოველდღე

მალე
განთქმ. სურათი
„ტარას ტრიასილო"

კინო-ეთერი
(სახ. ოპერის ბაღში)
„გრაფი კალიოსტრო"
მხატვრული დრამა 7 ნაწ.
კონრად ვეიდტის და რეინჰარდტ შიუნცელის
მონაწილეობით
1-ლი სეანსის დასაწყ. საღ. 8 ს.
სალარო ღიაა საღ. 7 საათ.
ნ. 1422

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
0—4 ნ. 1388

კონრად ვეიდტი და რეინგარდტ შიუნტცელი
სურათში „გრაფი კალიოსტრო" სურათში
სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ხელმძღვანელობით.
1 სეანსის დასაწ.—საღ. 8 ს. სალარო ღიაა საღ. 7 ს.
რუდოლფ ვალენტინო
მხატვრული შედევრი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„შეიხი"
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა.
უდიდესი გამარჯვება! დადგმის მე-2 კვირა!
„მოხეტიალე ვარსკვლავები"
შოლომ-ალეიხემის განთქმული რომანის მიხედვით
ანონსი: მზადაა დასადგმელად „სასტუმროების ქალი" კონრად ვეიდტის მონაწილეობ.
ანონსი: მალე განთქ სურათი „ტარას ტრიასილო" „სამთა სიყვარული", „ლუსეტა"

ორშაბათს [illegible] ივლისს
რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამმართველოში
= ინიშება =
შეჯიბრება

3000 ცალი პირველი ხარისხის ფიჭვის, ან მუხის მორების დადგმაზე სიგრძით 12 არშ. სისხოთი წვრილ თავში: 3 ნახ. გოჯი 750 ცა, 4 გოჯიანი 750-ც, 4 ნახ. გოჯ. 300 ცალი, და 5 გოჯ. 1200 ცალი, შეკვეთის გადიდს უფლებით 100 პროც. და დადგმით ა. წ. აგვისტოში და სექტემბერში; ანკო რიონდა სად. ქუთაისი.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთ: სახელმწიფო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, არტელებს და კერძო პირთ შემოაქვთ წერილობითი ამის შესახებ განცხადება დახურულ კონვერტებით წარწერით „მორების დგმის შეჯიბრებაზე", რომელიც უნდა ჩაიშვას რიონჰესის სამმართველოს სამასალო ნაწილის კარებებთან დაკიდებულ ყუთში არა უგვიანეს 11 ივლისის დღის 12 საათისა.

ყუთის გახსნა და შეჯიბრება დაიწყება დღის 1 საათიდან. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს რიონჰესის სალაროს ქვითარი 3 პროც. საწინდარის შეტანაზე დადგმის საერთო ღირებულების თანხიდან.

სახელმწიფო ორგანიზაციები აღნიშნულ წინდარის შეტანისაგან თავისუფლდებიან.

კერძო პირთა განცხადებებს უნდა ჰქონდ დაკრული სალერბო მარკები 1 მ. 65 კ.

შეჯიბრების დამთავრებისას შემოტანილი წინდარი უბრუნდებათ იმ პირთ, რომელთაც არ დარჩებათ დადგმა.

მასალა უნდა იყოს ფიჭვის ან მუხის სწორ და სწორ ძაფიანი არ უნდა იყოს დამპალი, ჭიანჭამი, ნაფუტარი, როკები დასაშვებ არა უმეტეს ნახევარ გოჯისა.

უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება რიონჰესის სამასალო ნაწილში, თბილისი პუშკინის ქ. № 4 დღის 1—2 ნახევასაათამდე.
ნ. 1418

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან.
½ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
3062 25—1

ამ.-კავკასიის სააქციო საზოგადოება
„ზაკმიასოტორგი"
აცხადებს
რომ საზ—ბის მთავარი კანტორა
გადავიდა
რუსთაველის პროსპ. № 35. ნ. 1417

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ყოფილი, მოქ. ტატეოს სერგოს-ძის პეტროსოვის ამ ჟამად ბანკზე დარჩენილი ქ. თბილისში, მე-6 სამილიციო უბანში, მინკევიჩის ქუჩაზე მდებარე, სახლი № 22 დანიშნულია ვაჭრობით თავისუფალ ფასებში გასაყიდათ ამა 1927 წლის 15 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე, ბანკის ბინაზე (პუშკინის ქ. № 3.)
აღნიშნული სახლის შეძენის მსურველთ ყოველგვარი ცნობების მიღება ბანკში შეუძლიათ. 1—1 ნ. 1420

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას 10 ივლისს დილის 10 საათზე, ამაღლების ქ. № 8 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
მოქ. ზაქარია იაკობის-ძე ზარაფოვის სახლის ნაწილის გასასყიდათ სახელმწიფო გადასახადების 821 მ. და სხვა ვალების დასაკმაყოფილებლად.
საჯარო ვაჭრობაზე დაცული იქნება 311 და 312 მუხლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა. 1-1 ნ. 1419

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია
ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.
ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანთან ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

პროფ. ბ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58.
13—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

მოითხოვეთ ყველგან მოითხოვეთ ყველგან
მ. ლაღიძის
წყალი
გემო და სუნი საამური აქვს
4—1 ნ. 1367

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი დათიკო სანდროს-ძე კოლატაურის სახელზე, ჩ. გ. 3253

დაიკარგა სანვარიშო წიგნაკი № 0050 ბარბარე კუტალიას სახელზე ჩ. გ. 3255

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 12333 და პირადობის მოწმობა, მოცემული აჭარისტანის ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ნიკოლოზ პეტრეს-ძე ლორთქიფანიძეს სახელზე, ჩ. გ. 3256

[illegible]კომის სტამბა, კამოს ქ. 64.